ვახტანგ კედელაშვილი

ცხოვრება და ღვაწლი გიორგი ხარაულისა

(მოგონებები)

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი – 2006

რედაქტორისაგან

გიორგი ხარაული გორის კოლორიტული ფიგურა გახლდათ, ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი. იგი ათეული წლების განმავლობაში სათავეში ედგა შიდა ქართლის უმაღლეს კულტურის კერას - ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს და რკინის ხელით ჭედდა მის ყოველ წარმატებას.

ვახტანგ კედელაშვილი ახლოს იცნობდა გიორგი ხარაულს. იგი, ამაგდარი რექტორის ხელდასმით, ჯერ ინსტიტუტის სტუდენტი, შემდეგ კი თანამშრომელი გახდა და დღემდე აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა აწ უკვე გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ბატონ ვახტანგს, ბევრისაგან განსხვავებით, კარგად ახსოვს მკაცრი, მაგრამ სამართლიანი რექტორის სახე და ის დიდი ამაგი, რომელიც გიორგი ხარაულს ინსტიტუტის და მომავალი თაობების წინაშე მიუძღვის. იგი წლების მანძილზე გულმოდგინედ ინახავდა ბატონი გიორგის შესახებ არსებულ ცნობებს, პუბლიცისტურ წერილებს, მოგონებებს, ლექსებსა და ინტერვიუებს. შედეგი სახეზეა - დიდი მასწავლებლისადმი მიძღვნილი წიგნი საუკეთესო გაკვეთილი და ძვირფასი საჩუქარია, როგორც გორის უნივერსიტეტის, ისე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: დავით ახლოური,
ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტები: პროფესორი **კლარა ელჩიბეგაშვილი**
პროფესორი **პაატა ქურდაძე**

გამომცემლობა „უნივერსალი", 2005

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

© ვ. კედელაშვილი, 2006

ISBN 99940-61-98-4

გიორგი ხარაული

„იყო რამ კაცი მართალი,
წმინდა, ვით წყარო ანკარა...“
ვაჟა-ფშაველა

მშობელი ხალხი ყოველთვის შარავანდედით მოსავს იმ ადამიანების ამაგს, ვინც თავისი შეგნებული ცხოვრება ერისა და ქვეყნის სამსახურში გალია, ემსახურა ხალხს და მზად იყო, სიცოცხლეც, რომ დასჭირებოდა, უყოყმანოდ შეეწირა სამშობლოს მომავალი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. ასეთი ადამიანების იდეალები, ფაქიზი გრძნობები, პირადი მაგალითები ნათელს ჰფენენ ახალგაზრდობისათვის მანამდე შეუცნობელსა და აუხსნელს, რითაც ასე ძალუმად მოქმედებენ ახალი თაობის აღზრდაზე, როგორც სოციალურ მოვლენაზე. აღზრდა კი დიალექტიკურია, უწყვეტია და წინააღმდეგობრივი ბუნებისა, ისიც ცნობილია, რომ აღზრდა-განათლებაზე მოქმედებენ ფსიქიკური მემკვიდრეობითი ფაქტორები, რათა შეიქმნას აღზრდის შესაბამისი ატმოსფერო. ასეთი გარემოს შესაქმნელად კი უნდა განსხვავდებოდე რიგითი მოკვდავისაგან, ე.ი. უნდა იყო პიროვნება, გახასიათებდეს აზროვნების ინდივიდუალობა, აღმატებულება, გაგაჩნდეს ცხოვრების მყარი პოზიცია, სხვას უსწრებდე მოვლენების გაცნობიერებაში, იყო ინდივიდი და სხვებისაგან განსხვავებული, გქონდეს თვითმყოფადი სახე, აქტიურად იბრძოდე საკუთარი „მეს“ დასამკვიდრებლად.

ამ ტიპის მოღვაწეთ ეკუთვნოდა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი რექტორი - გიორგი ილიას ძე ხარაული, რომელიც სამნახევარი ათეული წლის განმავლობაში სათავეში ედგა პედინსტიტუტს და უნარიანად

ხელმძღვანელობდა. მის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა უმაღლესი განათლების დარგში ქ. გორში. მის სახელს უკავშირდება პედინსტიტუტის მშენებლობა, ახალი სპეციალობების შემოღება, ფაკულტეტებისა და კათედრების გახსნა. ამ კაცის სახელს მადლიერებით იხსენებს ათეულ-ათასობით პედაგოგი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობს და ეწევა სასწავლო-მეთოდურ მუშაობასა და ახალი თაობის ზნეობრივი ფორმირების სათუთ საქმეს.

საქართველოში იშვიათია და ვგონებ ერთადერთი შემთხვევაა, 35 წლის განმავლობაში უმაღლეს სკოლას სათავეში სდგომოდეს კაცი და უმწიკვლოდ ემართოს მისი საქმე.

ხარაული იყო პიროვნება, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა უმაღლესი პედაგოგიური სკოლის მართვის მექანიზმი. იგი მთლიანობაში ფლობდა ყველა რგოლის რიტმულ მუშაობას. ეს იქნებოდა კათედრები, ფაკულტეტები, განყოფილებები, თუ სპეციალობები. მისი მუშაობის პერიოდში მომზადდა ეროვნული პედაგოგიური კადრები დაწყებითი და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისათვის, ადგილობრივი სამეცნიერო კადრები მშობლიური ინსტიტუტისათვის.

გორის პედინსტიტუტი ხარაულის ხელმძღვანელობის პერიოდში შევიდა საკავშირო უმაღლეს სასწავლებელთა მატიანეში; გაშლილ სოცშეჯიბრში ამ ტიპის უმაღლეს სასწავლებლებს შორის II ადგილი დაიკავა.

ამ პერიოდში შეიქმნა მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაშიც „ლომის წილი" ფიზიკის კათედრის ყოფილ გამგეს, დოცენტ გიორგი ჩიტაიას მიუძღვის. თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა კაბინეტ-ლაბორატორიები, სწავლების დროს ხდებოდა ტექნიკურ საშუალებათა

გამოყენება, შეიქმნა სპეც-ლაბორატორია კაბინეტი, მოეწყო საველე ლაბორატორიული, მეტეოროლოგიური, გეოგრაფიული მოედნები პრაქტიკისათვის. საბაზო სკოლები პრაქტიკისათვის და რეგიონებში შორეული ექსპედიციებისათვის ახალი პრაქტიკა-დაკვირვებისათვის (კათედრის გამგე, დოც. ი. ძიძიგური, პრაქტიკის ხელმძღვანელი ვ. გელდიაშვილი), შეიქმნა ზოოლოგიის ცოცხალი მუზეუმი, რომელიც რესპუბლიკაში უნიკალური იყო (გამგე მ. მგალობლიშვილი), ქიმიური ცდების ლაბორატორია (თ. ახობაძე), ანატომია-ფიზიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორია (თ. ნამორაძე, თ. მჭედლიშვილი), ინსტიტუტის საცდელი ნაკვეთი და მიწისქვეშა სათბური (ზ. გიუნაშვილი), ასევე სპორტული ბაზები და მოედნები.

რექტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ინსტიტუტის წიგნადი ფონდის გამრავალფეროვნებას (მისმა მოცულობამ მილიონ ეგზემპლარზე მეტი შეადგინა, ბიბლიოთეკის გამგე ა. კობერიძე).

გ. ხარაულის წინაპრები ქსნის ხეობიდან არიან. ისინი XIX საუკუნის 80-90-იან წ.წ. ჩამოსულან გორში და დასახლებულან, ინსტიტუტიდან აღმოსავლეთით, ნახევარი ვერსის მოშორებით. სწორედ აქ დაიბადა (1907 წ. 1. სექტემბერს, მუშის ოჯახში) გიორგი ხარაული. პატარაობიდანვე მხარში ამოუდგა მშობლებს ოჯახის რჩენაში. ამასთან, იბეჯითა და 1925 წელს წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა. მას თავიდანვე ხიბლავდა სპორტი და განსაკუთრებით ჭიდაობა, ბევრს კითხულობდა ქართველ ფალავნებზე. გატაცებული ყოფილა სანდრო კანდელაკით, რამაც კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მის შემდგომ მოღვაწეობაზე.

1925 წელს გიორგი ხარაული შედის გორის პედტექნიკუმში. 1927 წელს ამთავრებს მას და სწავლას აგრძელებს თბილისის

სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მათემატიკის სპეციალობაზე. 1931 წელს ამთავრებს მას და მუშაობას იწყებს დედაქალაქის ობსერვატორიაში მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. მალე იგი მიავლინეს მოსკოვის ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტში. იქვე ხდება ასპირანტი, შემდგომ იცავს საკანდიდატო დისერტაციას.

ცოტა მოგვიანებით ბრუნდება მშობლიურ ქალაქში, რადგან გორი მისთვის ყველაფერი იყო, გორის გარეშე მას არსად ყოფნა არ შეეძლო. ხარაული და გორი ცალკე საუბრის თემაა.

სად არ მიიწვიეს, ვინ არ სთხოვა, მით უმეტეს, რომ მაშინ კადრები ყველგან ჭირდა, მაგრამ პატრიოტი გორელისათვის პასუხი ყველგან ერთმნიშვნელოვანი იყო: „გორს მე ვჭირდები და - გორი მე“.

ჰოდა, პატრიოტობაც ხომ შენი ეზოდან, ქუჩიდან, შენი ქალაქიდან იწყება. შემდეგ გადადის ზოგადში და საშობლოს სიყვარულში ხდება ფესვგამდგარი. ასე იყო გიორგი ხარაულისთვისაც... სხვაგან შეძენილი ცოდნა და გამოცდილება გორს მოახმარა და ძალუმადაც.

აღიარება

გიორგი ილიას ძე ხარაული, დაბადებული 28.10.1907 წ. გორი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის ყოფილი რექტორი, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი. 1925 წელს დაამთავრა გორის ჰუმანიტარული ტექნიკუმი, 1927 წელს - ორწლიანი პედაგოგიური სასწავლებელი. 1927 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1936 წელს დაამთავრა მოსკოვის გეოფიზიკის ინსტიტუტის თეორიული სექტორის ასპირანტურა.

გ. ხარაული 1939 წელს დაინიშნა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად და თითქმის 35 წლის მანძილზე თავდაუზოგავად, მაღალი პასუხისმგებლობით ხელმძღვანელობდა ამ უმაღლეს სასწავლებელში კვალიფიციური პედაგოგიური კადრების აღზრდის საშვილიშვილო საქმეს. ქართლის გულში აღზრდილი მასწავლებელები მოღვაწეობდნენ შიდა ქართლში და საქართველოს ყველა კუთხეში.

გ. ხარაულმა თითქმის 40 წელიწადი უშურველად მოახმარა გორში ახალფეხადგმული პედინსტიტუტის განვითარებისა და განმტკიცების ეროვნულ საქმეს. მისი უმწიკვლო და თავდადებული ხელმძღვანელობით გადაიქცა იგი მაღალკვალიფიციური მასწავლებლების საიმედო და სასიამოვნო სამჭედლოდ, მეცნიერების, კულტურისა და განათლების მძლავრ კერად.

ამ კეთილშობილი ადამიანის მშობლიური მზრუნველობით და ყურადღებით ბევრმა ახალგაზრდამ მოძებნა სამერმისო მოღვაწეობის

სწორი გზა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. მისი თავკაცობით შეიქმნა ინსტიტუტში მტკიცე სასწავლო მატერიალური ბაზა, გორის პედაგოგიური ინსტიტუტი გადაიქცა რესპუბლიკაში ერთ-ერთ ძლიერ უმაღლეს სასწავლებლად.

განსაკუთრებით დიდია გ. ხარაულის ღვაწლი ცალკეული დარგობრივი კათედრებისა და სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების ჩამოყალიბებაში. ბოლოს იქ მუშაობდა 15 კათედრა, რომელთა სული და გული მისი რექტორი იყო. სტუდენტთა პროფესიულ მომზადებასთან ერთად გ. ხარაული განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდების კულტურულ და სპორტულ აღზრდას, რის საფუძველი არა ერთი შემოქმედი და სახელოვანი ფალავანი აღიზარდა. გ. ხარაულს ხანგრძლივი და უმწიკვლო პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მოღვაწეობის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სპეტაკი და უნარიანი ორგანიზატორული მუშაობისათვის სხვადასხვა დროს მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები: „შრომის წითელი დროშის ორდენი", „საპატიო ნიშნის" ორი ორდენი, ოთხი მედალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „საპატიო სიგელი" და „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშანი. პედინსტიტუტში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის დაჯილდოვებულია „წარჩინებული ფიზკულტურელის" სამკერდე ნიშნით. ასევე დაჯილდოვებულია საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის მქონე მრავალი დიპლომითა და სიგელით.

ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით გიორგი ხარაულს მინიჭებული აქვს გორის საპატიო მოქალაქის წოდება, ხოლო მისი სახელი შეტანილია „ქ. გორის საპატიო წიგნში". გორში არსებობს მისი სახელობის ქუჩა და ერთ-ერთი (VIII) საშუალო სკოლა. (იხ. ქ.

გორისა და გორის რაიონის მერიის კოლეგიის გადაწყვეტილება №80, 1997 წლის 23 მაისი. დავით ქობლიანიძე)

ასევე ინსტიტუტის, დღეს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის აკადემიკოს გედევან ხელაიას ინიციატივითა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, მათემატიკის კათედრას მიკუთვნებული აქვს განსვენებული მოღვაწის გ. ხარაულის სახელი. ფიზალზრდის კათედრის მიერ დაწესებულია მისი სახელობის პრიზები, ყოველწლიურად, ოქტომბერში სულმნათი ადამიანის ხსოვნის საპატივსაცემოდ ეწყობა ერთდღიანი კროსი. დაარსებულია გ. ხარაულის სახელობის სტიპენდია,რომელსაც მხოლოდ სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში წარჩინებული სტუდენტები ღებულობენ. ახლახან გიორგი ხარაულის სახელი მიენიჭა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალპროფილიან კოლეჯს (დირექტორი პროფ. პაატა ქურდაძე).

გ. ხარაული არჩეული იყო სხვადასხვა საზოგადოების წევრად. იყო საქალაქო საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატი, ქალაქის საბჭოს ალმასკომის წევრი და პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრი, რომლის სხდომებზეც თავისი ავტორიტეტული სიტყვა უთქვამს და უმაღლესი სკოლის ინტერესები დაუცავს (იხ. გაზეთი „ქართლი“, 1999 წლის 22 მარტი).

გიორგი ხარაული
ინსტიტუტის განვითარების სათავეში



1936 წლის სექტემბრისათვის შენობის ნაწილი მოთავდა და ინსტიტუტმა მეცადინეობა დაიწყო საკუთარ შენობაში, მთლიანად კი სასწავლო კორპუსის მშენებლობა დამთავრდა 1939 წელს. იმავე წელს დაიწყო და 1940 წლის სექტემბერში დამთავრდა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა. სტუდენტთა საერთო საცხვორებელი საკმაოდ კეთილმოწყობილი იყო და იქ მცხოვრებ სტუდენტებს შექმნილი ჰქონდათ ყველა პირობა სწავლისა და დასვენებისათვის.

1950 წელს დაიწყო და 1951 წელს დამთავრდა 370 კვადრატული მეტრი ფართობის სპორტთამაშების დარბაზი, რომლის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სტუდენტები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები.

საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტისათვის 1955 წელს აშენდა დამოუკიდებელი შენობა ცოცხალი კუთხისათვის და სათბური, სადაც სტუდენტები ზამთარშიც აწარმოებდნენ ცდებსა და დაკვირვებებს

მცენარეებსა და ცხოველებზე.

მთელი რიგი დისციპლინების ნორმალური სწავლებისა და სტუდენტთა შრომითი ჩვევების გამომუშავების მიზნით აშენდა და მოეწყო 260 კვ/მ ფართობის სახელოსნო.

1960 წლის დეკემბერის პირველი რიცხვებისათვის დამთავრდა სასადილოს მშენებლობა, რომელიც ერთდროულად იტევს 120 კაცამდე. სასადილოს შენობის დამთავრება მიეძღვნა ინსტიტუტის არსებობის 25 წლისთავს.

1960 წელს გორში საპატიმროს გაუქმებასთან დაკავშირებით მისი შენობა გადმოეცა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს,. რომელშიც ამჟამად მოთავსებულია ინსტიტუტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა და დაწყებითი განათლების სასწავლო კაბინეტები.

1969 წლის მიწურულში დაიწყო და 1970 წლის დეკემბრისთვის დამთავრდა სტუდენტთა 300 ადგილიანი კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლის მშენებლობა.

2 წელზე მეტია, მზად არის ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა და გეგმები, რომლის მშენებლობა, ალბათ, ახლო მომავალში დაიწყება.

35 წლის მანძილზე იქმნებოდა და მდიდრდებოდა ცალკეული ფაკულტეტებისა და კათედრების კაბინეტ-ლაბორატორიები, რომელთა რიცხვმა მიაღწია 37-ს, აქედან 14 ლაბორატორიაა და 23 კაბინეტი. კაბინეტები: მარქსიზმ-ლენინიზმის, პედაგოგიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, მათემატიკის, ბოტანიკის, ბიოლოგიისა და სხვა. ლაბორატორიები: ფიზიკის I, II, III, ქიმიის, ფოტო და სხვ. გარდა აღნიშნული კაბინეტ-ლაბორატორიებისა, სასწავლო მუშაობის ნორმალური წარმართვისათვის

ინსტიტუტს აქვს სახელოსნო, ცოცხალი კუთხე, სათბური, საცდელი ნაკვეთი, მეტეოროლოგიური სადგური, სამი საკმაოდ კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი (ტანვარჯიშის, ძალოსნობისა და სპორტთამაშების). ინსტიტუტის ეზოში არის აგრეთვე ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

35 წლის მანძილზე ინსტიტუტის ბიბლიოთეკა იმდენად გამდიდრდა წიგნადი ფონდის ნაირფეროვნებითა და რაოდენობით, რომ იგი ძირითადად აკმაყოფილებდა როგორც სტუდენტების, ისე ლექტორთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. იმ დროისათვის ბიბლიოთეკა იყო III კატეგორიაში და ითვლიდა 367.198 საბიბლიოთეკო ერთეულს.

ინსტიტუტის მატერიალური ბაზის შესახებ კიდევ ძალიან ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ 35 წლის მანძილზე რა სწრაფი ტემპით იზრდებოდა და მტკიცდებოდა ინსტიტუტის მატერიალური ბაზა.

სტუდენტთა კონტიგენტის შესახებ

ყოველწლიურად იზრდებოდა და მტკიცდებოდა ჯერ სამასწავლებლო და შემდეგ პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა კონტიგენტი. 1935 წლის სექტემბერში გორის ყოფილ სამასწავლებლო ინსტიტუტს ჰყავდა 120 სტუნდეტი. 1950 წლის სექტემბრისათვის 1000-ს ბევრად გადააჭარბა, ხოლო 1952 წელს დასწრებულსა და დაუსწრებელზე ერთად მიაღწია 1298 სტუდენტს. სტუდენტთა რაოდენობის ზრდა, ცხადია, გამოწვეული იყო მისაღები კონტიგენტის საგრძნობი ზრდით. 1950 წლიდან 1953 წლის ჩათვლით ყოველწლიურად მისაღები კონტიგენტი 300 კაცს აღემატებოდა, შემდეგ წლებში კი მისაღები

კონტიგენტი ერთგვარად შემცირდა. ცხადია, ამან გამოიწვია სტუდენტთა საერთო რაოდენობის შემცირება. იმხანად სწავლების სამივე ფორმაზე ინსტიტუტს ჰყავდა 2191 სტუდენტი. მართალია, უკანასკნელ წლებში სტუდენტთა კონტიგენტი რიცხობრივად ერთგვარად შემცირდა, მაგრამ ხარისხობრივად ყოველწლიურად უმჯობესდებოდა, ამაზე მეტყველებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები. თუ 1950 წლისთვის აკადემიური მოსწრება იყო 78,6%, შემდეგ წლებში ეს მაჩვენებელი მატულობს. გარდა ამისა, წლიდან წლამდე გაიზარდა ფრიადოსან და კარგოსან სტუდენტთა რიცხვი. განსაკუთრებით მაღალი მომზადების დონით გამოირჩეოდნენ სახელობითი სტიპენდიანტები - ლენინის სახელობის სტიპენდიანტები - ჩიტიშვილი მანანა ვასილის ასული (ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეც. III კურსის სტუდენტი) და ზაუტაშვილი ნინო არჩილის ასული (ბიოლოგია-გეოგრაფიის სპეც. III კურსის სტუნდეტი), ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიანტი დარჯანია მზია ბორისის ასული (მათემატიკის სპეც. IV კურსის სტუდენტი),კომკავშირის სახ. სტიპენდიანტი ძამანაშვილი ნათელა გრიგოლის ასული (მათემატიკის სპეც. IV კურსის სტუდენტი).

1972 წლის ზამთრის სესიების შედეგად აკადემიური მოსწრება უდრიდა 86%-ს.

პედაგოგიური კოლექტივი

დღიდან ინსტიტუტის დაარსებისა, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა პედაგოგიური კოლექტივის ხარის-ხობრივი გაუმჯობესების საქმეს. სტუდენტთა კონტიგენტის ზრდასთან ერთად წლიდან წლამდე იზრდებოდა რიცხობრივად და უმჯობესდებოდა

ხარიხობრივად პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა.

1935-36 სასწავლო წელს ინსტიტუტში მუშაობდა 24 პედაგოგი, აქედან მხოლოდ სამს ჰქონდა სამეცნიერო ხარისხი და წოდება. 1949-50, 1950-51 და 1951-52 სასწავლო წლებში მეცნიერებათა ხარისხის მქონე პირთა რაოდენობამ მიაღწია 55 კაცამდე, რაც შეადგენდა პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის თითქმის 50%-ს. შემდეგ წლებში კიდევ მეტად იზრდება ხარისხის მქონე პირთა პროცენტი. 1972-73 სასწავლო წელს მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობიდან 53-ს აქვს სამეცნიერო ხარისხი, რაც შეადგენს 53,5%-ს. ინტიტუტის ხელის შეწყობითა და დახმარებით სხვადასხვა დროს აქ მომუშავე პირებიდან 83-მა მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი. 1972 წლის ინსტიტუტში მომუშავე სამეცნიერო ხარისხის მქონე ლექტორებიდან 38-ს აქვს მოპოვებული სამეცნიერო ხარისხი ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში. ინსტიტუტის კოლექტივის სიამაყეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აქედან 21,1% არის გორის ინსტიტუტის კურსდამთავრებული. ინსტიტუტის საამაყოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ამჟამად აქ მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის 38,3%-ზე მეტი არის დაჯილდოებული მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით - ორდენებითა და მედლებით.

1935-36 სასწავლო წელს ინსტიტუტიში მუშაობდა სამი კათედრა, შემდეგ წლებში კათედრათა რიცხვი გაიზარდა და 1954-55 სასწავლო წლისათვის მიაღწია 22-ს.

1955-56 სასწავლო წლიდან ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით მოხდა მონათესავე კათედრების გაერთიანება და 22 კათედრის ნაცვლად დარჩა 11. დღეისათვის ინსტიტუტში მუშაობს 12 კათედრა. 70-იან წლებში კათედრის გამგეებად მუშაობდნენ საკმაოდ

კვალიფიცირებული და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

* * *

35 წლის მანძილზე ცალკეულ ფაკულტეტებსა და კათედრებზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები:

ა) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე:

აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე, პროფესორები - ამბროსი რუხაძე, ვლადიმერ ჭელიძე, პოლიკარპე ზერაგია, გიორგი ჭოღოშვილი, ადამ ჩახტაური, იონა მირცხულავა და სხვები.

ბ) ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე:

აკადემიკოსები - არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე ბარამიძე, პროფესორები - სერგი ჟღენტი, მიხეილ კანკავა, გიორგი ნადირაძე, ვლადიმერ ფანჩვიძე, ქსენია სიხარულიძე, სოლომონ ხუციშვილი, ელენე მეტრეველი, აპოლონ მახარაძე, გრიგოლ ხავთასი, ივანე შადური, მარიამ თალაკვაძე, მიხეილ ჩიქოვანი, ვალერიან რამიშვილი, პანტელეიმონ ბერაძე, გიორგი ტალიაშვილი, გიორგი შალამბერიძე და სხვები.

გ) ისტორიის ფაკულტეტზე:

პროფესორები - სერგი მაკალათია, ტრიფონ ხუნდაძე, გივი ჟორდანია, ნიკოლოზ ჭეიშვილი, სარგის კაკაბაძე და სხვები.

დ) გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე:

აკადემიკოსები - ალექსანდრე ჯავახიშვილი, არჩილ ცაგარელი, პროფესორები - ნიკოლოზ ძიძიშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, მელქისედ ბექაია, ახმედ ნოღაიდელი, შალვა გონაშვილი, ალექსანდრე გოცირიძე, გიორგი და არჩილ ტარასაშვილები, გიორგი კვაჭაძე და სხვები.

დღეს 1972 წ. 35 წლისთავზე, ინსტიტუტის კოლექტივი სიამაყის გრძნობით იგონებს ამ გამოჩენილი მეცნიერების მუშაობის პერიოდს და იმ დაუზარელ ამაგს, რაც მათ გასწიეს ინსტიტუტის სრულყოფისა და დავაჟკაცების საქმეში.

ინსტიტუტის პედაგოგიური კოლექტივი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასთან ერთად ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. 35 წლის მანძილზე ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ დამუშავებულია 1979 თემა. თემების უმრავლესობა დაბეჭდილია ინსტიტუტის შრომათა კრებულებში, ნაწილი დაიბეჭდა საკავშირო და საქართველოს აკადემიის ცალკეული საკვლევი ინსტიტუტების გამომცემლობებში. ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები მუშაობენ აგრეთვე საშუალო სკოლებსა და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის შექმნაზე.

სტუდენტთა მიერ მეცნიერების საფუძვლების ღრმად დაუფლების, მეცნიერული კვლევა-ძიების ჩვევების გამომუშავებისა და ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში სიახლის სისტემატური გაცნობისათვის დღიდან ინსტიტუტის დაარსებისა, მუშაობენ სტუდენტთა სამეცნიერო წრეები. 35 წლის მანძილზე სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში სულ წაკითხულია 1174 სტუდენტის მოხსენებება. ჩატარებული იქნა სტუდენტთა საინსტიტუტო 24 სამეცნიერო კონფერენცია, სადაც წაკითხულია 1169 სტუდენტის მოხსენება. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ხაზით ჩატარდა 30-ზე მეტი სამეცნიერო სესია. სამეცნიერო საზოგადოებამ 35 წლის მანძილზე მოაწყო დაახლოებით 500-მდე ახლო და შორეული ექსკურსია და ექსპედიცია.

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ

განათლების სამინისტროს მიერ მოწყობილ სტუდენტთა ყველა რესპუბლიკური კონფერენციების მუშაობაში. 1960 წლამდე განათლების სამინისტროს მიერ მოწყობილ სტუდენტთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე სულ წარდგენილი იქნა 243 სტუდენტის მოხსენება, ყველა მოხსენება მოწონებული იქნა. საუკეთესო მოხსენებების წაკითხვისათვის მომხსენებელ სტუდენტთა 30%-ზე მეტი დაჯილდოვდა განათლების სამინისტროს ბრძანებით.

1960 წლის შემდეგ ტარდებოდა სტუდენტთა საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების დათვალიერება. 1960 წლიდან 1970 წლის ჩათვლით სულ გაგზავნილია 70 სტუდენტის მოხსენება, ყველა მოხსენება იქნა მოწონებული, ხოლო ვ.ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სტუდენტთა საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების საკავშირო კონკურსზე ქ. ულიანოვსკში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა ანა ჯებისაშვილმა დაიმსახურა ლაურეატის წოდება.

კურსდამთავრებულთა ნაკვალევზე

ინსტიტუტის კოლექტივი სიამაყის გრძნობით უყურებს კურსდამთავრებულთა ნაყოფიერ საქმიანობას, რომელთა საგრძნობი ნაწილი მუშაობს პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ აპარატში საკმაოდ პასუხსაგებ თანამდებობაზე და ღირსეულად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას.

გორის ყოფილმა სამასწავლებლო ინსტიტუტმა მისი არსებობის 4 წლის მანძილზე სამშობლოს მოუმზადა 688 არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი. სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრე-

ბულთა უკანასკნელი გამოშვება მოხდა 1940 წლის ივლისში. პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება მოხდა 1942 წელს. ეს იყო სამამულო ომის მძიმე პირობებით ნაკარნახევი ვადამდე სამწლიანი კურსით გამოშვება. ამ წელს ინსტიტუტი დაამთავრა და მიენიჭა საშულო სკოლის მასწავლებლის კვალიფიკაცია 145 კურსდამთავრებულს, აქედან 113 იყო ქალი და 32 ვაჟი. ყველა კურსდამთავრებული განაწილდა სამუშაოზე. ამათგან საშუალო სკოლის დირექტორად გაიგზავნა 14, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგედ - 12. 1943 წელს კურსდამთავრებულთა გამოშვება არ მომხდარა. კურსდამთავრებულთა მეორე, ოღონდ სრულყოფილი, ოთხწლიანი კურსით გამოშვება მოხდა 1944 წლის ივლისში. ამ წელს ინსტიტუტი დაამთავრა და საშ-უალო სკოლის მასწავლებლის კვალიფიკაცია მიენიჭა 115 კურსდამთავრებულს, ამათგან 98 იყო ქალი, 17 - ვაჟი.

35 წლის მანძილზე ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა გამოშვება მოხდა 32-ჯერ, აქედან სამასწავლებლო ინსტიტუტისა 4-ჯერ, ხოლო პედაგოგიურისა - 28-ჯერ. ინსტიტუტის კურსი დაამთავრა სულ 7120 კაცმა. აქედან პედაგოგიური - 6432-მა.

სპეციალობათა მიხედვით:

ისტორიის - 489

ქართული ენისა და ლიტერატურის - 899

რუსული ენისა და ლიტერატურის - 403

ბიოლოგიის - 530

გეოგრაფიის - 333

მათემატიკა-ფიზიკის - 522

ფიზიკის - 322

მათემატიკის - 603

ფიზიკა წარმოების საფუძვლების - 97

ბიოლოგია-გეოგრაფიის - 313

ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის - 397

ფიზკულტურის - 312

ბიოლოგია, სოფლის მეურნეობის საფუძვლების - 104

ფიზიკა, ზოგადტექნიკური დისციპლინების - 46

დაწყებითი სწავლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის - 1062

დაუსწრებელი, საღამოს სწავლებისა და ექსტერნის წესით ინსტიტუტი დაამთავრა 1824-მა.

ამგვარად, 35 წლის მანძილზე გორის ინსტიტუტმა (სამასწავლებლო და პედაგოგიურმა ერთად), სამშობლოს მოუმზადა 7120 სხვადასხვა სპეციალობის მასწავლებელი.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულები მუშაობენ საქართველოს რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მუშაობენ ქ. გორში, გორის, ბორჯომის, ქარელის, ხაშურის, კასპის, მცხეთის, დუშეთის, ადიგენის, ასპინძის, ახალციხისა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში. ქ. გორსა და გორის რაიონში მთელი რიგი სკოლები მთლიანად დაკომპლექტებულია გორის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ საგნების მასწავლებლებს, რომელთა მომზადებას არ აწარმოებს ჩვენი ინსტიტუტი.

ქ. გორში არის ზოგადსაგანმანათლებლო 14 საშუალო სკოლა. 14 სკოლის დირექტორიდან 11 გორის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია: II სკოლის - პაპუაშვილი ლერი, III სკოლის - კიკნაძე ქეთევანი, IV სკოლის - გიგაია ვალიკო, V სკოლის -

ჩუტკერაშვილი სერგო, VII სკოლის - აივაზიანი ნაზო, VIII სკოლის - ქურასბედიანი დავითი, IX სკოლის - თავაძე გიორგი, X სკოლის - კლიმიაშვილი ოთარი, XII სკოლის - მაისურაძე თამარი, მუშა-ახალგაზრდობის საღამოს I სკოლის - გოდერძიშვილი აკაკი, საღამოს II სკოლის - მანჯავიძე მიხეილი.

ქ. გორის სკოლებში მომუშავე 620 მასწავლებლიდან ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულია 481, აქედან: მათემატიკოსი - 68, ფიზიკოსი - 30, ლიტერატორი - 63, ისტორიკოსი - 28, ბიოლოგი - 30, გეოგრაფი - 31, ქიმიკოსი - 24, დაწყებითი განათლების - 39, ფიზკულტურის - 15, რუსული ენისა და ლიტერატურის - 65. სკოლებში სხვადასხვა სახის სამუშაოზე დასაქმებულია 88 კურსდამთავრებული. გორის ინსტიტუტის კურსდამთავრებული მასწავლებლებიდან დამსახურებული მასწავლებლის წოდება აქვს 6-ს. ადგილობრივი საბჭოს დეპუტატია - 4. მასწავლებლებიდან დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობს - 2.

გორის რაიონის შესახებ: გორის რაიონში სულ 103 სკოლაა, აქედან ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო - 33, რვაწლიანი - 30 და დაწყებითი - 40. 63 სკოლის დირექტორიდან 32 არის ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებული. 1250 მასწავლებლიდან 761 ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, აქედან: მათემატიკოსი - 119, ფიზიკოსი - 58, ლიტერატორი - 102, - ისტორიკოსი - 70, ბიოლოგი - 49, გეოგრაფი - 56, ქიმიკოსი - 48, დაწყებითი კლასების - 169, ფიზკულტურის, - 36, რუსული ენისა და ლიტერატურისა - 54. ინსტიტუტის კურსდამთავრებულებიდან დამსახურებული მასწავლებლის წოდება აქვს 7-ს, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია - 32. რაიონის სკოლების მასწავლებლებიდან დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობს

65.

ხაშურის რაიონის შესახებ: სკოლათა რაოდენობა 62, მათ შორის საშუალო - 19, რვაწლიანი - 16, დაწყებითი - 27. 35 სკოლის დირექტორიდან 22 არის გორის პედინსტიტუტის კურსდამთავრებული. სკოლებში მომუშავე 753 მასწავლებლიდან 361 ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, მათ შორის: მათემატიკის - 63, ფიზიკის - 24, ქართული ენისა და ლიტერატურის - 54, ისტორიის - 30, ბიოლოგიის - 15, გეოგრაფიის - 23, ქიმიის - 19, დაწყებითი კლასების - 79, რუსული ენისა და ლიტერატურის - 18, ფიზაღზრდის - 36. დამსახურებული მასწავლებელია 1. დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულია 52 მასწავლებელი, დეპუტატია - 22.

ქარელის რაიონი: სკოლათა რაოდენობა 73, მათ შორის საშუალო - 21, რვაწლიანი - 21, დაწყებითი - 31. 42 სკოლის დირექტორიდან 17 ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, ხოლო 814 მასწავლებლიდან 334 გორის ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, მათ შორის: მათემატიკის - 51, ფიზიკის - 25, ქართული ენისა და ლიტერატურის - 48, ისტორიის - 28, ბიოლოგიის - 23, გეოგრაფიის - 33, ქიმიის - 12, დაწყებითი კლასების - 83, ფიზაღზრდის, - 14, რუსული ენისა და ლიტერატურის - 17. დამსახურებული მასწავლებელია 5. დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულია 54, დეპუტატია 17 მასწავლებელი.

კასპის რაიონი: სკოლათა რაოდენობა 56, მათ შორის საშუალო - 18, რვაწლიანი - 13, დაწყებითი - 25. 31 სკოლის დირექტორიდან 12 ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, ხოლო 834 მასწავლებლიდან 240 გორის ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, მათ შორის: მათემატიკის - 32, ფიზიკის - 30, ქართული ენისა და

ლიტერატურის - 38, ისტორიის - 24, რუსული ენისა და ლიტერატურის - 14, ბიოლოგიის - 18, გეოგრაფიის - 23, ქიმიის - 10, დაწყებითი კლასების - 30, ფიზიკურზრდის, - 21. ადგილობრივი საბჭოს დეპუტატია 12. დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულია 21 მასწავლებელი, რომელთაც არა აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება.

სულ ოთხივე რაიონსა და ქ. გორში არის 308 სკოლა. აქედან: საშუალო - 105, რვაწლიანი - 80, დაწყებითი - 123. 185 სკოლის დირექტორიდან 94 გორის პედინსტიტუტის კურსდამთავრებულია. 4271 მასწავლებლიდან 2177 ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, მათ შორის: მათემატიკის მასწავლებელია - 333, ფიზიკის - 167, ქართული ენისა და ლიტერატურის - 305, რუსული ენისა და ლიტერატურის - 168, ისტორიის - 180, ბიოლოგიის - 135, გეოგრაფიის - 166, ქიმიის - 113, დაწყებითი კლასების - 400, ფიზიკურზრდის, - 122. ადგილობრივი საბჭოს დეპუტატია 87, დამსახურებული მასწავლებელია 19. დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულია 194 მასწავლებელი.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ნაწილი დაწინაურებული იყო პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ საქმიანობაზე, ნაწილი სხვადასხვა დროს და ამჟამადაც არჩეულია სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატებად, აგრეთვე საქართველოს სსრ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად.

განათლების ფრონტზე უმწიკვლო მუშაობისათვის ბევრი კურსდამთავრებული დაჯილდოებულია მოიავრობის ჯილდოებით - ორდენებითა და მედლებით. ბევრს მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება. კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი, რომელთაც ინსტიტუტში სწავლის პერიოდში გამოიჩინეს კარგი წარმატება და უნარი მეცნიერული მუშაობისა, დატოვებულ

იქნენ ინსტიტუტში სამუშაოდ. XX საუკუნის 70-იან წლებში 30 ასეთი კურსდამთავრებული მუშაობდა ჩვენთან დოცენტის, უფროსი მასწავლებლისა და ასისტენტის თანამდებობაზე, 29 კურსდამთავრებული - ლაბორანტისა და უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე. კურსდამთავრებულთა ნაწილი მუშაობდა აგრეთვე სხვა უმაღლეს სკოლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ლექტორებად და მეცნიერ-მუშაკებად.

ინსტიტუტი დიდ სამამულო ომში

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ინსტიტუტის კოლექტივმა მთელი თავისი საქმიანობა დაუქვემდებარა ომის ინტერესებს. მრავალი სტუდენტი და თანამშრომელი ომის დაწყების პირველ დღეებშივე ჩადგა საბჭოთა არმიის რიგებში და თავდადებით იცავდა სამშობლოს. სამამულო ომის ფრონტებზე გმირული მოქმედებებით ბევრმა სტუდენტმა და თანამშრომელმა მოიპოვა საბჭოთა ხალხის სიყვარული და პატივისცემა. სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა პეტრე ისიდორეს ძე გვალიამ მტრის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის დროებით დაკავების დროს, ფაშისტური ხროვის ზურგში შეადგინა პარტიზანული რაზმი, რომელიც მოკლე დროში გადაიქცა მტრის რისხვად. საამაყო იყო აგრეთვე სტუდენტ-ტანკისტ, მრავალგზის ორდენოსან ალექსი კოკაურის, სტუდენტი ოფიცრების - სევერიან ბეშიძის, ვიქტორ ოქროპირიძის, ალექსი ნამორაძის, სიმონ ჯანაშვილის, რევაზ ტალახაძის და სხვების გმირული ბრძოლები. ინსტიტუტის კოლექტივი ფართოდ ეხმაურებოდა პარტიისა და ხელისუფლების მოწოდებებს ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის დასახულ

ღონისძიებათა გატარებაში, დიდი რაოდენობით იქნა შეგროვებული და შეტანილი თავდაცვის ფონდში როგორც ნაღდი ფული, ისე სახელმწიფო სესხის ობლიგაციები. შეგროვდა და სახელმწიფოს ჩაბარდა 2 კგ-ზე მეტი ვერცხლი, ოქროს ნივთები, რამდენიმე ათეული კგ. ფერადი ლითონი. სისტემატურად ეგზავნებოდათ ფრონტზე წითელარმიელებს საჩუქრები. საჩუქრებთან ერთად ყუთებში თავსდებოდა გმირული საბჭოთა არმიისადმი სიყვარულით აღსავსე გრძნობების გამომხატველი წერილები. ომის პერიოდში სტუდენტები და თანამშრომლები დიდ შრომით დახმარებას უწევდნენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმოებს. ინსტიტუტის სტუდენტები და თანამშრომლები მუშაობდნენ ვარიანისა და ქიწნისის საბჭოთა მეურნეობებში, გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობაზე, საკონსერვო ქარხანაში, რკინიგზის სადგურში და სხვაგან. გამომუშავებული ფული ირიცხებოდა თავდაცვის ფონდში.

ინსტიტუტის კოლექტივი დიდ მზრუნველობას იჩენდა დაჭრილ მებრძოლთა გაჯანსაღებისათვის: ბიბლიოთეკამ დაჭრილებს მოუწყო მოძრავი ბიბლიოთეკა. ერთი თანამშრომელი ყოველდღე სისტემატურად დადიოდა ჰოსპიტალში და დაჭრილებს უზიდავდა ახალ-ახალ წიგნებს. ჰოსპიტალში შემოღებული იყო სტუდენტთა 24 საათიანი მორიგეობა. ის მუშაკები, რომლებიც არ იქნენ გაწვეული საბჭოთა არმიის რიგებში, ჩაებნენ მტრის გამანადგურებელ ბატალიონში. ლექტორები, ტექნიკური თანამშრომლები და სტუდენტები ყველაფერს აკეთებდნენ მტერზე გამარჯვების დაჩქარებისათვის. უდიდესი ენთუზიაზმით ჩატარდა თანხების შეგროვება საქართველოს კომკავშირის სახელობის ავიოესკადრილიის ასაგებად. ორ-სამ დღეში შეგროვდა და სახელმწიფოს ჩაბარდა 20114 მანეთი. ამ ღონისძიების გატარებისათვის ინსტიტუტის კოლექტივმა დაიმსახურა უდიდესი ჯილდო - დიდი მხედართმთავრის

ამხ. ი. ბ. სტალინის მადლობა.

ფიზიკური კულტურა და სპორტი

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ჯეროვან ყურადღებას აქცევდა და აქცევს ფიზიკურად ჯანსაღი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. წლების მანძილზე სისტემატურად უმჯობესდებოდა მუშაობა, რასაც ხელს უწყობდა სპორტული ბაზებისა და მასწავლებელთა შტატის ყოველწლიური ზრდა.

1947-48 სასწავლო წლიდან ფიზკულტურულ მუშაობაში მოხდა დიდი გარდატეხა. გაიხსნა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი, რამაც კიდევ მეტად შეუწყო ხელი ინსტიტუტში ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების საქმეს.

1949 წლიდან გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივი თავისი ნაყოფიერი საქმიანობით საპატიო ადგილს იკავებს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. 1950 წლიდან გამოჩენილი ალპინისტების - კოტე ასტახიშვილისა და დიმიტრი ობოლაძის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ალპინიზმის განვითარების საქმეს.

1949, 1950, 1951 წლების ზაფხულში და 1953 წლის შემოდგომაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულ პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების სტუდენტთა რესპუბლიკურ სპარტაკიადებში და 1958 წლის მაისში საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოება „ქარიშხალას“ მიერ ჩატარებულ სტუდენტთა რესპუბლიკურ I სპარტაკიადაში გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურულმა კოლექტივმა დაიკავა I ადგილი.

1954 წელს საზოგადოება „ისკრას“ რესპუბლიკური საბჭოს მიერ სპორტის ორ სახეობაში ჩატარებულ უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა რესპუბლიკურ I შეჯიბრში გორის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური პერსონალის სპორტული კოლექტივი გამოვიდა I ადგილზე.

1956 წლის მაისში საქართველოს სსრ ხალხთა I სპარტაკიადაზე თავის ჯგუფში სპორტულმა კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში 90% იყო ინსტიტუტის სპორტსმენები, დაიკავა I ადგილი.

1959 წლის იანვარში მოსკოვის ლენინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა ტრადიციულ 25-ე სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივი. ამ სპარტაკიადაში გორის პედინსტიტუ-ტის ფიზკულტურულმა კოლექტივმა დაიკავა I ადგილი მასპინძლების შემდეგ.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ქარიშხალას“ მიერ ჩატარებულ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების სპორტულ თამაშებში გორის ინსტიტუტის სპორტულმა კოლექტივმა სპორტის ცალკეულ სახეობებში მოპოვებული ადგილებისა და მონაწილე სპორტსმენთა მასიურობით დაიკავა III ადგილი პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის შემდეგ.

1960 წელს ჭიდაობა „სამბოში“ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ნაკრებმა გუნდმა როგორც თბილისში, ისე საკავშირო თამაშებზე ქ. ხარკოვში დაიკავა I ადგილი.

35 წლის მანძილზე მომზადდა „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ I საფეხურის 2217 და II საფეხურის 1062 ნიშნოსანი, მესამე თანრიგოსანი - 2687, მეორე თანრიგოსანი - 1103, პირველი

თანრიგოსანი - 466, სპორტის ოსტატი - 88, საზოგადოებრივი ინსტრუქტორი - 1406, მსაჯი სპორტის სხვადასხვა სახეებში - 1412, ფიზორგი - 735, ალპინისტის 1015 და ტურისტის 1210 ნიშნოსანი. ჩატარებულია 790-ზე მეტი სპორტული ღონისძიება, რომლებშიც მონაწილეობდა 57177-ზე მეტი სტუდენტი.

სპორტმასიური მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივი და ცალკეული მუშაკები დაჯილდოებული არიან სიგელებით,დიპლომებით და „წარჩინებული ფიზკულტურელის“ ნიშნით.

ინსტიტუტის ფიზკულტურულ-სპორტული კოლექტივის ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სპორტმასიური მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის სტუდენტთა ნსს „ბურევესტნიკის“ საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ 1962 წელს ინსტიტუტის კოლექტივი დააჯილდოვა დიდი სამახსოვრო მედლით.

1963 წლიდან მოყოლებული ფიზკულტურულ-სპორტული კოლექტივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მასიურობისათვის გამოცხადებულ საკავშირო კონკურსში გამარჯვებისათვის ყოველწლიურად ღებულობს საკავშირო და რესპუბლიკური ნსს „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური და საკავშირო ცენტრალური საბჭოების გარდამავალ დროშებს.

ინსტიტუტის მაღალი თანრიგის სპორტსმენები გაერთიანებულნი არიან რესპუბლიკურ და საკავშირო გუნდებში: სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრია 5 სტუდენტი. „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები გუნდის წევრი - 14. საქართველოს სსრ ნაკრები გუნდის წევრი - 12. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივის ეს

უმნიშვნელო მონაცემებიც, ვფიქრობ, საკმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ნამდვილად სისხლმჩქეფარე კოლექტივზე, რომელიც რიცხობრივად პატარა იყო, მაგრამ საქმით საკმაოდ შინაარსიანი.

სტუდენტთა თვითშემოქმედებითი წრეების მუშაობა

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ჯეროვან ყურადღებას უთმობდა სტუდენტთა და თანამშრომელთა შორის მხატვრული თვითშემოქმედების ძალების გამოვლინებას და გართობა-დასვენების ორგანიზაციის საქმეს. ამ მიზნით ჯერ კიდევ სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსების პირველსავე წლებში ჩამოყალიბდა დრამატული დასი, მომღერალთა გუნდი, ცეკვების, სასულე ორკესტრისა და სიმებიანი საკრავების წრეები. 1940 წლის შემოდგომისათვის ინსტიტუტის თვითშემოქმედებითმა წრეებმა მიიღეს კარგი საჩუქარი - დამთავრდა კლუბის მშენებლობა და შევიდა ექსპლუატაციაში. ამის შემდეგ კიდევ მეტად გაიშალა მათი მუშაობა. ინსტიტუტის კლუბში სტუდენტთა ძალებით დრამატული დასის მიერ სისტემატურად იდგმებოდა სპექტაკლები, ეწყობოდა საღამო-კონცერტები და სხვ. მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივი არ იფარგლებოდა მხოლოდ ინსტიტუტის კედლებით, საღამო-კონცერტებს მართავდნენ კოლმეურნეობებში, ჯარის ნაწილებსა და საწარმოებში. მხატვრული აგიტბრიგადების სახით გამოდიოდნენ წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა წინაშე. სტუდენტთა თვითშემოქმედებითი კოლექტივის მიერ გამართული დადგმები, საღამო-კონცერტები და გართობის საღამოები კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ მაყურებელზე და ბევრ შემთხვევაში ქებას იმსახურებდნენ.

ინსტიტუტის მხატვრულმა თვითშემოქმედებითმა კოლექტივმა არაერთხელ მიიღო მონაწილეობა საქალაქო და რესპუბლიკურ დათვალიერებაში და დაიკავა საპატიო ადგილი. წლების მანძილზე ინსტიტუტის კლუბთან არსებულ მხატვრულ-თვითშემოქმედების წრეებში გამოვლინდა და აღიზარდა მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლებიც დღეს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში პროფესიონალურ მხატვრულ კოლექტივებში მუშაობენ. ინსტიტუტის საესტრადო კოლექტივი და მისი ცალკეული წევრები - მანანა მაჭარაშვილი, დალი ქვრივიშვილი, ციური წკრიალაშვილი, დები ციცინო და ქეთევან გურასაშვილები... და მათი ხელმძღვანელი ზაქარია კაკალაშვილი, ცნობილი არიან რესპუბლიკის ყველა მხატვრული კოლექტივისათვის და აღიარებულია, რომ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მხატვრული კოლექტივი არის ერთ-ერთი უძლიერესი როგორც რეპერტუარით, ისე შემსრულებელთა შესაძლებლობებით.

წლების მანძილზე ინსტიტუტში მუშაობდა ხელოვნების წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა დოც. გ.პ. ჩიტაია. წრე, რომელშიც გაერთიანებული იყო ინსტიტუტის საუკეთესო ძალები, სისტემატურად აწყობდა გორის თეატრის ახალი დადგმების გარჩევას, მხატვრულ და ლიტერატურულ საღამოებს. წრის ინიციატივით არაერთხელ მოეწყო შეხვედრები პოეტ-აკადემიკოსებთან - გალაკტიონ ტაბიძესთან, გიორგი ლეონიძესთან, იოსებ გრიშაშვილთან, დრამატურგ შალვა დადიანთან. ხშირად ტარდებოდა ლიტერატურული საღამოები ხელოვნებისა და ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრეების გაერთიანებული ინიციატივით. ასეთი შეხვედრები არაერთხელ მოეწყო ლეო ქიაჩელთან, სიმონ ჩიქოვანთან, გრიგოლ აბაშიძესთან, იოსენ ნონეშვილთან, რევაზ მარგიანთან, იაკინთე ლისაშვილთან, სერგო კლდიაშვილთან და სხვ. ხშირად

ტარდებოდა მხატვრულ ნაწარმოებთა საჯარო გარჩევა. ასე მაგალითად, ავტორთა მონაწილეობით გაირჩა: გრიგოლ აბაშიძის რომანი „ლაშარელა“, ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“,. გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე“, უშანგი ობოლაძის „აკაკი და ახალგაზრდობა“, ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, მიხეილ კეკელიძის „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელნი“, ნინო ბოცვაძის „ნორჩ მეგობრებთან ერთად“, ჯემალ ინჯიას „ლიახვმა თქვა“ და სხვ.

ცალკეული ფაკულტეტების დეკანატებისა და კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით ეწყობოდა აგრეთვე შეხვედრები მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეებსა და სოციალისტური შრომის ნოვატორებთან. შეხვედრები მოვუწყეთ აკადემოკოსებს - ივანე ბერიტაშვილს, აკაკი შანიძეს, ალექსანდრე ჯავახიშვილს, გდრ ქ. იენის უნივერსიტეტის ასპირანტ ჰაინც ფეინრიხს, ლანგუას პრემიის ლაურეატს, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელ სერგი წულაძეს, შ. რუსთაველის პრემიის პირველ ლაურეატებს: კ. გამსახურდიას, ე. ამაშუკელს, ლ. გუდიაშვილსა და ი. აბაშიძეს. სოციალისტური შრომის გმირებს - ნიკო ჯაფარიძესა და ნადეჟდა გელდიაშვილს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილს, სსრ კავშირის ექსჩემპიონს ჭადრაკში ნანა ალექსანდრიას, მსოფლიოს ექსჩემპიონს ჭადრაკში მიხეილ ტალს, მწერლებს - კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელაიას, სსრკ სახალხო მხატვრებს უჩა ჯაფარიძესა და ლადო გუდიაშვილს, მსახიობებს - სსრკ სახალხო არტისტ სერგო ზაქარიაძეს, რესპუბლიკის სახალხო არტისტებს - ლეილა აბაშიძეს, ოთარ კობერიძეს, მედეა ჩახავას, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს - ლია ელიავას, დუდუხანა წეროძეს და სხვ.

სამეცნიერო საბჭოს მუშაობა

სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო-კვლევითი, მეთოდური, საორგანიზაციო და ინსტიტუტის ცხოვრებიდან სხვა მთელი რიგი საკითხების შესწავლა-დამუშავებასა და სწორი გეზის მიცემის საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა და ღებულობს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, რომლის წევრთა რაოდენობა წლების მიხედვით მერყეობს 20-27 შორის. ყოველწლიურად საშუალოდ ჩატარებულია 12-13 სხდომა და განხილულია 603 საკითხი, აქედან 185 სასწავლო-აღმზრდელობითი, 72 მეთოდური, 94 სამეცნიერო-კვლევითი, 101 საფაკულტეტო, 151 საორგანიზაციო. სხვადასხვა დროს ჩატარდა სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომები, რომლებიც მიეძღვნა პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახულ ღონისძიებებს - ყრილობებს, სესიებს და პლენუმებს, საიუბილეო თარიღებს - მიხეილ ლერმონტოვის დაბადების 150, იაკობ გოგებაშვილის დაბადების 125, შოთა რუსთაველის დაბადების 800, მაქსიმ გორკის დაბადების 100, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 და ვლადიმერ ლენინის დაბადების 100 წლისთავებს.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა

35 წლის მანძილზე ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა 4 დირექტორი და რექტორი: 1935 წლის სექტემბრიდან 1937 წლის ოქტომბრამდე - გაბრიელ ივანეს ძე თათარაშვილი, 1937 წლის ოქტომბრიდან 1938 წლის ივნისამდე - როსტომ სიმონის ძე შადური, 1938 წლის ივნისიდან იმავე წლის აგვისტომდე - ალექსანდრე ნესტორის ძე მოსიავა და

1938 წლის აგვისტოდან 1973 წლის ივლისამდე - გიორგი ხარაული.

დირექტორის მოადგილეებად სასწავლო-სამეცნიერო ხაზით მუშაობდნენ: 1935 წლის სექტემბრიდან 1936 წლის სექტემბრამდე - ნიკოლოზ გიორგის ძე ცხაკაია, 1936 წლის სექტემბრიდან 1938 წლის ივნისამდე - ალექსანდრე ნესტორის ძე მოსიავა, 1938 წლის პირველი ივნისიდან იმავე წლის 5 აგვისტომდე - გიორგი ილიას ძე ხარაული, 1938 წლის ნოემბრიდან 1939 წლის მარტამდე - ივანე სტეფანეს ძე კაჭარავა, 1939 წლის სექტემბრიდან 1950 წლის თებერვლამდე - ივანე გაბრიელის ძე გვერდწითელი. შემდეგ ერთხანს იყო ვაკანტური ადგილი, 1950 წლის ნოემბრიდან 1957 წლის სექტემბრამდე - გიორგი ონისიმეს ძე ნაცვლიშვილი, 1957 წლის 2 სექტემბრიდან 1971 წლის 22 იანვრამდე - სიმონ იაკობის ძე ხოჯევანიშვილი, 1971 წლის 22 იანვრიდან შოთა იოსების ძე ქურდაძე.

დირექტორის თანაშემწეებად და პრორექტორად სამეურნეო-ადმინისტრაციულ დარგში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: გიორგი ისაკის ძე ვანიძე, სტეფანე ზაქარიას ძე ჭუჭყიანი, ერემია ექვთიმეს ძე გოგოლაძე, ნიკოლოზ ვლადიმერის ძე კვერნაძე, ვახტანგ ზაქარიას ძე ბერიძე, გიორგი პეტრეს ძე ჩიტაძე, დავით ალექსანდრეს ძე ჩუტკერაშვილი, გიორგი გრიგოლის ძე ანანიაშვილი, ანზორ გიორგის ძე სომხიშვილი, ილია ზაქარიას ძე ბერძნიშვილი და შურა გიორგის ძე ხმიადაშვილი.

ფაკულტეტების დეკანებად მუშაობდნენ: ისტორიის ფაკულტეტის დეკანად ნიკოლოზ გიორგის ძე ცხაკაია, სიმონ ალმასხანის ძე ციცქიშვილი. ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანებად - არჩილ რომანის ძე ღვინიაშვილი, ალექსანდრე ანდროს ძე ღლონტი, გიორგი ალექსანდრეს ძე ტალიაშვილი, აპოლონ ტარასის ძე კინწურაშვილი, ქეთევან ივანეს ასული მთიულიშვილი, შოთა იოსების

ძე ქურდაძე. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად - გერონტი ილარიონის ძე ნამიჩეიშვილი, გიორგი ილიას ძე ხარაული, სილოვან გიორგის ძე ცხაკაია, ელიზბარ დიმიტრის ძე მგალობლიშვილი, გიორგი პავლეს ძე ჩიტაია და მეორე ვადით გერონტი ილარიონის ძე ნამიჩეიშვილი. ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად - სიმონ იაკობის ძე ხოჯევანიშვილი, გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანად - თამარ ავქსენტის ასული სიხარულიძე. გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანად - იორამ ფორეს ძე პავლიაშვილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტის დეკანად - ირაკლი ნიკოლოზის ძე ნემსაძე. დაუსწრებელი განყოფილების ფაკულტეტის დეკანად - ანზორ ვლადიმერის ძე კაპანაძე, მირიან სტეფანეს ძე ეფრემიძე, შოთა ნიკოლოზის ძე ასანიძე.

ინსტიტუტში ამჟამად მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებიდან გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობის სტაჟის მიხედვით ასეთი სურათია:

ინსტიტუტში სულ მუშაობს 99 ფიზიკური ერთეული, აქედან: მუშაობის სტაჟი აქვს 1-5 წლამდე 23-ს, 5-10 წლამდე 15-ს, 10-15 წლამდე 11-ს, 15-20 წლამდე 10-ს, 20-25 წლამდე 13-ს, 25-30 წლამდე 14-ს, 30 წლიდან და ზევით 13-ს.

გორის პედინსტიტუტში მუშაობის სტაჟის მიხედვით ყველაზე დიდი ხნის მუშაკებად ითვლებიან, 1936 წლიდან გიორგი ილიას ძე ხარაული და სერგი იოსების ძე მაკალათია, 1937 წლიდან ევგენია სიმონის ასული ღვინიაშვილი და გიორგი პავლეს ძე ჩიტაია. ტექნიკური მუშაკებიდან კანცელარიის გამგე თამარ გიორგის ასული აკოფოვი 1938 წლიდან.

პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა

35 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა და განტმკიცდა ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც დღეისათვის ითვლის 79 წევრსა და წევრობის კანდიდატს. პარტიული ორგანიზაცია დირექციას ყოველთვის ეხმარებოდა და ეხმარება ინსტიტუტის კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში. პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე სისტემატურად იხილება ინსტიტუტის ყველა რგოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები, სხვადასხვა დროს პარტიული ბიუროს მდივნებად მუშაობდნენ: რაფიელ მაღულარია, სევერიან ბეშიძე, შალვა სანაკოევი, შალვა ბიბილაშვილი, გიორგი ტალიაშვილი, აკაკი ჩიხრაძე, შალვა ლოლაძე, აკაკი შაყულაშვილი, მიხეილ ჩიკვაიძე, ანზორ კაპანაძე, ეთერ დეკანოსიძე, ბორის დარჯანია, თამარ ნინოშვილი, შოთა ქურდაძე, ნათელა ბეთლემიძე.

ინსტიტუტის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. მათი ინიციატივით ძალიან ხშირად ტარდება მთელი რიგი ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც ინსტიტუტის დირექციას და პარტიულ ორგანიზაციას ეხმარებიან სტუდენტთა შორის დისციპლინის განმტკიცების, სასწავლო მუშაობის გაუმჯობესების, აკადემიური მოსწრების დონის შემდგომი ამაღლების, შრომითი ჩვევების დანერგვისა და სხვა სახის საკითხების გადაჭრაში. კომკავშირის კომიტეტის მდივნებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: ელენე კორკოტოვა, სიმონ ხოჯევანიშვილი, შალვა ბიბილაშვილი, აკაკი ჩიხრაძე, ლეილა კიკნაძე, შოთა მახარობლიძე, ჟუჟუნა მესროფაშვილი,

ომარ ჩუბინიძე, ომარ გორჯოლაძე, ელგუჯა ბუთხუზი, აფენდი კობერიძე, კარლო ქრისტესიაშვილი, ბეგლარ ნოზაძე, გივი ჯავახიშვილი, ვასტანგ კედელაშვილი, ჯემალ ძიძიგური, ვახტანგ ყანჩაველი, ალექსანდრე იაშვილი, გილდა გუდაძე, დალი დადიანი.

სტუდენტთა შრომითი საქმიანობა

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობასთან ერთად ჯეროვან ყურადღებას აქცევდა და აქცევს სტუდენტთა შრომითი ჩვევების გამომუშავების საქმეს. ყოველწლიურად სტუდენტობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებში. სტუდენტები მუშაობდნენ მშენებლობაზე, ქუჩებსა და სკვერების გამწვანებაზე, საკონსერვო ქარხანაში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სტუდენტების შრომითი საქმიანობა ნაყამირალ მიწებზე მოსავლის აღებაში. 1957 წელს ნაყამირალ მიწებზე მოსავლის ასაღებად გაიგზავნა 51 სტუდენტი. მოსავლის აღების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის თითქმის ყველა სტუდენტი დაჯილდოვდა ზოგი სიგელით და ზოგიც სამკერდე ნიშნით. 1958 წელს ნაყამირალ მიწებზე მოსავლის ასაღებად გაემგზავრა 70 სტუდენტი. სტუდენტებმა კვლავ გამოიჩინეს დიდი შრომითი საქმიანობა, რისთვისაც ინსტიტუტის კომკავშირის ორგანიზაცია დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სიგელით, ხოლო ცალკეული მონაწილენი - მედლებითა და სიგელებით. 1960 წელს ნაყამირალ მიწებზე მოსავლის ასაღებად გაემგზავრა 60 სტუდენტი. ყველა სტუდენტი დაბრუნდა კარგი დახასიათებით და დაჯილდოებული სამკერდე ნიშნითა და სიგელით.

არასდროს არ ნელდება სტუდენტთა ენთუზიაზმი შრომით საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად. ყოველწლიურად ქალაქად და სოფლად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა სახის სამუშაოებში. სისტემატურად ეხმარებოდნენ გორის საკონსერვო კომბინატს ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებაში, გორის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს - მოსავლის აღებაში.

1969 წელს 50 სტუდენტი ზაფხულის არდადეგების პერიოდში მუშაობდა ენგურჰესის მშენებლობაზე და ასრულებდა ყველაზე რთულ სამუშაოს - გვირაბის დაბეტონებას. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთული სამუშაოს შესრულება უხდებოდათ, გორელმა სტუდენტებმა მონდომებული და ენერგიული მუშაობის შედეგად მოცემული გეგმა - 50.000 მანეთის მოცულობისა შეასრულეს დიდი გადაჭარბებით, რის შედეგად დაიმსახურეს მრავალი ფასიანი საჩუქარი და სიგელი. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გორელი სტუდენტები დააჯილდოვა უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. 1970 წლის ივნისში ჯერ კიდევ არ იყო სესიები დამთავრებული, რომ გორელ სტუდენტთა ერთი ჯგუფი 50 სტუდენტის შემადგენლობით შეუდგა სამუშაოზე გასამგზავრებლად სამზადისს. მათ წასვლა მოუწიათ მარნეულის რაიონში. გორელმა სტუდენტებმა ამ წელსაც მთელი მონდომებითა და შესაძლებლობებით მოჰკიდეს ხელი დაკისრებული მოვალეობის ხარისხიანად და დროულად შესრულებას და აი შედეგიც: 25 აგვისტოსათვის მათ სააღმშენებლო გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს. სტუდენტები არ დაკმაყოფილდნენ მარტო სააღმშენებლო სამუშაოებით და დასვენების დღეებში ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოსავლის აღებაში, რისთვისაც დაიმსახურეს მარნეულის რაიონის მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა.

ვფიქრობ, ამ პატარა მოხსენებაში მოტანილი მასალები ერთგვარ წარმოდგენას იძლევა იმ დაუშრეტელი ენერგიის მქონე კოლექტივის ნაყოფიერ საქმიანობაზე, რომელიც მან გაიარა 35 წლის მანძილზე დედასამშობლოს კულტურული ძალების აღზრდის საქმეში.

ინსტიტუტის მიერ მოპოვებული მიღწევები შედეგია იმ უდიდესი მზრუნველობისა, რომელსაც იჩენდა საქართველოს მთავრობა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების შემდგომი ზრდისა და განვითარება-განტკიცების საქმეში.

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივი, საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობითა და დახმარებით, მონდომებული და თავდადებული მუშაობით შეძლებს მის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები და თანამშრომლები იმ ღრმა შეგნებით, რომ ისინი სწავლობენ, ცხოვრობენ და მუშაობენ ი.ბ. სტალინის მშობლიურ ქ. გორში, კიდევ მეტად დაირაზმებიან საქართველოს მთავრობის გარშემო და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა გორის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა, საპატიო ადგილი დაიკავოს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

პედაგოგიურ ინსტიტუტს

ეს ლექსი. რომელიც 1973 წელს არის დაწერილი და დღეს პირველად ქვეყნდება გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ღვაწლმოსილ ყოფილ რექტორს, ბატონ გიორგი ხარაულს ეკუთვნის. სიხარული და ტკივილიც, რომელიც ამ ლექსშია განფენილი, ალბათ, დღესაც ბევრ რამეზე დაგვაფიქრებს...

ნუ იფიქრებ მიგატოვე,
თითქოს ჩემი ნებითა.
ჯანი, ღონე შეგალიე
ათეული წლებითა.
რასაც ჰქვია სილამაზე,
შენს საქმეს მოვახმარე.
დღე და ღამე
ოფლსა ვღვრიდი,
ესეც აღარ ვიკმარე.
ავად გავხდი,
თვალთ დამაკლდა,
ფესი ვერ გამიდგია,
თორემ მე შენ
არ დაგთმობდი,
სანამ სული მიდგია.
სამოთხედ გადაგაქციე
ათეული წლებითა,
ყურთა სმენა აღარ იყო
მუდამ შენი ქებითა.
სიტყვა-საქმე ერთი იყო,
არ ველოდით შველასა.

ინსტიტუტის სიყვარული
აღგვაფრენდა ყველასა.
მუდამ გვქონდა სიხარული
დიდი გამარჯვების,
მოდიოდა ჯილდოები
მრავალი უწყების.
ვინ დათვლის
ან ვინ ჩამოთვლის
იმდენ დროშას, ვიმპელსა,
მთავრობის და უწყებების
ნაირ-ნაირ სიგელსა.
ეხლაც მერჩის
შენთვის გული,
ვწუხვარ შენ აებედობას,
ვწუხვარ, რომ
საქმის მაგიერ
უნდებიან ყბედობას.
ვწუხვარ, რომ თავს დაგჩხავიან
ყვავები და ყორნები.
ლარნაკებს და თასებს
რომ სცვლის
ნაგვით სავსე ურნები...
ნუ იფიქრებ მიგატოვე
თითქოს მთელი გულითა,
სანამ შევძელ გემსახურე
დიდი სიყვარულითა.

1973.15.XI

გაზეთი „ბორის უნივერსიტეტი“, 2002

ინტერვიუები ღვაწლმოსილ რექტორთან

უბერებელი ბერი მუხა

მელოდნენ, ზარის დარეკვისთანავე გაიღო კარი და ოთახში შემიძღვა მასპინძელი. „ძთლად ძველებურად ველარ არის, ახლავე გამოვა გიორგი", გამაფრთხილა და მარტოდმარტო შევრჩი პატარა ოთახს, რომლის მცირე სარკმელიდან შემოჭრილი ზამთრის მნათობის უსიცოცხლო სხივი ანათებდა კარადას. შორიდან ვცდილობ წავიკითხო ძველისძველი წიგნების კიდურებზე შერჩენილი წარწერები. „უმაღლესი მათემატიკა", „მათემატიკა", ვმარცვლავ სიტყვებს. მერე იმ მიმკვდარებული მზის სხივის ათინათით განათებულ ოთახს მოვავლე თვალი. ახალგაზრდა ვაჟის მშვიდი და ჭკვიანი თვალები მიცქეროდა ყველა მხრიდან. ეს სომ ბატონი გიორგის ვაჟია, მოფერებით „ჩიტის" ეძახდნენ, ნაადრევად წავიდა ამ წუთისოფლიდან და განუზომელი სევდა დაუტოვა ოჯახს.

დიდი ხანია, აღარ მიხილავს ბატონი გიორგი, კაცი, რომლის პატიოსნება, სიმართლე და ადამიანობა ცნობილი იყო და ახლაც ცნობილია ჩვენს ქალაქში. ბევრს უსარგებლია მისი მოწყალე გულით, ბევრი გაუხარებია და დაუყენებია ცხოვრების გზაზე.

და აი, ისიც – გიორგი ხარაული!

მოკლე, ფრთხილი ნაბიჯებით შემოდის ოთახში და ალალად, გულღიად მესალმება. კარგა ხანია აღარავინ შემხვედრია ასე გულთბილად, ამ გულყინულიან ქვეყანაში ადამიანებსაც გაეყინათ გული და ღიმილიც სანატრელი გამიხდა...

...მისკლის მიზანი გავაცანი. იუხერხულა, თითქოს დაპატარავდა დევივით კაცი. მერე დამთანხმდა, ოღონდ ქება-დიდებას მოერიდეო, გულწრფელად მთხოვა.

— ოთარ ჩხეიძე, ნორად ალანია, სიმონ გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ კანდელაკი, სერგი მაკალათია, თედო ბეგიაშვილი, კოლია გუგუშვილი, თედო უთურგაიძე... როგორ შესძელით ამ ადამიანების თავშეყრა პედინსტიტუტში?

— ცოტა შორიდან უნდა დავიწყო. ეგ სია არასრულია, მაგრამ მართალი ხარ, იოლი არ იყო ამ დიდებული ადამიანების, აღმზრდელების თავმოყრა. 1936 წელს დავიწყე მუშაობა პედინსტიტუტში. თუმცა მაშინ სამასწავლებლო ინსტიტუტი ეწოდებოდა. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი გახლდით და მათემატიკის კათედრის გამგე.

დირექტორი გაბო თათარაშვილი იყო, 1937 წელს დააპატიმრეს და გააქრეს. არა მგონია, რამე დაეშავებინოს, წმინდა ადამიანად ვთვლიდით. ხანდახან მგონია, უფრო იმიტომ მოგვაშორეს, სხვებს გვესწავლა ჭკუა. შემდეგ ფიზიკოსი ვანო შადური გამოგზავნეს დირექტორად, მე დირექტორის მოადგილედ დამნიშნეს. ერთი თვის შემდეგ დირექტორი დააწინაურეს. მაშინ მე არ ვიყავი კომპარტიის წევრი და არც ველოდი დაწინაურებას, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, 1938 წლის 12 აგვისტოს დამამტკიცეს დირექტორად.

ბევრი რამ იყო მოსაგვარებელი, მაგრამ მთავარი სასწავლებლის პედინსტიტუტად გარდაქმნა, მთავარი კორპუსის მშენებლობის დამთავრება და კარგი კოლექტივის შექმნა გახლდათ.

1936 წელს უკვე გაიხსნა პედინსტიტუტი. მშენებლობაც ნელ-ნელა უახლოვდებოდა დასასრულს. ეჰ, რამდენი მწარე და ნაღვლიანი დღე მახსოვს, მათი მოგონება შორს წაგვიყვანს... ორ წელიწადში შევძელი, რომ რესპუბლიკაში ინსტიტუტებს შორის ჩვენთან ყველაზე მეტი ყოფილიყვნენ ხარისხისა და სამეცნიერო წოდების მქონე ცნობილი ადამიანები. ჩვენს ინსტიტუტში ასწავლიდნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ვარლამ თოფურია, გიორგი ახვლედიანი, დიდი

ივანეს ძმა - ქართული გეოგრაფიის ფუძემდებელი გიორგი ჯავახიშვილი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, გივი ჟორდანია, სერგი მაკალათია...

– ბევრ რამეს გადაეფარა დავიწყების ფერფლი, ხომ არავის მოიგონებდით?

– ემელიანე გოგონავა გახსოვს შენა? (აქეთ მეკითხება ბატონი გიორგი, არა-მეთქი, ვანიშნე), უპატიოსნესი კაცი იყო. პედაგოგიკაში მუშაობდა. ბრმა ნაწლავი გაუსკდა და ვიღაცა ხელმრუდმა გაუკეთა სასწრაფო ოპერაცია და ინაცვალა. საავადმყოფოში ვინახულე, ცრემლები ჩამოსცვივდა თვალებიდან, ის თვალები დღემდე ვერ დამივიწყებია.

–კოლეგების ლექციებს თუ ესწრებოდით?

– ნიკოლოზ კანდელაკის ლექციებს ვუსმენდი მუდამ. ზოგჯერ მომენატრებოდა ქართულად ამეტყველებული და ამღერებული ნიკოლოზი და სტუდენტებთან ერთად შევდიოდი ლექციაზე. დიდი განძი დაკარგა ჩვენმა ინსტიტუტმა, ნიკოლოზი სულ სხვა კაცი იყო...

– სხვები?

– რომელი ერთი დავასახელო. ერთხელ საპატიო ნიშნის ორდენი და მედლები გამოგვიგზავნეს, თან სიტყვიერად მოაყოლეს: საპატიო ნიშნის ორდენი შენა, ხოლო დანარჩენები სხვებს გაუნაწილეო. იმ წელიწადს საპატიო ნიშნის ორდენით სერგი მაკალათია დაჯილდოვდა.

– პირველი ლიტერატურული წერა...

– მოიცა, შვილო; ამას არავინ გეტყვის, სერგი მაკალათიას ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს ჩვენი ინსტიტუტი აფინანსებდა (უეცრად მომგონდა ბატონი სერგი, სტუდენტობისას მეც ვახლდი ლეხურას ხეობაში, ხოლო ბატონმა თედო უთურგაიძემ ხევი და ხევსურეთი დამატარა ფეხდაფეხ). მადლიანი მეცნიერი იყო სერგი. ამის დასაწერად არ გეუბნები, შენ იცოდე მარტო. ერთხელ სამხედრო ნაწილიდან

გვთხოვეს, ვინმემ გაგვაცნოს საქართველოს ისტორიაო. სერგი გავაგზავნეთ. ლექცია კი წაეკითხა, მაგრამ რა წაეკითხა! სულ დამპყრობლები უძახნია ეპოლეტებიანი რუსებისათვის. თუმცა ახლა გვსაყვედურობენ, პირში წყალი გქონდათ ჩაგუბებულიო. ერთი სიტყვით, უეცრად გაქრა სერგი მაკალათია. მერე შინსახკომიდან მოვიდა კაცი და დახასიათება მოგვთხოვა. შეუძლებელი შევძელით... (მაპატიე, ბატონო გიორგი, ალთქმა დავარღვიე, სიტყვა გავტეხე, მიმიხვდებით, ცდუნებას ვერ გავუძელი).

— *პირველი ლიტერატურული წრე თუ გაგონდებათ?*

— როგორ ფიქრობ, მღალატობს მეხსიერება? თუმცა დროა... ომი ახალი დამთავრებული იყო, ფირუზ ჯანაშვილი რომ მოვიდა ჩვენთან, პირველად ლიტერატურულ წრესაც ის უდგა სათავეში. მცხეთელ დავით ნავდარაშვილთან ერთად დადიოდა, ორთავენი პოეტობდნენ.

შემდეგ მოვიდა ოთარ ჩხეიძე. ვერ ვიტყვი, რომ ის პირველი ლიტერატურული წრე ქუხდა. მარტო ინსტიტუტმა იცოდა მათი ლექსები. ოთარ ჩხეიძემ საქართველოს გააცნო ჩვენი ბიჭები, მარტო საქართველოს კი არა... ინსტიტუტში ჯერ „ცისკარი" დაისტამბა. ეს სახელწოდება რომ წაგვართვეს, შემდეგ „მერანის" ორი ნომერი დაიბადა

ოთარ ჩხეიძის ამაგს ვერ გადაიხდის გორი, ძეგლი უნდა დაუდგათ, შვილოსა, ძეგლი... მან გაუკვალა გზა ლევან ფრუიძეს, ჯემალ ინჯიას, მინდია არაბულს, იმ შენს რედაქტორსაც, მურმან ძველაიას, გიორგი ხორგუაშვილს, ელგუჯა მერაბიშვილს. ჰა, ხომ არ გამომრჩი შენა? მხსომებია?

— *ბევრი პოეტი სწვევია ინსტიტუტს, ბევრჯერ ჩატარებულა პოეზიის საღამო ფიზიკის დიდ აუდიტორიაში. მახსოვს, თქვენ არც ერთს არ აცდენდით, წინა მერხზე იჯექით და უსმენდით, ვის გაიხსენებდით დღეს?*

— გალაკტიონს, ლევან გოთუას, გიორგი შატბერაშვილს. გალაკტიონ-

მა „მერი“ წაიკითხა. შემდეგ ოქრუაშვილების ბინაში ვახშამზე დავლიეთ მისი სადღეგრძელო, წამოდგა ფეხზე და სიხარულისაგან აცახცახდა. ორიოდე სიტყვით თქვა სამადლობელი, ცოტა დალევა დააპირა, მაგრამ ვიღაცამ მორიდებით დაუშალა. ის ვიღაც შევაჩერე, ცოტა მოსვა ჭიქიდან და დამშვიდებული დაჯდა. შემდეგ მთელი ღამე გვიკითხავდა.

— ინსტიტუტში დაფრთიანებული პოეტებიდან და მწერლებიდან თუ ვინმეს შეხვედრიხართ?

— ბევრს, ძალიან ბევრს. შარშანაც მოვიდნენ გორელი მწერლები, მინახულეს. ზოგს რატომღაც ჰგონია, რომ აღარავის დანახვა არ მინდა. პირიქით, ადამიანები მაცოცხლებენ დღესაც. თუმცა ჩიტიმ (შვილის პორტრეტზე მანიშნა) მომკლა. ძნელი ყოფილა...

სათქმელს გადავუხვიე, ერთ ლექსში მინდია არაბულმა ჩვენი ინსტიტუტი წმინდა ეკლესიას შეადარა, ახალი წიგნის დაბეჭდვისას მეწვევა ხოლმე მინდია. წიგნს მაჩუქებს. მიხარია, რომ ჩემს ბიბილითეკაში ინახება ოთარ ჩხეიძის, მინდია არაბულის, ლევან ფრუიძის ნაჩუქარი რომანები, ლექსები და მოთხრობები.

— თუ შეიძლება გატეხილი გულის გამრთელება?

— უარყოფით პასუხს ვერ გაგცემთ. დაკოდილი გული მთელდება. ადამიანები მირეკავენ, მამხნევებენ, მომიწყვეს შეხვედრა. არსებობის სტიმული და ცხოვრების იმედი გამიჩნდა...

— რას უსურვებდით „შთაგონების“ მკითხველს?

— მალე ენახოს დამოუკიდებელი, ბედნიერი და ფეხზე დამდგარი საქართველო...

ზაური წაქაძე

გაზეთი „შთაგონება“, №1, 1992 წ.

იბეჭდება მცირედი შემოკლებით

„ნათლის შუქით ანთია“

დრო ძალიან სწრაფად გადის! ოთხმოცი წელი ისტორიისათვის რა ცოტაა!.. მაგრამ რა დიდი გზა გაიარა ბატონმა გიორგი ხარაულმა, რამდენი ღირსსახსოვარი მოვლენით აღიბეჭდა ეს დიდი, ძნელი და სახელოვანი გზა!

გიორგი ხარაული უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიური საზოგადოების ღირსებული მოღვაწეა. რესპუბლიკას ახსოვს, ჩვენს ქალაქ ახსოვს რამდენ კარგ მამულიშვილურ საქმეს ჩაუდგა სული, მისი მადლიერი რამდენი ახალგაზრდა თუ ჭარმაგი დააბიჯებს დღეს რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებში.

იგი ნამდვილი პედაგოგია. ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

დინჯად, აუჩქარებლად ლაპარაკობს და ირჯება. მაგრამ ეს არ არის პოზა, არც თვითდაჯერებულობა. ეს დასაბამიდან მოსდევს გორელ კაცს. მასთან საუბარში იგრძნობა გულწრფელობა, გულწრფელობა და ნანახ-განცდილის მოზღვავება.

აღმზრდელის შრომა ქვის მტეხელის შრომაა. მაგრამ მადლიანი, რომლის ნაყოფიც საყოველთაო სიყვარული და თაყვანია გიორგი ხარაულისადმი.

ბატონი გიორგი 35 წელი ეწეოდა რექტორის მძიმე ჯაპანს და თავდადებით იღწვოდა ქვეყნად სიკეთის დასამკვიდრებლად. მოყვასის რწმენის განსამტკიცებლად, ახალგაზრდობისათვის ცხოვრების დიდ გზაზე გასაყვანად.

დღეს მადლიერი საზოგადოება, მისი აღზრდილები და აღზრდილთა აღზრდილები ქედს იხრიან 80 წლის გიორგი ხარაულის წინაშე, მისი დიდი გარჯის, დიდი შემართების, დიდი კაცობის წინაშე.

კორესპონდენტი: რა გრძნობა გიპყრობთ 80 წლისთავზე?

გ. ხარაული: თითქოს მძიმე ტვირთს ვიხსნი მხრებიდან... 60 წლისთავზე იუბილეს აღნიშვნა რომ შემომთავაზეს, გაგონებაც არ მსურდა...

ახლა, 80 წლისთავზე – დავთანხმდი.

იცით რატომ?

ახლა ხშირად მარტო ვრჩები ჩემს ფიქრებთან და დავინახე, რომ ბევრი, ძალიან ბევრი რამ ვიცი, რაც გორელებმაც უნდა იცოდნენ, ჩემს მეტი კი ვერავინ ეტყვის. ამიტომ აღარ ვთქვი უარი მათთან შეხვედრაზე. თან ახლა იმ ასაკში ვარ, რომ ვერც კარიერისტობას დამწამებს ვინმე და ვერც თავის გამოჩენისადმი სწრაფვას.

კორესპონდენტი: ბატონო გიორგი, ორიოდე სიტყვით, როგორ მიხვედით მეცნიერებაში?

გ. ხარაული: გორის პედაგოგიური ტექნიკუმი რომ დავამთავრე, 1927 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე განვაგრძე სწავლა, მეოთხე კურსზე, როგორც წარჩინებულმა სტუდენტმა, თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში დავიწყე მუშაობა, შემდეგ – ქარსანის მაგნიტურ ობსერვატორიაში. რა დასამალია, ეკონომიურადაც მიჭირდა მაშინ, ზაფხულში რომ თეთრი ტილოს ფეხსაცმელი მეცვა, ზამთრისთვის შავად ვღებავდი. იქ კი კარგი ხელფასი დამინიშნეს... მერე ეტყობა, რაღაც სიკეთე შემნიშნეს და მალე მოსკოვში გამაგზავნეს ასპირანტურაში.

მოსკოვში დღე და ღამის გასწორება მომიხდა. მაშინ გერმანული უკეთესად ვიცოდი, ვიდრე რუსული. რუსულ ენას და სპეციალობას პარალელურად ვსწავლობდი. დისერტაცია დროზე დავწერე, ძალიან ვღელავდი ამდენი პროფესორების წინაშე, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

საქართველოში რომ დავბრუნდი, მაშინ კადრები ჭირდა და სად

ალარ მიმიწვიეს, მაგრამ სწორედ იმხანად გორში ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი გაიხსნა და... სადღა წავიდოდი?

რაღა დაგიმალოთ და, გორს ვერც ერთ ქალაქში ვერ გავცვლი. მოსკოვშიც, თბილისშიც ცხოვრების საშუალება მქონდა, მაგრამ... რა ვქნა, გორი ყველას მირჩევნია.

კორესპონდენტი: რომელი წლიდან დაიწყეთ მუშაობა გორის ინსტიტუტში?

გ. ხარაული: 1936 წლიდან ფიზიკა-მათემატიკის განყოფილების (დღევანდელი დეკანის ტოლფარდი იყო) და კათედრის გამგედ დამნიშნეს, ჩამოვედი და ვასწავლიდი უმაღლეს ალგებრას, მათემატიკურ ანალიზს და ანალიზურ გეომეტრიას. ასისტენტიც არ გამაჩნდა. მერე მირჩიეს, ერთი ნიჭიერი ქალიშვილია ჟენია ღვინიაშვილი, სკოლაში ასწავლის, გამოგვადგებაო. ვთხოვე, გადმოვიდა ინსტიტუტში ეს ქალბატონი (იქვე მჯდარ მეუღლეზე უთითებს). შემიმსუბუქა საქმე და... აგერ 50 წელია მიმსუბუქებს ცხოვრებასაც.

ჰო, იმას ვამბობდი... მალე დირექტორის მოადგილე გავხდი, 1938 წლიდან კი დირექტორი, მერე ოთხწლიანი ინსტიტუტი გაიხსნა, მერე რექტორი დამერქვა.

კორესპონდენტი: ჯერ კიდევ დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი გამოცემის ავტორთა შორისაა გიორგი ილიას ძე ხარაული. ხომ არ გწყდებათ გული, რომ მეცნიერული მუშაობა ველარ გააგრძელეთ და ხელმძღვანელ სამუშაოს შერჩით?

გ. ხარაული: მართალი ბრძანდებით... ერთხანს განვიცდიდი თითქოს, მაგრამ ახალგაზრდობის აღზრდა დიდი საქმეა, შვილო. მეცნიერება ერთია, ხალხი - სულ სხვა. როცა იცი, შენს მამულს ღირსეული მოქალაქეები ჭირდება და შენ მათი აღზრდა გავალია... ადამიანმა

ადრე, თუ გვიან თავისი ადგილი უნდა იპოვოს. მე მიმაჩნია, რომ ჩემი ადგილი უფრო ახალგაზრდობასთან იყო, ვიდრე მეცნიერებაში.

კორესპონდენტი: თქვენ გახსნილი შუბლით და მართალი გულით ატარეთ რექტორის მძიმე ტვირთი...

გ. ხარაული: ეგ, როცა წელში გავიმართე, შვილო, მანამდე კი სტუდენტებთან ერთად ვაშენე სასწავლო კორპუსიც და საერთო საცხოვრებელიც. იოლი არ იყო მისვლა იმ დასკვნამდე, რომ სტუ-დენტს არ უნდა ყვირილი, მუქარა, მეგობარივით უნდა ამოუდგე მხარში, მშობელივით ჩაიხედო მის გულში, მერე მოგენდობა და საქმეს არ უღალატებს.

უკმაყოფილო რომ არავინ დარჩენილიყო მისაღები გამოცდებით, ვცდილობდი ყველგან დავსწრებოდი, მანამდე კი აბიტურიენტებზე ნაკლებ როდი ვიზეპირებდი ქართულში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ისტორიაში, ბიოლოგიაში... მისაღები გამოცდების პროგრამას. სახლში, ზოგჯერ თვალის მოსატყუებლად ძლივს შევდიოდი. მძიმე, ძალზე მძიმეა რექტორის ტვირთი, მაგრამ მთავარია: „სული გქონდეს უსპეტაკეს თოვლისა...“

კორესპონდენტი: ბატონო გიორგი, ახლა ლეგენდებივით ჰყვებიან თქვენი ყოფილი სტუდენტები, რომელთაც ხელი შეუწყეთ ცხოვრების გზაზე დადგომაში, თქვენი მზრუნველობით, თქვენი ობიექტურობით.

გ. ხარაული: ისე, დრო რომ გავა, გაზვიადებაც იციან ადამიანებმა. ობიექტურობას კი ძალიან ვცდილობდი. თუ ახალგაზრდას მონდომებას შევაჩნევდი, თუ იგი რომელიმე შორეული კუთხიდან (საინგილო, მესხეთი, ხევსურეთი) იყო და ვიცოდი გაუჭირდებოდა ქალაქელ ქალ-ვაჟებთან მეტოქეობა... ხელსაც წავუკრავდი ხოლმე, ოღონდ არ ჩაჭრილიყო და

უკონკურსოდაც ჩავრიცხავდი. ახლა ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ იყო დრო, როცა საქართველოს შორეულ მთიანეთში მასწავლებელი უმაღლესი განათლებით იშვიათობა იყო. აბა არ უნდა მივშველებოდი, შვილო?

კორესპონდენტი: თქვენი დროის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის წესრიგს და დისციპლინას ახლაც იხსენებენ...

გ. ხარაული: მართალია. მე ძალიან მკაცრი კაცი ვიყავი უდისციპლინოებისა და ზარმაცების მიმართ. წესრიგი და სისუფთავე მუდამ სანიმუშო გვქონდა. ხშირად ღამე უდროო დროსაც შევივლიდი ხოლმე საერთო საცხოვრებელში. ყველაფერს წკრიალი გაჰქონდა. სულ თავისი ხელით ასუფთავებდნენ სტუდენტები.

კორესპონდენტი: ახლა სკოლებშიც კი არიან ძნელად ალსაზრდელი ბავშვები, და, ნუთუ თქვენთან უზნეო ან ხულიგანი ახალგაზრდები არ იყვნენ ინსტიტუტში?

გ. ხარაული: რომ გითხრათ არა მეთქი, არ დაიჯერებთ, მაგრამ ასე კი იყო. მე პირიქით, ვცდილობდი ე.წ. „ძნელი ახალგაზრდები" ჩამება სწავლასა და შრომაში. ერთი დედით ობოლი ბიჭი იყო, ხელმრუდი. ჯერ ინსტიტუტის სპორტდარბაზში მოვიჩვიე, მერე – ლაბორანტებს ჩავაბარე და ამეცადინეს... ჩაირიცხა. ახლა სკოლის დირექტორია კაცი, კარგი ოჯახის და შვილების მამაა...

თქვენ წარმოიდგინეთ, ერთხელ ქალებშიც გამოერია ხელმრუდი. სულ თვალის არეში მყავდა. პირველად ახლოს არავინ იკარებდა (საერთო საცხოვრებელში საათი მოეპარა), მერე ჩება თვითშემოქმედებაში, სწავლაში... ახლა სანიმუშო მასწავლებელი და ოჯახის დედაა... ასეთი მაგალითები ძალიან შორს წაგვიყვანდა.

დამნაშავეებს კანონი სჯის. მაგრამ დასჯა საშუალება როდია,

მთავარი აღზრდაა — ის, რაც კანონს მიღმაა, რასაც კანონის მუხლები არ ითვალისწინებს, მაგრამ უფრო საგულისხმო და დამაფიქრებელია.

კორესპონდენტი: თქვენი ყველაზე ძვირფასი რელიკვია.

გ. ხარაული: ჩემთვის ფასდაუდებელია ჩემი ყოფილი სტუდენტებისა და მათი მშობლების მადლობის წერილები, წიგნები, რომელთა ავტორები ჩემი აღზრდილები არიან.

წიგნები ავტოგრაფებით:

„ახალგაზრდობის ხევისბერს, გიორგი ხარაულს მისი გაზრდილისაგან...“

„დიდად პატივცემულ გიორგი ხარაულს მისი ნაპატრონები და გაზრდილისაგან“.

„ბატონ გიორგის, თავისი ერის წინაშე ვალმოხდილ კაცს...“ და ა.შ.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ მშობლებისაგან ბატონი გიორგისადმი მიწერილი წერილები. ერთ-ერთი მათგანიდან გთავაზობთ ნაწყვეტს: *„მე თქვენ თვალით არ მინახიხართ, მაგრამ მწამს, იოსებ ოცხელის ორეული ბრძანდებით: განათლებული, პატრიოტი, გულკეთილი, ახალგაზრდობის დიდი მესაიდუმლე, ქომაგი, გაჭირვებულთა შემწე, ჭეშმარიტი აღზრდელი და სულიერი განმანათლებელი. დიდი მადლობა, კეთილო ადამიანო, ჩემი ერთადერთი შვილის, ლოგინზე მიჯაჭვული ადამიანის ერთადერთი იმედის პატრონობისათვის.*

ბენო ნოზაძე“

აბა რა იქნებოდა ამაზე ძვირფასი რელიკვია?

კორესპონდენტი: ცივი გონებით განსაჯეთ გორში პედინსტიტუტის გაუქმება.

გ. ხარაული: პედაგოგი, ნამდვილი მასწავლებელი ერს არასოდეს მოჭარბდება, რომ ალარაფერი ვთქვათ ქართლის გულზე, როგორც იაკობ გოგებაშვილის აკვანზე, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს გორში გაიხსნა სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიები. მარტო ქართული კი არა, სომხური, აზერბაიჯანული ტრადიცია განა ცოტას ნიშნავს?

მერე და... ხომ შეიძლებოდა დარჩენილიყო პედაგოგიური ინსტიტუტი, შემცირებული ფაკულტეტებით, ეკონომიკური ფაკულტეტის დამატებით? მე, ალბათ, სუბიექტური ვიქნები, მაგრამ... გორში პედინსტიტუტი უნდა დარჩენილიყო... არ დაგავიწყდეთ: პედაგოგიური ინსტიტუტი ტონს აძლევდა ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებას. მისი ახალგაზრდობა იყო მაგალითის მიმცემი მოქალაქეობრიობაში, თვითშემოქმედებაში, სპორტშიც.

მარტო ოთარ ჩხეიძის მწერალთა წრე რად ღირდა?! დღეს მის საფუძველზე უკვე მწერალთა კავშირის განყოფილება აქვს ქალაქს. ახლა სახელოვანი სპორტსმენები, გორს რომ საერთაშორისო ასპარეზზე გაუთქვეს სახელი!..

კორესპონდენტი: საინტერესოა თქვენი აზრი მასწავლებელზე.

გ. ხარაული: მასწავლებელი პირველყოვლისა უნდა იყოს სპეტაკი, ყველაფერში მაგალითის მიმცემი. საგნის მცოდნე, პროგრამული მასალით არ უნდა შემოიფარგლოს.

მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ მარტო თავის თავს არ ეკუთვნის, იგი საზოგადოების განუყოფელი უჯრედია. ამიტომ საკუთარი ღირსების გრძნობა არ უნდა დაკარგოს. ისე, ჩემი ღრმა რწმენით, მასწავლებლად უნდა დაიბადო.

კორესპონდენტი: რა აზრისა ბრძანდებით გორის საზოგადო

საკრებულოზე?

გ. ხარაული: უეჭველად კარგი საქმეა, კარგი საქმე. ჩემის აზრით, თუ ასე იმოქმედებს საზოგადო საკრებულო ბევრ მამულიშვილურ სიკეთეს დაედგმება თავი. განსაკუთრებით მეამაყება, რომ საზოგადო საკრებულოს გორის პედინსტიტუტის აღზრდილი ხელმძღვანელობს.

კორესპონდენტი: თქვენი დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი.

გ. ხარაული: მე ცხოვრების ჩემი კრედო მაქვს: სიმართლე, მხოლოდ სიმართლის სამსახური. ამ რწმენით გავატარე მთელი ჩემი ცხოვრება.

მასარებს, რომ სიმართლეს და პატიოსან შრომას ასპარეზი ეძლევა.

...რაც იყო, იყო... წარსულზე ლაპარაკით განა აწმყო შეიცვლება? არ აჯობებს ყველამ აკეთოს თავისი საქმე ისე, რომ გავთავისუფლდეთ ნეგატივიზმისაგან, საქმე სჯობია, შვილო, სიტყვასა.

ადამიანი პირველ რიგში შენი თავის მოსამართლე უნდა იყო, თავი არ უნდა მოიტყუო და სხვასაც აღარ მოატყუებ.

კორესპონდენტი: ძალიან გადაგღალეთ, ბატონო გიორგი. ერთი შეკითხვაც: რას უსურვებთ ჩვენს ახალგაზრდობას?

გ. ხარაული: რაც მეტს გააკეთებთ, მეტს მოასწრებთ. ისწავლეთ, იმუშავეთ, მიიღეთ სიამოვნება იმ საქმისაგან, რომელსაც აკეთებთ, გიყვარდეთ საქართველო, თქვენი ქალაქი, იყავით კეთილი და სულგრძელი, ბედნიერი და ჯანმრთელი!

საუბარმა ბატონ გიორგი ხარაულის პიროვნებაში წარმოაჩინა ის უქრობი ცეცხლი „წვისას რომ საკმეველივით მძაფრ სურნელს გამოსცემს და ჩირაღდანივით ნათლის შუქით ანთია...“

ლალი ჭანკოტაძე

გაზეთი „გამარჯვება“, №128, 1988

ღვაწლის დაფასება
გიორგი ხარაულის მზე

მოსაწვევი ბარათიც მას ჰგავს, მასავით გულმართალი და მოკრძალებულია: „გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კულტურის აღორძინების სამხარეო ფონდი 9 ნოემბერს, 1 საათზე გიწვევთ დიდი მამულიშვილის გიორგი ხარაულის მემორიალური დაფის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე“.

ბარათის მარცხენა მხარეს გიორგი ხარაულია აღბეჭდილი, ფოტოგრაფს მოუსწრია და დაუჭერია მისი მანერა, ვისთვის მრისხანე და ვისთვის თბილი. ნამდვილად ასეთი იყო: არაკაცები უფრთხოდნენ, ერიდებოდნენ, ადამიანობაზე, პატიოსნებაზე თავგადაკლულნი სათუთად ინახავდნენ გულში მის ხატებას. დროც ისეთი მჭლე და ღარიბი იყო, ცოტა უნდა მორიდებოდა, ბევრს ჰყვარებოდა და მიებაძა მისი ცხოვრების წესისათვის.

ვკითხულობ წარწერას: დრომ ბევრი რამ გადააფასა, ბევრი ფაქტი, მოვლენა, პიროვნება სულ სხვა იერით წარმოჩინდა.

ბევრი რამ, თურმე...

ბევრი ვინმე თურმე...

მაგრამ XX საუკუნეშიც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ნაცარწაყრილი ნაკვერჩხლებივით ინახავდნენ პატიოსნებას, სინდისს, ღირსებას, ასეთ ადამიანად ახსოვთ გორელებს ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი გიორგი ხარაული, რომელიც 36 წლის განმავლობაში სათავეში ედგა უმაღლეს სკოლას და ქვეყანას უზრდიდა ღირსეულ შვილებს.

მომაგონდა, „უბერებელი ბერმუხა“, მომაგონდა ეს ინტერვიუ, ათი წლის წინ, 1991 წლის დეკემბერში ვესტუმრე გიორგი ხარაულს,

ვესაუბრე და გაზეთ „შთაგონებაში" გამოვაქვეყნე ინტერვიუ სახელოვან გორელთან. იქედან ამოუღიათ ეს აზრი, მოსწონებიათ და მოუძებნიათ.

ამჯერად იმ გულწრფელ ინტერვიუს გვერდს ავუვლი, სწორედ მას მოვიგონებ, რაც არ დამიწერია და ათი წელია გულით ვინახავ. პედინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ხშირად ვხვდებოდი, მისაღებ გამოცდებს ვესწრებოდი გაზეთ „გამარჯვების" სპეციალური კორესპონდენტი. მახსოვს, ერთხელ ხელი მომკიდა, წამოდი, საოცრება უნდა გაჩვენოო და ისტორიის გამოცდაზე შემიყვანა. მართლაც არ მენახა ასეთი რამ, აბიტურიენტი ყველა კითხვას უშეცდომოდ პასუხობდა. არც ერთი კითხვა უპასუხოდ არ დაუტოვებია ახალგაზრდას.

– ამას, შვილოსა, ათიანი უნდა დაკუწეროთ! – დაასკვნა რექტორმა და შეაქო ახალგაზრდა – თანაც ჩვენებურია, ხიდისთავიდანაა, რამ გაგზარდა, შვილო, ასეთი კარგი ხიდისთავში?

ის ბრწყინვალე ახალგაზრდა გიორგი ლაშქარაშვილი გახლდათ, ცხონებული, ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან...

საუბარში ნაღველი შევნიშნე, თითქოს აზრი გამოცლოდა სიცოცხლეს. მოგონებემმა ცოტა გამოაცოცხლეს, მაგრამ გულისტკივილი მაინც ვერ დაფარა, გული ეთანაღრებოდა, რომ გაჰქრა მისი შექმნილი სამყარო, დაიკარგა ტრადიცია, რომლითაც იზრდებოდნენ ქართლის შუაგულში ქართველები.

ნამდვილად დამიჯერა, რომ მიყვარდა და პატივს ვცემდი, მაგრამ ნუგეში მხოლოდ საუბრის ბოლომდე მიჰყვა. პორტრეტის გადაღება ვთხოვე, ჟურნალი „კლდეკარი" მივაწოდე და ფოტოაპარატით გადავიღე ამაგდარი ადამიანი.

მერე წამოდგა, ოთახის კარი გამოაღო და მეუღლეს დაუძახა:

– მოდი, ჟენო, უკანასკნელი სურათი გადავიღოთ!

მეგონა ცრემლი ჩამოვარდებოდა, მაგრამ მოერია სიბერის წვიმას, მეუღლეს გვერდზე მიუჯდა და...

და გადაიღე გიორგი ხარაულის უკანასკნელი ფოტო...

* * *

9 გიორგობისთვე... მზიანი დღე დაუდგა გიორგი ხარაულს, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაანათა მკვდრის მზემ, მიმქრალი შარავანდედი ხომ ცხოვრებაა!

უნივერსიტეტის წინ ხალხმრავლობაა, ამაგდარი ადამიანის პატივსაცემად ბევრი გორელი მოვიდა. ვხედავ უკვე ჭაღარა პედაგოგებს, სახელოვან სპორტსმენებს, მწერლებს.

მიკროფონთანაა კულტურის აღორძინების სამხარეო ფონდის ხელმძღვანელი დავით ქიტიაშვილი, იგი საუბრობს მამულიშვილზე, შეკრებილთ ახსენებს გიორგი ხარაულის დიდ ღვაწლს.

ამაგდარ პედაგოგს, მეცნიერს, სახელოვან შვილს იგონებენ სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გედევან ხელაია, გორის რაიონის გამგებელი ზაზა კოშაძე, დოცენტი გივი ხაჩიძე, ქვახვრელის საშუალო სკოლის დირექტორი შალვა გიგოლაშვილი, მწერალი გიორგი ავალიანი, პედინსტიტუტის ყოფილი აღმზრდელი, პენსიონერი გერონტი ნამჩეიშვილი.

გედევან ხელაია ხსნის მემორიალურ დაფას, რომელმაც უნივერსიტეტის კედელზე სამარადჟამოდ დაიდო ბინა. დაგვრჩა ერთი გულთბილი წინადადება: „1938-1973 წლებში გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად მოღვაწეობდა დიდი მამულიშვილი გიორგი ხარაული“.

ზაურ წაქაძე

გაზეთი „გორის მოამბე“, 16-22.XI.2001, იბეჭდება შემოკლებით

მოგონებანი გიორგი ხარაულზე

გიორგი ხარაული თითქმის ოთხი ათეული წელი (36 წელი) მართავდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს. 1935 წლიდან დაიწყო ამ უმაღლესი სკოლის მშენებლობა და მიუხედავად მრავალი გაჭირვება-წინააღმდეგობებისა გაუძლო გაუსაძლისს, ჟამ-უჟამობას, ბოლომდე მიიყვანა საქმე და ძალუმადაც. მის შემდეგ წლიდან წლამდე შენდებოდა და მშვენდებოდა სასწავლო კორპუსები, კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტული მოედნები. ძალას იკრებდა ინსტიტუტის სასწავლო მატერიალური ბაზა. იხსნებოდა ახალი ფაკულტეტები, სპეციალობები, განყოფილებები. ყალიბდებოდა დარგობრივი კათედრები. იზრდებოდა სამეცნიერო პედაგოგიური კადრები, მატულობდა ნიჭიერ სტუდენტთა რაოდენობა. მაღლდებოდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრება და მტკიცდებოდა შეგნებული დისციპლინა. არნახულ მაჩვენებლებს აღწევდნენ სპორტში. გვყავდნენ და გვყვანან ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები, სსრკ და ევროპის პრიზიორები. ინსტიტუტი უზრუნველყოფდა რეგიონსა და საქართველოს მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. გორის ინსტიტუტს გამორჩეული ადგილი ეკავა საბჭოური საქართველოს 19 უმაღლეს და 7 პედაგოგიურ ინსტიტუტს შორის. ხოლო საკავშირო მასშტაბით 700 პედაგოგიურ უმაღლეს სკოლაში მეორე ადგილი დაიკავა 1964 წ. ყველა მაჩვენებლით. ეს ყველაფერი მიუთითებდა ინსტიტუტის მთელი კოლექტივის მინდობილი საქმისადმი ერთგულებაზე და განსაკუთრებით მისი რექტორის ბატონი გიორგი ხარაულის თავდადებაზე, ტიტანურ შრომასა და თავისი ქალაქის და ქვეყნის ღრმა სიყვარულზე, სტუდენტებისადმი მამა-შვილურ დამოკიდებულებაზე, პედაგოგიური და სამეცნიერო

კადრების ზრდის უწყვეტობაზე, მათდამი თანადგომასა და მხარდაჭერაზე, ახალგაზრდობაში ზნეობრივი ფორმირებისა და ახალღირებულებათა დანერგვაზე.

ერთი წლის შემდეგ გორელები (და არა მარტო გორელები) აღნიშნავენ ხარაულის დაბადების 100 წლის იუბილეს. ჩვენს გაზეთს, ახალგაზრდული დეპარტამენტის ორგანოს „მშვიდობას" განზრახული აქვს სისტემატურად გააშუქოს ამ დიდი მამულიშვილის ღვაწლზე, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე. ამისავის კი მივმართეთ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგეს, პედინსტიტუტის აღზრდილს, სახელოვან ძიუდოისტ ფალავანსა და ძიუდოისტთა ქართული სკოლის ქურუმს, ღირსების ორდენის კავალერს, გიორგი ხარაულის სტუდენტსა და თანამოღვაწეს, დოცენტ გურამ პაპიტაშვილს, რომელმაც გვიამბო: „...განუმეორებელია იმ ვადით რექტორად ყოფნა, რა დროის მონაკვეთშიც ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (დღეს უნივერსიტეტის) რექტორი იყო გიორგი ხარაული 1938-1973.

მასთან როდესაც შედიოდი საკმოდ მომზადებული უნდა ყოფილიყავი იმ საკითხზე, რაც უნდა მოგეხსენებინა. მე მხვდა წილად ასეთ ფაქტს შევსწრებოდი - როდესაც მდივანმა მოახსენა თქვენთან მიღებაზეა სამხედროდან დემობილიზებული ახალგაზრდაო, რა თქმა უნდა მიიღო, მან მოახსენა თავისი სურვილი, წარუდგინა აბიტურიენტის საჭირო საბუთები. გიორგიმ გულდასმით გადაათვალიერა, სახეზე სიამოვნების ელფერმა გადაჰკრა. ეს გამოიწვია საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობამ და მრავალმა მადლობამ, რაც მან დაიმსახურა სამხედროში სამსახურის დროს. უსურვა წარმატება მისაღებ გამოცდებზე.

ეს პიროვნება იყო დუშეთის რაიონის სოფელ ვაშლობის მკვიდრი ვახტანგი კედელაშვილი (1962 წელი), როდესაც ვახტანგიმ რექტორის სამუშაო ოთახი დატოვა, გიორგიმ შემომხედა და განაცხადა გვიმრავლოს ასეთი ახალგაზრდობა, კარგი კაცი დადგებაო...

მე როგორც ინსიტუტის პედაგოგი ხშირად ვამჩნევდი მის ზომიერებას, 1966 წარმატებით დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. დღეს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტია.

ბრძენი კაცის წინასწარმა განსაზღვრამ თავი იჩინა ვახტანგის პიროვნებაში და რამდენმა ათეულმა, ასეულმა გაამართლა გიორგი ხარაულის შეხედულებანი, მეც მისი ამაგდარობით ვარ ის, რაც ვარ.

გურამი პაპიტაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
კათედრის გამგე

დაფასებული ამაგი

„დრომ ბევრი რამ გადაფასა, ბევრი ფაქტი, მოვლენა, პიროვნება სულ სხვა იერით წარმოაჩინა. ბევრი რამ თურმე... ბევრი ვინმე თურმე... მაგრამ მაშინაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ნაცარწაყრილი ნაკვერჩხალივით ინახავდნენ პატიოსნებას, კეთილსინდისიერებას, ღირსებას, ასეთ ადამიანად ახსოვთ გორელებს ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედინსიტიტუტის რექტორი გიორგი ხარაული, რომელიც 36 წლის მანძილზე სათავეში ედგა უმაღლეს სკოლას და ქვეყანას უზრდიდა ღირსეულ შვილებს“ - ეს სიტყვები ეკუთვნის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთ კურსდამთავრებულს ზაურ წაქაძეს, რომელსაც ამ ინსტიტუტის ყველა კურსდამთავრებული გაიზიარებს. გაიზიარებს ყველა ის, ვინც გიორგი ხარაულის მრავალმომცველ მოღვაწეობას იცნობდა...

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის და სპორტის ფაკულტეტის სტუდენტები, ფაკულტეტის ხელმძღვანელობა, დეკანი, დოცენტი გივი ხაჩიძე, ფიზიკური აღზრდის და სპორტის თეორიის კათედრის გამგე, დოცენტი ა. იაშვილი, უნივერსიტეტის ოლიმპიური კლუბის თავკაცი ს. ვაშაკიძე, ამ ფაკულტეტის აღზრდილი ყოფილი სახელოვანი პედაგოგები, საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები ყოველთვის უდიდეს პატივს მიაგებენ პედაგოგთა მრავალი თაობის აღმზრდელს, სტუდენტური სპორტის დიდ ქომაგს გიორგი ხარაულს. სწორედ მის ნათელ ხსოვნას მიეძღვნა მაისის დასაწყისში გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზაღზრდის ფაკულტეტის სტუდენტთა რიგით მეორე სპორტული თამაშები, რომლის პროგრამაში შედიოდა ქართული ხალხური ეროვნული სახეობები, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, მინი-ფეხბურთი და მკლავჭიდი.

მონაწილეთა აღლუმის გახსნას დაესწრნენ და მონაწილეებს მიესალმნენ რექტორი, პროფ. გ. ხელაია, პრორექტორები, დოცენტები: ლ. მამულაშვილი და კ. ელჩიბეგაშვილი, ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი გ. ხაჩიძე, ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტი, სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, შიდა ქართლის მხარის სპორტის სამმართველოს უფროსი გ. თენაძე.

ქართულ ხალხურ ეროვნულ თამაშებში ყველა კურსების გუნდებს სძლიეს და პირველი ადგილი მოიპოვეს მესამეკურსელებმა, მეორე ადგილი პირველკურსელებმა დაიკავეს.

კალათბურთელ ვაჟებს შორის ჩემპიონობა მეოთხეკურსელებმა მოიპოვეს. ფრენბურთელთა გუნდებს შორის მეტად დაძაბულ ორთაბრძოლაში კვლავ მესამეკურსელებმა იმარჯვეს, ხელბურთელებს შორის ყველაზე უკეთესები მეოთხეკურსელები იყვნენ, მინი-ფეხბურთელთა შორის - მეორე კურსელები. მკლავჭიდელთა შორის პირველი ადგილი არავის დაუთმო მესამეკურსელთა კარგად ორგანიზებულმა სტუდენტთა კოლექტივმა, რომელმაც 38 ქულით გ. ხარაულის ხსოვნისადმი მიძღვნილ მეორე სპორტულ თამაშებში საერთო პირველი გუნდური ადგილი დაიკავა. მეორე-მესამე ადგილები გუნდურ ჩათვლაში ოცდაათ-ოცდაათი ქულით მეოთხე და მეორეკურსელებმა გაიყვეს.

საინტერესო და დაძაბულ პაექრობებს წარმატებით უძღვებოდნენ ფიზიკური აღზრდის და სპორტის თეორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი ს. ქველიძე, მასწავლებლები: მ. ახალაძე, ლ. აზმაიფარაშ-ვილი. სპორტული თამაშობების მაღალი ორგანიზაცია განაპირობა უნივერსიტეტის ოლიმპიური სპორტული კლუბის პრეზიდენტის, საქართველოს ფიზიკური კულტურის და სპორტის დამსახურებული მუშაკის სოსო ვაშაკიძის მაღალმა პროფესიონალიზმმა.

გივი ხაჩიძე

გაზეთი „გორის მოამბე“, 21.05.04 წ.

მოგონებებიდან ერთი ეპიზოდი
პროფესორ გიორგი ხარაულზე

1987 წელს გორის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსიტუტის ყოფილი რექტორის პროფ. გ.ი. ხარაულის 80 წლის იუბილე, რომელიც ორგანიზებულ იქნა გორის სამეცნიერო საზოგადო საკრებულოს თავმჯდომარის ბატონი ომარ შალვას ძე ჩუბინიძის მიერ.

იუბილეს დაესწრო თვით ბატონი გ. ხარაული და გორისა და გორის რაიონის ფართო საზოგადოება, გორის ხელმძღვანელი პარტიული და სამთავრობო ხელისუფლები ქ. თბილისისა და სხვა რეგიონების წარმომადგენლები რექტორის ყოფილი სტუდენტები და აღზრდილი მეცნიერები.

ქ. თბილისიდან მოწვეული პირებიდან იყო ჩემი დიდი ხნის მეგობარი, მიწა-წყლელი ეთნოგრაფი, დოცენტი ლევან ფრუიძე. მან თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ერთ-ერთ ეპიზოდს: მას წამოსულს რაჭიდან 1955 წელს, სოფელ ჭრებალოდან ჩაუბარებია ქუთაისის პედინსტიტუტში მისაღები გამოცდები და ვერ მოხვდა ქულების უკმარისობის გამო. მან ყოველ შემთხვევისათვის მიმართა საქართველოში კარგად ცნობილი გორის პედინსტიტუტის რექტორს გიორგი ხარაულს. რექტორმა გულდასმით მოუსმინა ახალგაზრდას და შეატანინა დამატებით სიებში. ლევან ფრუიძემ ხალასი ტალანტისა და თავგადაკლული მეცადინეობის შედეგად მიზანს მიაღწია. ის ჩარიცხულ იქნა 6 თვის შემდეგ გორის პედინსტიტუტში და წარმატებით დაამთავრა იგი.

ბატონი ლევან ფრუიძე დღესაც დიდ სამეცნიერო მუშაობას ეწევა ეთნოგრაფიაში, შემოვლილი აქვს თითქმის ყველა რაიონი,

გამოქვეყნებული აქვს ფუნდამენტალური ნაშრომი წიგნის სახით: „მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში (რაჭა)“ და სხვა მრავალ მონოგრაფია და სტატია, რომლებშიც დიდი პატრიოტული და ეროვნული სულისკვეთებით ებრძვის მავნე ტრადიციებს, ბიუროკრატიზმს, სეპარატიზმს, მექრთამეობას. ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელისშემშლელ სიმახინჯეებს. ასევე ხშირად გამოდის პრესისა და რადიო-ტელევიზიის საშუალებით ამ მიზნებისათვის.

თავისი მისასალმებელი სიტყვის დასასრულს იუბილარს მიუძღვნა თავისი ერთ-ერთი წიგნი და თან დასძინა: „ბატონო გიორგი, თქვენ, როგორც ფრიად უმწიკვლო და შესანიშნავ პედაგოგს, გიძღვნით ჩემს ერთ-ერთ წიგნს, ვინაიდან სხვანაირ საჩუქარს ვერ შემოგბედავთ“. ბატონი ლევანი, ისე როგორც ათასობით გორის გიორგისეული ინსტიტუტის აღზრდილები, მისეული პატიოსნებით იღწვიან საქართველოში და დღესაც დიდ პატივს მიაგებენ ბატონი გიორგის ხსოვნას და დღეისათვის არსებული გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესაფუძვლის სახელით წარმატებებს უსურვებენ ამ ქართულ კერას.

გურამ მაჩაიძე,
ნევროლოგი, ნუტრიციოლოგი, რეფლექსოთერაპევტი,
გორის სახ. უნივერსიტეტის ლექტორი
სამედიცინო დარგით

გზა გორისაკენ

ჩვენი ქალაქის სიყვარული სკოლის წლებიდან მომყვება. IV კლასში ვიყავი მასწავლებელმა სურათები შემოგვიტანა წარწერით „სახლი ქალაქ გორში, სადაც დაიბადა ი.ბ. სტალინი“, შემდეგ ბევრს გვიყვებოდა იმ ადამიანზე, რომელმაც კაცობრიობა იხსნა ფაშიზმისაგან. გვიყვებოდა ბელადის ფენომენალურ მეხსიერებასა და სწორუპოვარ მხედართმთავრულ ნიჭზე. უბადლო პოლიტიკოსობაზე და რაც მთავარია, ქართული გენეტიკის სიდიადეზე. გვიამბობდა საქართველოს ისტორიის ეპიზოდურ ამბებსა და მასში ქართულის როლსა და მნიშვნელობაზე. მოგვითხრობდა სოსელოს სიყმაწვილის წლებსა და ნიკო ლომოურის საბავშვო მოთხრობების შესახებ. არც ეკატერინე გაბაშვილს ტოვებდა ჩვენი ყურადღების გარეშე. ამას ყოველივეს ისე უბრალოდ, ისე ალალად და მიმზიდველად ყვებოდა, რომ სმენად გადაქცეული ვუსმენდით, ვუსმენდით და მასაც კმაყოფილება ემჩნეოდა, თვალები უფართოვდებოდა, ხმის ტონს უწევდა შუბლდარიანი ხდებოდა. შესვენებისას მაგიდაზე „კომუნისტის“, ან „პრავდის“ ნომრებს გაშლიდა, მოლოტოვისა და მარტინ იდენის სურათებს უმზერდა. მათ საუბარს ხარბად კითხულობდა და ნაღვლიანად თავისთვის ჩაილაპარაკებდა: მართალია დავიღალეთ, მაგრამ... იდიდოს მისმა სახელმა, ვინც გამარჯვებამდე მიგვიყვანა. დიდება დიდ სტალინს. წითელარმიელებს, მთელ საბჭოთა ხალხს, მადლობა გორს ასეთი შვილისათვის, სიკვდილი ფაშისტებსო და კვლავ იწყებდა გაკვეთილების ახსნას. ყველაზე მეტად ისტორიის გაკვეთილი მოგვწონდა. კარგადაც ვსწავლობდით, ერთხელ მასწავლებელს ვთხოვეთ სტალინის ქალაქი ეჩვენებინა ჩვენთვის. პატარები ხართო, მაღალ კლასში რომ გადახვალთ ბევრიც გეცოდინებათ და ადვილადაც

გაიგებთ ნანახსა და მოსმენილსო, V კლასში ყოფნისას ვეწვიეთ ბელადის მშობლიურ სახლს, ექსკურსია მოგვიწყო ჭართლის 8 წლიანი სკოლის დირექტორმა ნიკო ბურდულმა, ძალზე განათლებულმა, პატრიოტმა, ჩინებულმა ისტორიკოსმა და ბავშვების გულის მესაიდუმლემ. ბატონი ნიკო ომის მონაწილე ბრძანდებოდა, ფრიადზე ჰქონდა დამთავრებული თბილისის ი.ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბელადისადმი უსაზღვრო პატივისცემით იყო განმსჭვალული, უყვარდა გორი, ქართლი და მთელი საქართველო. მშობლიური მზრუნველობით გვეპყრობოდა თითოეულ ჩვენგანს და ყოველი ჩვენი, რომ იტყვიან, ნაბიჯი იცოდა.

ძალზე შთამბეჭდავი იყო პატარა ღარიბული ქოხი, გორის ციხე, მდინარე ლიახვი და ღირსეული ადგილები, რაც მაშინ ვნახეთ, ჭართალში (დუშეთის რ-ნი) დაბრუნებისას სკოლაში პატარ-პატარა თემებიც მოგვამზადებინა. მე შემხვდა - „კავკასიის დამცველი მთიულები 1941-45 წ.წ.-ში“ ეს იყო 1952 წლის შემოდგომაზე, პატარა სახლის წინ ტრაქტორები მუშაობდნენ, ახალბაღის გაშენება მიმდინარეობდა, 1953 წლის 5 მარტს თავზარდამცემმა ამბავმა კიდევ უფრო გამიღვივა ინტერესი და სულ იმის ფიქრში ვიყავი, როდის გაივლიდა 6 წელი. და აი, ავადსახსენებელი 1956 წლის 9 მარტი, ანანურის საშუალო სკოლის IX კლასში ვარ, ქიმიის გაკვეთილზე შემოდის სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა 23-25 წლის პედაგოგი, მოღრუბლული სახით, დაბალი, ძლივს გასაგონი ხმით გვესალმება და ჯდება მაგიდასთან. თავი ხელებში ჩარგო და 45 წუთი უხმაუროდ, უსიტყვოდ იყო. მეგონა შეუძლოდ იყო და ხმას არ ვიღებდით. ოღონდ გაკვეთილი არ ეკითხა და... სიჩუმე დაარღვია ჩვენმა კლასელმა ევგენია ლაზვიაშვილმა, ხელი აიწია. გაკვეთილს მოვყვებიო. პედაგოგმა (გ. ტატიშვილი) ორიანი

გაუფორმა და კვლავ ხელების მტევნებს დაეყრდნო. ვიუცნაურეთ და ჩურჩულსაც მოვუმატეთ. საწყალი გოგო კი გაუგებრობისაგან გაოგნებული აქეთ-იქით იყურებოდა, რა ხდებოდა ვერც მას გაერკვია. თურმე ნუ იტყვი და იმ ღამით თბილისში მძიმე ტრაგედია დატრიალებულა. შორი სოფლიდან დიდთოვლობის გამო ძლივს ჩამოვაღწიეთ სკოლაში და თბილისიდან რაიმე ინფორმაციის მიღება შეუძლებელი იყო, მით უმეტეს მაშინ. გაკვეთილი დამთავრდა. გამოგვემშვიდობა და სამასწავლებლოში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგემ ნ. მირესაშვილმა სახლებში წასვლა გამოგვიცხადა. არაო, შეეწინააღმდეგა ჟურნალმომარჯვებული ფიზიკის მასწავლებელი გურამ შუღლიაშვილი. უკან შეგვაბრუნა და დაწვრილებით გვიამბო წინა დღით დატრიალებული უბედურების შესახებ. როგორ დაარბიეს მშვიდობიანი დემონსტრანტები. როგორ დაუშინეს უნივერსიტეტის სტუდენტებს ტანკებიდან ცეცხლი, პირსისხლიანი ხრუშჩოვის მითითებით როგორ მოუსპეს სიცოცხლე მამულის სიყვარულით გულანთებულ ასეულობით პატრიოტ ქართველ ინტელიგენტს. მომავალ სპეციალისტსა და საქართველოს ოქროს ფონდს, რა უწყალოდ მხეცურად დაცხრილეს მშვიდობიანი მანიფესტანტები, მომიტინგეები. ახლა-ღა მივხვდით თუ რა მძიმე ლოდი აწვა გულზე, მივხვდით მის გულწუხილს და გადავწყვიტეთ თბილისისაკენ გაგვეწია - საპროტესტოდ. ყველამ სკოლის ეზოში მოვიყარეთ თავი, მაგრამ პედაგოგებმა, დირექციამ დიდი ხვეწნითა და რჩევა-დარიგებით უფლება არ მოგვცეს. „ჯერ პატარები ხართ, მთავრობასთან ვერაფერს გააწყობთ, მოსკოვიდან პირსისხლიანი ძალლი იყეფება“. ფრთხილად იყავითო, თქვენს მაგივრად ჩვენ გავცემთ პასუხსო. ესენი გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის კურსდამთავრებულები ქიმიკოსი ბ-ნი გივი ტატიშვილი და

ფიზიკოსი გურამ შუღლიაშვილი ბრძანდებოდნენ. განსაკუთრებით ცსარობდა X კლასელი როლანდ შუღლიაშვილი, რომელიც თავის ძმასთან იყო და ანანურში, ჩვენს სკოლაში სწავლობდა. ღელავდნენ სხვა პედაგოგებიც: როზა ფეიქრიშვილი (დირექტორი), თენგიზ ბელთაძე, გურამ ჩუბინიძე, მაგდან ქავთარაძე, გოგი თურმანაული და სხვ.

იმ დღიდან ხშირად ვკითხულობდით ხოლმე გორელების დამოკიდებულებაზე ამ მოვლენების მიმართ. ბ-ნ გურამს ვეკითხებოდით თავშეწირულ სტუდენტებზე. ხრუშჩოვშინის ანტისტალინურ ანტიქართულ და ანტიხალხურ პოლიტიკაზე, პასუხებს მოზომილსა და ფრთხილს ვღებულობდით. იმპერიის ბრჭყალებში მყოფთ სხვაგვარად არც შეგვეძლო, მაგრამ გულში კი შურისძიების უზარმაზარი ცეცხლი უგიზგიზებდა. ამას აშკარად ვამჩნევდით და ამ ორმა კაცმა კიდევ უფრო მეტად შემაყვარა გორი და გორელები. გავიდა ხანი, დავამთავრე საშუალო, მოვიარე ყამირი ყაზახეთში (კუსტანაის ოლქი) მოვიხადე სამხედრო სავალდებულო სამსახური ქ. ბალაშოვში. დემობილიზაციიდან ერთ თვეში მუშაობა დავიწყე მჭადიჯვრის (დუშეთის რაიონი) საშუალო სკოლაში უფროს პიონერხელმძღვანელად. აქაც გავიცანი გორის პედინსტიტუტკურსდამთავრებული, მექანიზაცია სოფლის მეურნეობის საფუძვლების მასწავლებელი, მარად კეთილად მოსაგონარი, პავლე ზაქარიაძე. მჭადიჯვარში ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით მეზობლად. დაუახლოვდით ერთმანეთს და ერთ მშვენიერ დღეს გამომიცხადა: „დაანებე თავი აქ მუშაობას, წამოდი ჩვენს ქალაქში, გორში და იქ ისწავლე პედინსტიტუტშიო“. შეაქო მისი რექტორი გ. ხარაული და მხარდაჭერა სკოლის დირექტორს ბ-ნ საშა თანიაშვილს სთხოვა. დირექტორმაც არ დააყოვნა და მირჩია: ვახტანგ, ძალიან მინდა, რომ ჩემთან იმუშაო, მაგრამ უფრო მართალი ვიქნები ჩემი სინდისის წინაშე

და შენთანაც თუ გულახდილად გეტყვი - ახალგაზრდა კაცი ხარ, სწავლა უნდა გააგრძელო. წადი და გნებავთ ისევ ჩვენთან დაბრუნდი. შენთვის ჩვენი სკოლის კარი ყოველთვის ღია იქნებაო! ბატონი საშა მართლაც ერთგული, თანამდგომი, გულშემატკივარი და გულალალი მრჩეველი ბრძანდებოდა. მუშაობაში ხელს მიწყობდა და ბევრი კარგის გახსენება მსიამოვნებს. ივნისის ბოლოს ავიღე საბუთები და გორისაკენ გამოვწიე. გამოცილებისას ბინის მეპატრონე ფეფო მახარაშვილმა დამლოცა: „ღმერთმა ხელი მოგიმართოს და მამა-პაპის სალოცავები გფარავდესო". მოსწავლეებმა კი ყვავილებით ხელში წარმატებები მისურვეს. ჩემს პიონერებთან გამოთხოვებისას გულს ნოსტალგია დაეუფლა. მიზანი კი თავისას ითხოვდა, გავმხდარიყავი პედაგოგი და ჩემი ცოდნა და ენერგია ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და მოქალაქეობრივი ფორმირების სამსახურისათვის შემელია.

1962 წლის ივნისის მზიანი, ნათელი დილა კიდევ უფრო აცისკროვნებდა ქართლის ამ უძველესი ქალაქის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების კერას გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შენობას, რომლის წინ უამრავ ახალგაზრდებს მოეყარათ თავი და მისაღები გამოცდების მოლოდინში ერთიმეორეს ეცნობოდნენ, მსჯელობდნენ, ცნობისმოყვარეობდნენ და საგამოცდო პროგრამულ საკითხებს კვლავდაკვლავ უტრიალებდნენ. აქ იყვნენ ახლადსკოლადამთავრებულნი, ჯარმოვლილნი და უფრო მეტი, უდიპლომო პედაგოგები. მეც მქონდა შინაგანი განცდა, მაგრამ ბავშვობაში ბევრი ჭირ-ვარამის შემსწრეს, გამოცდების მაინც არ მეშინოდა. რადგან გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩვენს სკოლაში ძლიერ კადრებს მოეყარა თავი და მათ ხელში გამოვლილი მოსწავლეები იმედიანობდნენ თავისი ცოდნით. ქართულს გვასწავლიდა რ. ფეიქრიშვილი, შემდგომში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მეცნიერ-თანამშრომელი. ბიოლოგიას - ა. ჭოლოკავა, შემდგომში ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მათემატიკას - თ. ბელთაძე, შემდგომში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი. ისტორიას - თსუ-ს კურსდამთავრებული, ცნობილი ისტორიკოსი, მწერალი და პუბლიცისტი, გ. თურმანაული. დამამთავრებელ კლასში კი ვლადიმერ გოგოლაური, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის აწ განსვენებული ირაკლი გოგოლაურის უმცროსი ძმა, შემდგომში დუშეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, გერმანულს გიორგი ზურაბაშვილი, მთარგმნელი და თარჯიმანი. ფიზიკას - გ. შულლიაშვილი, შემდგომში ქ. გორში კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი და ა.შ. იმ წლების ამ სასიქადულო პედაგოგების პატრიოტულმა გუნდმა არა ერთი და ორი ნიჭიერი მოსწავლე გაუყენეს მეცნიერებისაკენ მიმავალ კლდოვან ბილიკებს. მაგალითისათვის მარტო თენგიზ ბელთაძის უანგარო ზრუნვაც კმარა მთის ამ პატარა სოფლისათვის, რომლის ანგარიშზე, ათეულობით მეცნიერ-მუშაკი გაიზარდა, მეამაყება ჩემი კლასელი ბ-ნ რევაზ ბანცაურის მიღწევები. მთის პატარა სოფლის ზოტიკიანთიდან უნივერსიტეტში მათემეტიკის სპეციალობაზე ჩაირიცხა. დღეს მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია და მათემატიკის ინსიტუტში ხელმძღვანელობს ერთ-ერთ დიდ და რთულ განყოფილებას, რომ ბატონი თენგიზი არ შეიძლებოდა ეს ობოლი, ხელმოკლე ოჯახის შვილი სკოლის გარეშე დარჩენილიყო და ქართულ მათემატიკურ სკოლას დაკარგოდა ერთ-ერთი ნიჭიერი მკვლევარიო. ჰოდა, მეც იმ ერთთაგანი ვარ, ვისაც იმ წლების ღვაწლმოსილი პედაგოგები გვასწავლიდნენ. ამიტომაც არ გამძნელებია გამოცდების ჩაბარება, გამიძნელდა მხოლოდ სტუდენტური ცხოვრება და აქაც ბედმა გამიღიმა. მისაღები გამოცდები წარმატებით ჩავაბარე. ხუთი

გამოცდიდან მივიღე ორი ფრიადი, ორი კარგი და ერთიც დამაკმაყოფილებელი. ვაბარებდი დაუსწრებელ განყოფილებაზე ისტორიის სპეციალობით. ვმუშაობდი უფროს პიონერხელმძღვანელად და თან უნდა მესწავლა, მაგრამ კონკურსში ვერ გავედი. დამაკლდა ორი ქულა, გადავწყვიტე დამენებებინა თავი. საბუთებისათვის შევედი კანცელარიის გამგესთან თამარ აკოფოვთან. უარით გამომისტუმრა. დეკანის გარეშე ვერ მოგცემთო. შევედი ბატონ შოთა ქურდაძესთანაც, აქედანაც უარით გამომისტუმრეს. რა მექნა, შევწუხდი, ვერ გამეგო ჩემს საბუთებს რა სჭირდა. რექტორთან შედითო-მითხრეს. ამ უბრალო რამეზე რექტორი როგორ შევაწუხო-მეთქი. არ იტყვის საბუთების გატანას რექტორი რად უნდაო. შემდეგ აიღო ჩემი პირადი საქმე ქალბატონმა თამარმა და გამიძღვა ხარაულის კაბინეტისაკენ. ბატონო გიორგი, ეს ბიჭი საბუთებს მთხოვს და რა ვქნაო. რექტორმა თავიდან ბოლომდე სამჯერ შემავლო თვალი. დაკვირვებული მიყურებდა. გრძნობდა პასუხს ველოდი. სამხრეთიდან ფანჯარაში შემოფრქვეულ მზის სხივს გაუსწორა თვალი. სავარძელით ოდნავ აღმოსავლეთისაკენ შემობრუნდა და ქალბატონ თამარს უთხრა: „მომიტანეთ ამ ბიჭის პირადი საქმე“. საქაღალდე მაშინვე მიართვა. გახსნა. გადაფურცლა და სიმწიფის ატესტატს გულმოდგინედ დააკვირდა. დახასიათებაც ბოლომდე ჩაიკითხა და ღიმილნარევი ტონით მითხრა: „ეს საბუთები აქ იყოს, მგლები არ შეჭამენ, შენ კი დღის დასწრებულზე მოდი, ახალგაზრდა კაცი ხარ, ნიშნები კარგი მიგიღია. მაგ ხნიერ ხალხთან რა გინდა. დაუსწრებელი იმათთვისაა, ვინც ასაკიანია, აუცილებლად უნდა იმუშაოს და ოჯახი არჩინოს, შენ კი... პაუზა გააკეთა და ნახევრად ბრძანების კილოთი მითხრა: „წადი, კიდევ წაიმეცადინე და დღეზე მოდი!“ მეტი რა გზა მქონდა. საბუთები იქვე დარჩა, მე კი იმავე დღეს ჩემი რაიონის მთებს მივაშურე. ავიღე ცელი და მამას

თიბვაში ვეხმარებოდი. ვის დავაჯერებდი, რომ კონკურსში ვერ გავედი და არ ჩავიჭერი. ამიტომ, არც ჩემს სოფელში და არც სკოლაში, პიონერებს ახლოს არავის ვეკარებოდი, როგორ ამეხსნა, როგორ დამერწმუნებინა ჩემს სიმართლეში. ისინი ჯერ პატარები იყვნენ და გამოცდების სტრუქტურისა ცოტა რამ იცოდნენ და ვერც მოთხოვდი. ასე იყო თუ ისე, მართალია დღეზე სწავლის საშუალება არ მქონდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე დღის დასწრებულზე ჩაბარება. მალე მისაღები სესიებიც დაიწყო. ახლა ისეთი პასუხისმგებლობით აღარ ვეპყრობოდი, როგორც დაუსწრებელზე. ის კი მაინტერესებდა ამ ორი ტიპის სესიებს შორის რა იყო სხვაობა. აქაც თითქმის იგივე შეფასებით დავამთავრე, როგორც დაუსწრებელზე, ჩავირიცხე. ჩემი მიზანი შევასრულე. 25 შესაძლებლობიდან 23 ქულა მოვაგროვე. ჩარიცხულისათვის კი 21 ქულაც კმაროდა. მეცადინეობა დაიწყო. ჩემს თვალწინ ახალი გარემო გადაიშლა. ნაცნობობა თანაკურსელებთან, პროფესორ-მასწავლებლების ლექციები, კაბინეტ-ლაბორატორიები, ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, მხცოვან მეცნიერ-პედაგოგები, პროფესორები: სერგი მაკალათია, გრიგოლ ჩხატიშვილი, მიხეილ გოცაძე, ნიკოლოზ კანდელაკი, სიმონ გაჩეჩილაძე, კოლა გუგუშვილი, თედო უთურგაიძე, დოცენტები: მიხეილ ჩიკვაიძე, ბიძინა დოლიძე, ვიქტორ პავლიაშვილი, ოთარ ჩხეიძე, ნოდარ ზამბახიძე, დავით გაბუნია, თემო ნამორაძე,ნუნუ ოქროპირიძე,რუსუდან ლიპარტელიანი,შოთა ქურდაძე. უფროსი მასწავლებლები: ქეთევან მთიულიშვილი, თინათინ ჟორჟოლაძე, გიორგი ანიკაშვილი, გოგი ძიძიგური და სხვ. ხალხი, რომელთა პროფესიულმა სიღრმემ, პედაგოგიურმა ოსტატობამ და მშობლიურმა მზრუნველობამ შემაყვარა ინსტიტუტი. პროფესია, გორი და გორელები.

სექტემბრის ერთი კვირა იყო გასული, ბატონ სერგი მაკალათიას

ლექცია გვქონდა საქართველოს ისტორიაში. შესვენების ზარის დარეკ-ვისთანავე 32-ე აუდიტორიაში ბ-მა გიორგი ხარაულმა შემოაღო კარი. სერგის მოუბოდიშა და იკითხა: „ისტორიკოსები ხართო, ხომ, არაფერი გიჭირთო. საცხოვრებელი პირობები როგორ მოიწყეთო. ჩვენგან რაიმე დახმარება ხომ არა საჭიროო“. გვანუგეშა და თანადგომისათვის მზადყოფ-ნა გამოთქვა. გასვლისას იქვე ახლო მდგომ ზაურ ხაიკაშვილს მიმართა, ხევი და მოხევეები როგორ არიანო. ზაურიმ რაღაც ჩაიბუტბუტა. რაო, რაო?! ჩანს მოხევური კილო არ იცისო და ბორჯომელმა დაღი რაზ-მაძემ შეაშველა მორიდებით, პატივცემულო, მაგას თარჯიმანი სჭირდებაო. მაგის ენას პატივცემული კოლია გუგუშვილი და ვახტანგი გებულობსო. გულიანად გაიცინა და მერე მე მკითხა გვარი. ხო, ხო, გამახსენდი! შენ ის არა ხარ, საბუთებს რომ გვედავებოდი. აქ არ სჯობია, ხომ კარგია, შვილო, რა გინდოდა იმ დაუსწრებელზე, ახლა შენ იცი, რაიონელები სტუდენტთა საცხოვრებელში განთავსდითო და მშობლიური რჩევა-დარიგებით დაგვტოვა. II კურსზე ინსიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნად ამირჩიეს, რექტორი შვებულებიდან ახლადდაბრუნებული იყო. პარტიულ კომიტეტში დამიძახეს. შესვლისთანავე ღიმილიანი თვალებით შემხვდა. აა, ესაა!... კარგი არჩევანი გაუკეთებია ჩვენს ბავშვებს, აბა შენ იცი, შვილო, სტუდენტთა წინამძღოლობა მძიმე ტვირთია. ახალგაზრდობას რომ უხელმძღვანელო, შენ უნდა იყო ნიმუში ყველაფერში. კარგად უნდა ისწავლო და სტუდენტებიც აიყოლიო. კეთილსინდისიერება და ბეჯითი მეცადინეობაა ახლა მთავარი. ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილება ჯარშიც გქონია და...

ვცდილობდი რექტორთან მიცემული სიტყვა არ გამეტეხა. ვსწავ-ლობდი, ვმონაწილეობდი სამეცნიერო კონფერენციებში, მოხსენებებით გამოვდიოდი როგორც ადგილობრივ, ასევე რესპუბლიკის მასშტაბით

გამართულ ფორუმებზე. მალე ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელობაც დამევალა და უფრო მეტი პასუხისმგებლობა დამეკისრა ტვირთად, მაგრამ ხშირად ვიხსენებდი ბატონი გიორგის შეგონებას: „ახალგაზრდობის წინამძღოლობა მძიმე ტვირთია, მაგრამ ძალზე საპატიო“ და მეც ვაკეთებდი რაც შემეძლო, შემდგომ წლებში ჩავერთე ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ ექსპედიციებშიც. ნაყოფიერად ვიმუშავეთ გურიასა და მთიულეთ-გუდამაყარში რ. ლიპარტელიანისა და თ. უთურგაიძის მეცნიერ-ხელმძღვანელობით.

მთელი მონდომებით ჩავერთე ინსტიტუტის ცხოვრებაში. ინსტიტუტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრიც ვიყავი. პარტიული კომიტეტის მდივნის პირველი მოადგილეც, საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის ბიუროს წევრი და ლექტორთა ჯგუფისა და საზოგადოება „ცოდნის“ წევრიც, ქალაქის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების პლენუმების წევრიც, ვხელმძღვანელობდი ინსტიტუტის სახალხო კონტროლს და სისტემატურად დაკავებული ვიყავი სტუდენტთა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტით, მაგრამ ბარიერებიც ბევრი გვხვდებოდა. 1964 წელი იყო, მიმდინარეობდა საქართველოს წინა საყრილობო მზადება. ჩვენც ვემზადებოდით. გორში ელოდებოდნენ ვასილ პავლეს ძე მჟავანაძეს და თქვენს ინსიტუტშიც მობრძანდებაო. დავფაცურდით, ყველგან თითქმის იდეალური წესრიგი იყო. კაბინეტ-ლაბორატორიები მთელი დატვირთვით მუშაობდნენ. გაცდენა-დაგვიანებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. სტუდენტები უფრო გააქტიურდნენ, გაფაქიზდნენ, მოაწესრიგეს ინსტიტუტის შემოგარენი, სკვერები და სხვა. სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან მოგვიტანეს ჩვენი და საზღვარგარეთის ახალ-ახალი ჟურნალები, გაზეთები და მხატვრული წიგნები. მარქსიზმის კაბინეტში მოეწყო პოლიტიკური ლიტერატურის გამოფენა.

ტარდებოდა პოლიტინფორმაციები და სხვა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე იყო, როგორც ეკადრებოდა დიდ სტუმარს. ერთად ერთი უბანი, ეს იყო საერთო საცხოვრებელი, რომლის წყალგაყვანილობა ვერა და ვერ მოწესრიგდა. არადა, ინფორმაცია რექტორს ისეთი ჰქონდა, რომ თითქოს იქაც ყველაფერი წესრიგში იყო, მაშინდელი სამეურნეო დარგის პრო-რექტორს ყურადღება უფრო მეტად სხვა რამეზე ჰქონდა გადატანილი, ვიდრე სტუდენტთა საცხოვრებო პირობებზე. სტუდენტთა სასადილოშიც გემრიელი კერძები დაამზადეს და... რატომღაც საქართველოს კომპარტი-ის ცენტრალური კომიტეტის მდივანი აღარ მობრძანდა ჩვენთან. ითქვა, გორელმა მძახალმა შეაცვლევინა მიმართულებაო. წინა საყრილობო კრება ჩვენთანაც ჩატარდა. ფიზიკის დიდი აუდიტორია ხალხით გადაიჭედა. ორატორები ერთიმეორეს ცვლიდნენ, სიტყვაკაზმულობდნენ. მეც მათქმევინეს ორიოდე სიტყვა და როცა აღვნიშნე, რომ წყალი პირველ სართულზე პირდაპირ საძილე ოთახებში შემოდის და იქ გუბდება მეთქი, ვინღა მაცალა, ადგილებიდან ვისაც ეს ეხებოდა, წამოვიდა მუქარის შემცველი რეპლიკები. გვაცალე რა გიყოთო, მაგ გზით შორს ვერ წახვალო და ა.შ. ყველამ პრორექტორს დაუჭირა მხარი, დაიცვეს და... ერთად ერთი რექტორი ბრძანდებოდა, რომელსაც იქ არაფერი უთქვამს. როგორც ჩანს „ცხარე არაყი დააღევინა“ ვისაც ეკუთვნოდა. უმალ მოიყვანეს „სანტექნიკები“, დამლაგებლები, კომენდანტი და მისი თანაშემწეები. რამდენიმე საათში მოწესრიგდა ყველაფერი, გამოცვალეს, ახლით შეცვალეს ჟანგისაგან შეჭმული ონკანები, წყლის მილები, სადინარები. დააააშრეს და მოასუფთავეს იატაკები. მე კი ყველამ მისაყვედურა რექტორის გარდა. იმ დღიდან დაიწყო ჩემი შევიწროება. ყოველივე ამას გულში ვმარხავდი და ვამბობდი „რა მართალი უთქვამს ქართველ კაცს, რომ სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა

გყავდესო“, ჯერ იყო და ჩემს ოთახში წიგნის მოყვარე ბიჭები, ღვინის მოყვარულებით შეცვალეს. ესეც არ მაკმარეს და იქედანაც რემონტის საბაბით გამომასახლეს...

ჩვენ სტუდენტთან ერთმა ქალმა სიყვარულის ძაფები გააბა. მათი ეს სატრფიალო რომანი ხუთწლიანი გამოდგა და როცა კულმინაციას მიაღწია და კურსდამთავრებული მშობლიურ მხარეს უნდა დაბრუნებოდა, ქალბატონმა რექტორს მიაკითხა. ბატონო გიორგი, რამე მიშველე, თქვენი სტრუდენტი მიტოვებას მიპირებსო. მანამდე კი ორ-სამჯერ მოუწყო თავდასხმა იმ ბინას, სადაც მისი „საქმრო“ ცხოვრობდა. რექტორს ასეთი პასუხი გაუცია: „თქვენ, ქალბატონო, თქვენი გზა გაქვთ, ის ახალგაზრდა შვილად შეგეფერებათ, 25 წლით უმცროსია., თქვენ თქვენი გზა გაქვთ, მას თავისი. მაინც ვერ შეინარჩუნებთ და ხელს ნუ შეუშლით ცხოვრებაში. ეს ადრე უნდა გეფიქრათ, რჩევისათვის თავიდანვე უნდა გეთქვათ და...“ ახალგაზრდა კი გააფრთხილა, მოერიდეთ, ფარული გზით გადით ქალაქიდან, ქუჩაში არსად გადაეყარო. გაღიზიანებულია და თვალებში არაფერი შეგასხას. მალე დაბრუნდი შენს რაიონში. ისე კი შენისთანა გვარ-ტომის კაცს არ ეკადრება ასეთი რამ. ოჯახს მოეკიდე, ოჯახს! მალე მართლა კარგი ოჯახი შექმნა.

ფოთელი ვენერა გაგულია 1960 წელს მოწყობილა პედინსტიტუტში. ჩემზე ორი წლით წინ სწავლობდა წარჩინებით. ფაკულტეტის პარტბიუროს მდივნადაც აირჩიეს. აქტიურობდა ქალაქის საზოგადოებრივ ცხოერებაში. მისი თანადგომით სტუდენტებიც წარმატებებს აღწევდნენ. ჯგუფში 100%-იანი მოსწრება ჰქონდა. ფაკულტეტზე კი 97-98%. ზამთრის სესიების პარტიის საქალაქო კომიტეტიდან ორმა კაცმა მოაკითხა - „ფაკულტეტის პარტბიუროს მუშაობა უნდა შევისწავლოთო“. შედეგების განხილვისას სტუდენტს არ გაუზიარებია შემმოწ-

მებელთა შენიშვნების რამდენიმე პუნქტი და თავის პოზიციაზე მყარად დამდგარა. მათ კი რექტორს მოახსენეს: „შეცდომები ხომ აქვს, ჩვენს შენიშვნებს ყურად არ იღებს და კიდევაც ჯიუტობს და აქეთ გვედავებოა. საყვედური გამოუცხადეთ პარტიულ კრებაზეო“ — „მე ბატონებო, ოქმებში რა წერია, ვერ გეტყვით, არ ვარ საქმის კურსში, პარტიულ კომიტეტსაც შევახსენებ მეტი ყურადღება მიაქციოს ბიუროს მუშაობას, ხოლო რაც შეეხება სტუდენტს, ეს ქალიშვილი საუკეთესოა, ზრდილი, თავაზიანი,სწავლაში წარჩინებული,აქტიური და ამავე დროს პრინციპულიც, პირადად მე ვერ დაკეთანხმები მისადმი საყვედურს. იგი საქმითაა კომუნისტი და არა ოქმებით, ქაღალდებით...“ აქ დამთავრდა. მეტი აღარავის არაფერი უთქვამს. ის კი გამოირკვა, რომ სტუდენტი მართალი ყოფილა მათთან.

ერთხელ მე და ბატონი ანზორ კაპანაძე (დეკანი იყო) მიგვავლინა ხევსურეთში და დაგვავალა - შეისწავლეთ მთის სოფლებში რამდენი პედაგოგი მუშაობს უდიპლომო,ვისაც უმაღლესი განათლება არა აქვს და სკოლებში კი ასწავლიანო. ჩაუტარეთ ახსნა-განმარტებითი მუშაობა და სათანადო მომზადების შემდეგ ჩააბარონ ჩვენს ინსტიტუტშიო. ჩავედით ადგილებზე, შევხვდით პედპერსონალს. ვესაუბრეთ, დასარულ ერთ-ერთმა პედაგოგმა იკითხა — „ჩვენი მხრიდან, როგორც მალალმთიანი რაიონის, რაიმე შეღავათები ხომ არ გვექნებაო. თანაბარი ქულების შემთხვევაში შეიძლებაო - უპასუხა ბატონმა ანზორმა, როცა დაებრუნდით, დაგვიძახა თავისთან და გვკითხა მივლინების შედეგებზე. მოვახსენეთ და იმ შეღავათიან პირობებზეც უთხრა ბატონმა ანზორმა (პედაგოგმა რომ ჰკითხა), რექტორი უცებ გაბრაზდა. აენთო და გვიყვირა: ვინ დაგაბარათ რაიმე შეღავათები. საქართველო სულ მთიანია და საზომი კი მხოლოდ ცოდნაა.

„კოლუმბი მაინც უნდა გამოხვიდე...“

ეს იყო კაცი-ლეგენდა. დინჯი, გამჭრიახი, პატიოსანი, მოვალეობის პირნათლად შემსრულებელი, ადამიანებისადმი მგრძნობიარე, ნიჭიერთა და შრომისმოყვარეთა დამფასებელი და მფარველი. და, რაღა თქმა უნდა, დიქტატორულ სახელმწიფოში დიქტატურის ნიშნების მატარებელი, თუმცა შეეძლო სხვისი აზრის მოსმენა და გაზიარება, თუკი ეს აზრი იქნებოდა საღი, ნაყოფიერი და სიკეთის მომტანი.

...მისაღები გამოცდები ჩავაბარე და ჩავირიცხე გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე. რამდენიმე კვირის შემდეგ დეკანი იორამ პავლიაშვილი მიბარებს და შევყავარ რექტორის - გიორგი ხარაულის კაბინეტში. ბატონმა გიორგიმ ამხედ-დამხედა და მომიგო: „შენა, სკოლა მიმდინარე წელს დაამთავრე და ორი წლის მუშაობის სტაჟი როგორღა დააგროვე, ეგ ცნობა ყალბი ხომ არაა? - არა, ბატონო, კოლმეურნოებაში მეექვსე კლასიდან ვმუშაობდი სასკოლო არდადეგების დროს და სტაჟი აქედან დამიგროვდა - ვუპასუხე სიმართლე. დამიჯერა. - ჰოო, კარგი ბიჭი ჩანხარ; ხომ არ ვცდები იორამ? დეკანმა უსიტყვოდ თავი დაუქნია. - ახლა ეს მითხარი, ბრძანა დიდმა ბატონმა - მისაღებ გამოცდებზე ინსტიტუტში სულ ორმა სტუდენტმა მიიღო ქართულ წერაში ხუთიანი და ერთ-ერთი შენ აღმოჩნდი, მითხარი როგორ მოხდა ესა? - ბატონო გიორგი, ამათ ქართულ წერაში წაკითხულის შინაარსის გადმოცემა ჰქონდათ გამოცდაზე და „შპარგალკას“ როგორ გამოიყენებდა? - შემეშველა იორამ პავლიაშვილი. - ჰოო, ეგ სულ აღარ გამხსენებია, მაგრამ თუკი ქართულზე ასე ძლიერი იყავი, რატომ ისტორია-ფილოლოგიურზე არ შეიტანე? - შემეკითხა ბატონი გიორგი. - იქ

დიდი კონკურსი იყო, 25 ადგილზე 500 განცხადება, ჩვენთან კი 20 ადგილზე 150 განცხადება - წავილუღლუღე და, ჩემი აზრით, თავი ვიმართლე - ერიჰაა, ახლა კი ჩაიჭერი, ეგ რა მითხარი, შენ რა მშიშარა ყოფილხარ, აბა რაღა უნდა გითხრა? - გამიბრაზდა ცხონებული. - ხომ არ გინდა მეორე სემესტრში ისტორია-ფილოლოგიურზე გადაგიყვანო? - შემეკითხა სერიოზულად - არა! - ვუპასუხე. - რატომ? - იმიტომ, რომ ჩემს კურსზე ბევრი ბიჭები არიან, იქ მირჩევნია! - ოოჰ, ახლა კი მეორედ ჩაიჭერი, შენა რა გოგოები გეჯავრება? - გაუკვირდა მას. - არ მეჯავრებიან მაგრამ... - ვცადე თავის მართლება. - კარგი, კარგი, დარჩი შენს კურსზე, მაგრამ იცოდე, მაგელანი თუ არა კოლუმბი მაინც უნდა გამოხვიდე - გამომისტუმრა კაბინეტიდან ღიმილნარევი ხუმრობით.

რექტორთან ჩემი ერთ-ერთი შეხვედრა ჭიდაობასთანაა დაკავშირებული, ის ხომ სპორტის და განსაკუთრებით ჭიდაობის დიდი მოტრფიალე და ქომაგი იყო. მაშინ პირველ კურსზე ვიყავი, ოთხთვიანმა სისტემატიურმა ვარჯიშმა მაშინდელი ჭიდაობის სხვადასხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, ბატონ გურამ პაპიტაშვილის თაოსნობით, თავისი შედეგი გამოიღო და ჯერ გორის რაიონის ჩემპიონი, შემდეგ კი საქართველოს მეორე პრიზიორი გავხდი. რესპუბლიკურმა გაზეთმა „ლელომ“ საქართველოს პერსპექტიულ მოჭიდავეთა სამეულში დამასახელა. ახლაც გორის პედინსტიტუტის მოჭიდავეთა გუნდი სპარტაკიადისათვის ემზადებოდა. ამ შეჯიბრზე მეც მომიხდა გამოსვლა. ბედმა გამიღიმა და საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხებით ნახევარფინალში გავედი, სადაც არც თუ ცნობილ მოჭიდავესთან დავმარცხდი და მესამე ადგილს დავჯერდი. ეს ცუდი შედეგი არ იყო თუ გავითვალისწინებთ, რომ შეჯიბრში მრავალი საერთაშორისო

მასშტაბით ცნობილი მოჭიდავე ძიუდოისტი და სამბისტი მონაწილეობდა.

შეჯიბრის დაწყების შემდეგ საქმე, როგორც წესი რექტორთან „გაირჩა“. მან ყველა შეაქო და მადლობა გამოუცხადა გუნდს, მ.შ. მწვრთნელს ბატონ გურამ პაპიტაშვილს, შემდეგ მოკლედ ყველა მოჭიდავე დაახასიათა. ჯერი ჩემზე მოდგა: „-შენა, ტიელიძე, ქართული რომ კარგად იცი, მისაღებ გამოცდებზე დაამტკიცე ესა, მაგრამ ჭიდაობაც რომ კარგი გცოდნია, ეს კი არ ვიცოდი, მაგრამ შენ ეს მითხარი, როგორ მოხდა რომ ძლიერები დაამარცხე და ვილაც უცნობ ყურუმსალთან კი წააგე? - „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“ - ხმადაბლა ჩაილაპარაკა იორამ პაელიაშვილმა. „ბატონო გიორგი, მაგას იმ დღით ცარიელა პურის მეტი არაფერი უჭამია, ჩემი არ იყოს და ან მაგდენი როგორ შეძლო?... მგონი ახლაც მშიერია“ - დასძინა ჩემმა თანაკურსელმა საქართველოს ფალავანმა ზაქრო ბერიკაშვილმა, რომელიც ჩემზე გაცილებით უფროსი იყო და ეს სითამამეს მატებდა რექტორთან საუბარში.

შეხვედრა დამთავრდა. ბატონმა გიორგიმ დეკანი - იორამ პავლიაშვილი, ზაქარია ბერიკაშვილი და მე მცირე ხნით კაბინეტში დაგვტოვა და ჩემი ოჯახური მდგომარეობა გამოიკვლია; როცა გაიგო რომ მრავალშვილიანი და ხელმოკლე ოჯახიდან ვიყავი, რასაც ჩემი გაცვეთილი ფეხსაცმელები და დაკერებულ-დაკემსილი შარვალიც უსიტყვოდ ადასტურებდა, საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო, ფული ამოიღო და ბ-ნ იორამს შეეკითხა: „მგონი ეყოფა - 30 მანეთი ფეხსაცმელებში, ხოლო 20 მანეთი შარვალში“. დეკანმა უსიტყვოდ მხრები აიჩეჩა და შემდეგ თავი დაუქნია. მე გავწითლდი და სირცხვილისაგან კინაღამ დავიწვი. უარის თქმა ველარ გავბედე. ბოლოს

დეკანმა ის ორმოცდაათი მანეთი ბერიკაშვილს ჩააბარა, რომელმაც წამიყვანა და საკუთარი გემოვნებით შემირჩია ფეხსაცმელები და შარვალიც, რომლებიც საბოლოოდ გამოსასვლელი ტანსაცმელი გახდა სტუდბინის №1 ოთახის ინტერნაციონალური ოჯახის წარმომადგენლების: თბილისელი ავთანდილ ფეიქრიშვილის, სამტრედიელი ვიტალი სლაბოდანიკის, წალკელი ვასილ ბალაბანოვისა და ჩემთვის.

რალა ბევრი გავაგრძელო და დიდ სპორტში მაინც არ გამიმართლა. ეტყობა წარმატებებისათვის ფიზიკური მონაცემები, საკვები და ტანსაცმელი საკმარისი არაა და სპორტული მწვერვალების დაპყრობისათვის კიდევ ისეთი რამეა საჭირო, რომელიც მე არ გამაჩნდა.

არავის ეგონოს, რომ ბატონი გიორგი მხოლოდ ჩემთვის იყო ასეთი, მას თითეული სტუდენტი თავის შვილად მიაჩნდა, ინსტიტუტი კი უზენაეს სათაყვანებელ ტაძრად.

სამარადისო მოგონება მის ნათელ სულს!

ზურაბ ტიელიძე,
საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის
ფაკულტეტის დეკანი

„De mortus aut bene aut nihil“

„დე მორტე აუტ ბენე აუტ ნიჰილ“ - დანტე ალეგიერი

ასეთი ლათინური ანდაზით დავიწყე გამოსათხოვარი სიტყვა გიორგი ხარაულის დაკრძალვისას. იგი დანტე ალეგიერს მივაწერე, ვიცოდი იმ აზრის იქნებოდა „გარდაცვლილზე ან კარგი თქვი, ან არაფერი“. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბატონ გიორგისთან ზოგ საკითხებში ხშირად ოპოზიციაში ვიყავი სხვადასხვა შეხედულებათა გამო (მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდილებისა და ტრადიციების დამცველი ვიყავი, როგორც უნივერსიტეტის ტრადიციების ჩამომავალი მუშაობაში) მიუხედავად რიგი წინააღმდეგობებისა, კარგი საქმის წამოწყებაში ბ-ნ რექტორს ხელი კი არ შეუშლია, პირიქით მხარში მიდგა. გრძნობდა სიხლის რაობას. ხედავდა,რ ომ სასიკეთო საქმე კეთდებოდა. გ. ხარაული ატყობდა, რომ ოპოზიცია საჭირო იყო. აუცილებელიც, თუ იგი ცუდად არ იმოქმედებდა.

გიორგი ხარაული რომ შეუვალი, მართალი, სპეტაკი, ენერგიული, ოპერატიული, ყურადღებიანი, დისციპლინირებული, ფაქიზი და ხანაც უხეში იყო, ამაზე მეტყველებენ იმდროინდელ მეცნიერთა, ხელმძღვანელთა და კოლეგების სიტყვები, შეხედულებები ამ ბუმბერაზ კაცზე და ეს მათი აზრი, მათეული შეფასება თანამედროვეთათვის ფასეულია, ღირებული და მისაბაძი მუშაობაში. აი ზოგიერთი მათგანიც: იმ წლების უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ყოფილ მინისტრს, აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძეს უთქვამს ბ-ნ გიორგი ხარაულზე „კარგი დირექტორია, გამორჩეული, დისციპლინირებული და ფაქიზი“, ხოლო ცოტა მოგვიანებით აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძეს (მინისტრი) გორის პედინსტიტუტში ყოფნისას საჯარო სხდომაზე განუცხადებია: „გიორგი

ხარაული რაინდივით იცავს ინსტიტუტის ინტერესებსო". პრორექტორმა პროფ. მიხეილ კანკავამ ჩემთან საუბარში თქვა – „დაფიქრდება, ფიქრობს დინჯად და მერე მართალ გზას გამონახავს. სიმართლეს იტყვის. გლეხურად, მაგრამ მართალს იტყვისო".

აკად. მალხაზ ზაალიშვილი – „ინსტიტუტში არის ინტრიგები, მაგრამ ისინი არ ვითარდებიან, სადღაც ქრებიანო" ხარაულს სძულდა ინტრიგები და ინტრიგანები.

პროფ. გრიგოლ (გრიშა) ჩხარტიშვილი – „ყველა კარგ საქმეში მხარს დამიჭერსო".

პროფ. ქუჯი ძიძიგური – „ყოველთვის ვგრძნობ კარგ საქმეში რექტორის მხარდაჭერასო".

დოც. ირინე მეფისაშვილი – „აღტაცებული ვარ გიორგი ხარაულის ოპერატიულობითო" (ეს ქალბატონი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გორის პედინსტიტუტში იყო გადმოსული).

პროფ. ივანე გვერდწითელი – „არნახული ენერგიის ადამიანია. შეუძლია შეუსვენებლივ 48 საათის განმავლობაში იჯდეს მაგიდასთან და იმუშაოს. ეს ბრგე და ფიზიკურად ჭარმაგი კაცი დაუშრეტელი ენერგიისაა".

ბატონი ივანე დიდხანს მუშაობდა გიორგი ხარაულთან სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის გამგედ და კარგად იცნობდა ბ-ნ გიორგის. იცოდა მისი ყოველი მხარე.

ბ-ნ გიორგის გამორჩეულად უყვარდა სიმართლე და მართალი კაცი, თავის ხანგრძლივი 35 წ. რექტორის პერიოდში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას ეცრუოს. ამაში მას ცილს ვერავინ დასწამებს. უფრო მეტიც, ხანდახან სიმართლის ზედმიწევნით დაცვისათვის უხერხულ მდგომარეობაშიც კი ჩავარდნილა. ერთხელ მოსკოველი სტუმრები

უფრო მეტიც, ხანდახან სიმართლის ზედმიწევნით დაცვისათვის უხერხულ მდგომარეობაშიც კი ჩავარდნილა. ერთხელ მოსკოველი სტუმრები ჰყავდა. ბანკეტზე რატომღაც აიჩემა „მართალი და სიმართლე მიყვარსო“, „Я люблю правду“! „Я люблю правду“! „Люблю испитий человек“! მათმა თბილისელმა სამინისტროს წარმომადგენელმა უსაყვედურა კიდეც – „ეს რა აიჩემე, მართალი და სიმართლე სხვებს არ გვიყვარსო?!..“

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ბატონი გიორგი დაუშრეტელი ენერგიის პატრონი გახლდათ, ამიტომაც შეეძლო ზედმიწევნით სცოდნოდა ინსტიტუტის მართვის ყველა მექანიზმი, მისი ყოველი რგოლი. ეს იქნებოდა კადრები, დეკანატები, სასწავლო, სამეცნიერო, სამეურნეო თუ სტუდენტი ახალგაზრდობის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი. იცოდა თითოეული სტუდენტი, განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა ხელმოკლე და ნიჭიერ ახალგაზრდობას. ყოველდღიური ყურადღების ცენტრში ჰყავდა მოქცეული პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, ზრუნავდა მათზე და პრაქტიკულადაც ეხმარებოდა და როგორც შეეძლო. რექტორისათვის უპირველესი იყო სტუდენტი და ლექტორი. შემდეგ არანაკლებ მნიშვნელოვნად თვლიდა სამეცნიერო ბიბილიოთეკის წიგნადი ფონდის გამრავალფეროვნება და სხვა სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცებასა და განახლებას.

ბ-ნი გიორგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უმაღლესი სკოლის ავტორიტეტის დაცვას. მისი ღირსებისა და ზნეობრივი ღირებულებების გამრავლებას. აბა, კარგი ბიჭი იყო, ვინმეს გაებედა რაიმე ფორმით შეელახა ინსტიტუტის ავტორიტეტი, ასეთი პიროვნება აღკვეთილი და ლიკვიდირებული იქნებოდა ინსტიტუტიდან, ან თუ მიდრეკილება ექნებოდა ცუდისაკენ. ჯერ ჩაუტარდებოდა სათანადო ახსნა-განმარტებითი ციკლი და თუ საშველი არ დაადგებოდა ასეთ პიროვნებას

„გაისტუმრებდნენ“ თავიანთი რიგებიდან. ეს ეხებოდა სტუდენტებსაც და ლექტორებსაც. ამ საქმეში არ არსებობდა დიდი და პატარა. სამაგიეროდ პატივით სარგებლობდა რექტორის თვალში ის სტუდენტი, რომელიც სწავლაში ბეჯითობდა და ყოფაქცევაში ამაღლებული ზნეობრივი ნორმებით ცხოვრობდა, ხოლო ლექტორებიდან ვინც დღენიადაგ ზრუნავდა ლექციის ტექსტების ახალი მასალებით შევსებაზე, მის თანადროულ კავშირზე და მისაწვდომობის მეთოდების დახვეწაზე, აკადემიურ სიღრმესა და ორატორულ ხელოვნებაზე. ყველაზე ადრინდელი მოგონებიდან, ძალზე მძიმე იყო ჩემთვის ერთი მომენტი. მე და მხცოვანმა ფიზიკოსმა მიხეილ კუპრაძემ გადავწყვიტეთ, რომ უშუალოდ ლავრენტი ბერიასათვის მიგვემართა მოსკოვში, რათა ხელისუფლების მეშვეობით ხელსაწყოებით დაგვხმარებოდა გორში ფიზიკის კათედრასა და კაბინეტს. ფარულად შევატყობინე ხარაულს. იგი წინააღმდეგი არ წავიდა. დავწერეთ მე და კუპრაძემ „ქვის გამტეხი“ წერილი. გვერდი ავუარეთ საქართველოს მთავრობას. გავატანეთ მოსკოვში კაცს და მიუვიდა ლ.პ. ბერიას. ლავრენტ პავლეს ძემ წერილს დაადო დიდებული რეზოლუცია „Осилат“ – მომახსენეთ“ და გამოუგზავნა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას (მთავრობის თავმჯდომარე მაშინ ვალერიან ბაქრაძე იყო, კაცი მეტად მკაცრი და მრისხანე. როგორც სჩანს, ძალზე სწყენია მათი გვერდის ავლით რომ გაკეთდა ყოველივე. იმ ხანად განათლების მინისტრად მუშაობდა ვიქტორ კუპრაძე, ჩემი ახლო ნათესავი და ვერ გამიმეტა. არც ხარაულს უთქვამს საყვედური. მართალია, ბერიასადმი მიწერილ წერილში ხარაული არ ჩანდა, მაგრამ ბუნებრივია არც მას ეტყოდნენ მადლობას. არც მინისტრი და არც რექტორი ცუდად არ მიყურებდნენ, მაგრამ სამნისტროს მუშაკები თვალებს მიბრიალებდნენ და ყოველ სიტყვაზე მიყვიროდნენ. ჩემს ბედად მოხდა

ისიც მახსოვს რა სიხარულით მიწყობდა ხელს, როცა ფიზიკის კათედრის სახელოსნოსათვის ჩამოვიტანე დაზგები მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტიდან. სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტიდან. ბორჯომის მინერალური წყლების ქარხნიდან. ფოთის საქალაქო საამშენებლო ბაზიდან. ისიც მახსოვს, როგორ უხაროდა, როცა წარმოების საფუძვლების სწავლებისათვის საჩუქრად ვიშოვე სასწავლო ავტომანქანა, ტრაქტორი და კომბაინი. როცა გორში ფიზიკური ქიმიის ლაბორატორია გაუქმდა, სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინათ პლატინის ხელსაწყოები. მაშინ მე ბატონ გიორგის ვთხოვე, თუ ინსტიტუტს ძვირფასი ლითონები არ ექნება ის რა ინსტიტუტია. პლატინა დავიტოვეთ ფიზიკის კათედრისათვის. ბატონმა გიორგიმ ზედმიწევნით იცოდა ინსტიტუტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის სამეურნეო საქმიანობის სწორად და მიზნობრივად წარმართვა. იყო შემთხვევები, როცა საამშენებლო დარგის პროფესიულ საქმეებში ერეოდა კიდეც და ზოგჯერ მათზე უკეთესად ჭვრეტდა საქმის მსვლელობას. პირადად იღებდა მონაწილეობას ინსტიტუტის საამშენებლო საქმეებში. ბატონმა გიორგიმ მართლაც იცოდა ქვისა და აგურის წყობა, კედლების აშენება. კედლის სისწორეს თვალზომით ამოწმებდა. არ ჭირდებოდა თარაზო, ან სხვა რაიმე ხელსაწყო. თავად ამოწმებდა საამშენებლო მასალათა სიმკვრივეს. უშუალო მონაწილეობას ღებულობდა მასალების შემოზიდვაში, მათ რაციონალურად ხარჯვაში. მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა. მისი აქტიური ინიციატივით აშენდა სტუდენტთა ძალებით მეორე სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი და სხვა.

იმ ხანებში ფიზიკის კათედრას ჭირდებოდა სახელოსნო. სამინისტრო კი კრძალავდა ახალ ნაგებობეს. თუ არ იქნებოდა მშენებლო-

ბის სამინისტროს გეგმით გათვალისწინებული. არა და სახელოსნო აუცილებელი იყო, თანაც ახალი ტექნიკური დანადგარებით აღჭურვილი. ჰოდა, დავიწყეთ შენება, შენიღბულად, ფარულად. ჯერ ღობის შენება დავარქვით, შემდეგ ცოტა შევამაღლეთ. ბოლოს აკტყდით შენება დაწყებულია და მისი შეჩერება როგორ შეიძლებაო. ამ საქმეში სტუდენტებიც ჩავრთეთ და აშენდა სახელოსნო, ამაში უდავოდ დიდი იყო ბატონ გიორგი ხარაულის მხარდაჭერა.

დიდ გიორგის არც გამომცემლობა დაუტოვებია ყურადღების გარეშე. გულმოდგინედ ეპყრობოდა ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების ბეჭდვის საქმეს. რედაქტორიც პროფ. ს. მაკალათია, პროფ. ალ. ღლონტი, პროფ. ი. მეგრელიძე და პროფ. კ. გუგუშვილი ყოჩაღობდნენ. რექტორი მათ ყოველთვის მხარში ედგა. ეძებდა საშუალებებს, უფლებებს, თანხებს, ქაღალდს, ნებართვებსა და სხვა სახის სახსრებს, რათა გამოეცათ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო ნაღვაწი და ამით ხელი შეეწყო კადრებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში და უპირატესად ადგილობრივი სპეციალისტებისათვის (იმ ხანებში ზოგიერთი შრომა საკანდიდატო დისერტაციაშიც კი ეთვლებოდა) მაგ. სამამულო ომის წლებში გამოსული შრომები. ჩვენმა ინსტიტუტმაც პირველი კრებული სწორედ ომის წლებში გამოსცა.

გიორგი ჩიტაია

საამაყო რექტორი

გიორგი ხარაული 33 წელი ხელმძღვანელობდა ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს, როგორც ხელმძღვანელობდა ეს მთელმა საქართველომ იცის.

ბატონ გიორგის ინსტიტუტის ცხოვრების არც ერთი სფერო ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია. თუ არ ეცალა იმ დღეს სპექტაკლს არ გვათამაშებდა. რამდენჯერაც არ უნდა ჰქონოდა ნანახი. ერთხელ შ. რომანიშვილი (კლუბის გამგე) შევიდა ბ-ნ გიორგისთან კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახურის" დადგმისათვის მსახიობების მოწვევის შესათანხმებლად ბ-მა გიორგიმ ჰკითხა „ბიჭო, შოთა, შენ იქნები?" „არა, ბატონო გიორგი, გ. აბრამიშვილი იქნება ჩემს მაგიერ". „კახი, იმის მაგივრად არავინ მოიწვიოთ, მაგისთანად ვერავინ შეასრულებს". სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა.

პედაგოგიურ ინსტიტუტს სპორტული დარბაზი არა ჰქონდა. გ. ხარაულმა მიამბო: „ჩავედი სამინისტროში, ვიკითხე - რა სასჯელს დამადებთ, სპორტული დარბაზი რომ ავაშენო-მეთქი. საყვედურს გამოგიცხადებთო... თუნდაც, ათი იყოს... ჩამოვედი გორში, შევწყვიტე ყოველგვარი რემონტი და რამდენიმე თვეში სპორტული დარბაზი მზად იყო. ამის გამო სამინისტრომ ერთი თვის ხელფასით დამაჯილდოვა. ეს 1000 მანეთი იყო. ცოტა მივჩხრიკ-მოვჩხრიკე, სპორტული ინვენტარი შევიძინე და აბა, როგორი დარბაზია! კარგია არა?" (სტილი დაცულია).

როცა გ. ხარაულის თეატრში შეხვედრა მოუწყვეს, მან დიდი მადლობა გადაიხადა და განაცხადა „მე რომ ვყოფილიყავი ინსტიტუტი არ... (შეწყვიტა ლაპარაკი, შემდეგ განაგრძო) არ დაიხურებოდა მეთქი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: არ დაიხურებოდა!" მთელმა დარბაზმა ოვაცია გაუმართა მის ჭეშმარიტ განცხადებას.

ბატონმა გიორგიმ ერთხელ, პირად საუბარში მითხრა: „ცოტა თავისებური იყო, თორემ ჟორა ჩიტაიაზე უკეთესი დეკანი ინსტიტუტს არა ჰყოლია“.

გიორგი ხარაულს სთხოვა მეუღლემ, ჟენია ღვინიაშვილმა: „გიორგი, წელს მე ქალაქში დამტოვე პრაქტიკაზე, რაიონში ახალგაზრდები გაუშვი“ — მოგხსნი ჟენო“ — იყო რექტორის პასუხი. ამ საკითხზე საუბარი აღარასოდეს განახლებულა.

მ. მრევლიშვილის პიესას „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ ვთამაშობდით. პირველი მოქმედების შესვენებისას ბატონი გიორგი წამოდგა და თავის მეუღლეს, ჟენია ღვნიაშვილს უთხრა: „ახლა გავალ, ჩემო ცისიერო და...“ ლექტორებს სიცილი რათ ულირდათ, მაგრამ ვერავინ გაბედა, ანზორ კაპანაძემ კი გადაიხარხარა. ბატონმა გიორგიმ მიმართა ანზორს: „რა იყო, შე მუდრეგო, ეს ჩემი ცისმიერია მა ვინ არი“ (სტილი დაცულია).

კ. ბუაჩიძის კომედია „მკაცრი ქალიშვილები“ — იდგმებოდა. ვ. კახნიაშვილი (დამდგმელი) და ვ. არჩუაძე (მხატვარი) შევგზავნე ბ-ნ გიორგისთან, გაფორმებისათვის საჭირო მასალის შესაძენად თანხის გამოყოფის თაობაზე. ბატონ გიორგის მაშინვე პასუხის გაცემა არ უნდოდა და უთხრა: „წავიდე თორემ კახი იტყვის, ახლა გიორგიმაც დამიწყოო“. მაშინ მე ინსტიტუტში გამნაწილებლად ვმუშაობდი და ლექტორების გაცდენა-დაგვიანებების აღრიცხვა მევალებოდა.

ორი კვირის მისული ვიყავი სამსახურში და დაინიშნა თათბირი რექტორთან — მე ცოტა შევაგვიანე და ყველა რომ შევიდა მეც შევედი. მხოლოდ ბატონ გიორგისთან იყო ადგილი. მანაც მაშინვე დამიძახა, გვერდით დამისვა და მთელი თათბირის განმავლობაში ყველაფერს „მითანხმებდა“, „შენ რას იტყვი, ასეა არა?!...“ ეს ერთადერთი შემთხვევა იყო თათბირზე ყველაზე გვიან რომ შევედი კაბინეტში, ამის შემდეგ დაინიშნებოდა თუ არა თათბირი, ყველაზე პირველი მე შევრბოდი და სადმე მივიყუჟებოდი ხოლმე.

ყველამ იცის, თუ რა განსაკუთრებულად ეხმარებოდა ბატონი გიორგი სპორტსმენებს. ერთი გოგონა კარგი ტანმოვარჯიშე ჩარიცხეს ინსტიტუტში, ერთი წლის შემდეგ ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე ითქვა, რომ იგი არ დადის ვარჯიშებზე... ბ-მა გიორგიმ ჩაილაპარაკა „უთხარით იაროს...“ - მეორე დღეს ეს გოგონა უკვე მორბოდა ვარჯიშზე.

ბ-ნი გიორგი მაგარი კაცი იყო. ვერაფერმა ვერ მოტეხა. მარტო ჩიტოს (ვაჟიშვილის გარდაცვალებამ) გაანადგურა. მართალია დაკარძალვას, ორმოცსა და წლისთავს თვითონ უხელმძღვანელა, მაგრამ მისი ჯანმრთელობა საბოლოოდ შეირყა. ჯერ თვალის ოპერაცია გაიკეთა. მეორეც დასჭირდა, მაგრამ ვერ დაითანხმეს. პირველი ოპერაციაც ჟენიას (მეუღლის) გამო გავიკეთე, რადგან ის უჩემოდ არ იკეთებდა — ასლა რომ გავიკეთო რა უნდა დავინახო. მართლაც არ გაიკეთა მეორე აუცილებელი ოპერაცია.

პედინსტიტუტში ხშირად იმართებოდა აკადემიური საღამო-ფესტივალები. ერთი ასეთი სერიოზული საღამოს მოწმეც ვარ. ბ-ნ გიორგის აუტყდნენ, მოსვენება არ მისცეს - ევროპული ცეკვების საღამო მოვაწყოთო, კარგა ხანს იკავა თავი ბ-მა გიორგი, მაგრამ კვლავ მოსვენება რომ აღარ მისცეს, დაეთანხმა. საღამო ჩატარდა პედინსტიტუტის სპორტულ დარბაზში. გიორგი ლოჟაში გადმოდგა. ცოტა ხანს უყურა ევროპულ ცეკვებს, ვეღარ გაუძლო გულმა და საღამოს მესვეურებს დაუძახა, უბრძანა: „ახლა მორჩით მალე, სანამ მე ვარ აქ, „ჭიპხახუნა“ არ იქნება!“ ასე მონათლა ევროპულ ცეკვებში წარმომდგენილი საღამო გიორგი ხარაულმა. მას შემდეგ ვინღა გაბედავდა ევროპული ცეკვების საღამოს განმეორებას.

გიორგი ხარაული მართლაც ამშვენებდა და ეამაყებოდა გორსა და გორელებს.

კახი ფაჩოშვილი

ნათელი ადგეს

„პატივცემული გიორგი, რექტორი, ჩემს მეხსიერებაში დარჩა როგორც ერთ-ერთი უანგარო, სამართლიანი და ობიექტური მუშაკი, მომავალი თაობის კეთილშობილებისათვის, კეთილ-დღეობისათვის მებრძოლი.

მისი ლექცია ყოველთვის იყო წყნარი და გასაგები. მისი ხმა მთელ აუდიტორიას იპყრობდა. იძლეოდა მაქსიმუმს და ითხოვდა იგივეს, გარეგნულად მკაცრი შეხედულება ჰქონდა, მაგრამ გამოცდაზე ეს მკაცრი იერი იკარგებოდა და უფრო ჰუმანური ხდებოდა. ყოველთვის ცდილობდა სტუდენტი შეფასების დროს უკმაყოფილო არ დარჩენილიყო. არწმუნებდა მას მიღებულ შეფასებაში. გამოცდის ჩატარება უყვარდა თავის კაბინეტში.

ნათელი ადგეს მარადიულ სასუფეველში“.

ლია ზუმბულიძე,
1972 წლის კურსდამთავრებული

პოზიცია კეთილშობილი

პირველად ბატონ გიორგის 50 წლის წინათ შევხვდი. ეს ის დრო იყო, როცა გამარჯვებით დამთავრდა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი, სურამის კირის ქარხნის მუშამ მისაღები გამოცდები ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

მისაღებ გამოცდებს შემოუერთდნენ მკერდდამშვენებული და ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი ბიჭები. სრულიად კანონიერად გამოცდების დამთავრების შემდეგ ომგადახდილი ბიჭები ჩარიცხეს უკონკურსოდ და ჩემი მდგომარეობის აბიტურიენტებს სხვადასხვა ფაკულტეტებზე და სხვა ინსტიტუტებში გვირჩიეს სწავლის გაგრძელება.

მე ქართლის შუაგულში ქ. გორში სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ვარჩიე უმაღლესი განათლების მიღება და ჩემი საგამოცდო ნიშნების ცნობით, აქაურ ინსტიტუტს მივაშურე.

ახლა ადვილია ჩემი ცხოვრების ამ მეტად საინტერესო ეპიზოდის გახსენება, მაგრამ მაშინ, სოფელში გაზრდილს გორი არ მენახა და დილით ადრე რკინიგზის სადგურში ჩამოსვლის შემდეგ ერთგვარად შემკრთალი ფეხით გავუყევი ძველი ხიდით ჭაღარა ქალაქის ლენინის ქუჩას. კითხვა-კითხვით აღმოვჩნდი პედაგოგიური ინსტიტუტის ძირითადი კორპუსის წინ. აქ ინსტიტუტის თანამშრომლები ვერავინ ვნახე, შორიახლოს დაველოდე პირველსავე შემხვედრს. იმ ხანს ქალაქი პატარა იყო, ხალხი ისიც დილით იშვიათად შეგხვდებოდა ქუჩაში. ცოტახანს მომიხდა მოცდა. შემდეგ შევამჩნიე, რომ ინსტიტუტის ეზოში ჩრდილოეთის მხრიდან ვიღაც კაცი შემოვიდა. შენობა საგულდაგულოდ დაათვლიერა გარეთა მხრიდან და გეზი დღევანდელი მეორე

კორპუსისაკენ აიღო. სულმოუთქმელად დავედევნე, დავეწიე და ბოდიშის მოხდით ვკითხე: ბიძია, აქ სად არის პედაგოგიური ინსტიტუტი? უცნობმა დაკვირვებით შემომხედა. ჭკვიანური თვალებით ამზომ-დამზომა და მერე მითხრა: „წამოდი, შვილო, მე გასწავლი სადაც არის პედაგოგიური ინსიტუტიო“ და გამიძღვა. გულში იმედის ნაპერწკალი აკიაფდა. ჩემს წინ კეთილი კაცი მიაბიჯებდა. მე ოდნავ მოშორებით მივყვებოდი. მალე მეორე კორპუსში შევედით. მეორე სართულზე ავედით. იქვე, მარჯვნივ, მესამე ოთახში შემიძღვა. თავად სამუშაო მაგიდასთან მოთავსდა და დიდი ხნის ნაცნობივით მკითხა: „აბა, შვილო, რა გაგჭირვებიაო. მართალი გითხრათ, დავიბენი, არ ვიცოდი ვისთან მქონდა საქმე. მაგრამ იმ კაცის სიმშვიდემ და ახლობლური საუბრის კილომ ძალა მომაკრებია. ყველაფერი მოკლედ მოვახსენე და თან ჩემი საბუთებიც გავუწოდე. ახლა რომ ვიგონებ, ამ შეხვედრას, გამოტეხით ვიტყვი, ჩემთვის ეს მომენტი იყო ძნელზე ძნელი - ვფიქრობდი, ვაი თუ არ მოეწონოს ჩემი საბუთები და რა მეშველება მეთქი. აი ამ გაურკვეველი და მძიმე განცდებიდან ისევ ამ კეთილი კაცის ხმამ გამომიყვანა. - შენ, ყმაწვილო, ისეთ სპეციალობაზე ჩაგიბარებია უნივერსიტეტში, რომ ჩვენთან მხოლოდ ისტორიის, ან ფილოლოგიის სპეციალობაზე შეიძლება შენი ჩარიცხვა. შემდეგ პატარა პაუზა გააკეთა და მკითხა, რომელს ისურვებო? - სიხარულის ფრთები შემესხა, არ დავაყოვნე და მოწიწებით ვთხოვე ისტორიის სპეციალობაზე ჩარიცხვა. კარგიო და მეორე ოთახიდან მოიხმო ფაკულტეტის დეკანი დოცენტი სიმონ ციციქიშვილი და ჰკითხა, თუ არის საშუალება ეს ყმაწვილი მივიღოთო, ბატონო გიორგი, ისტორიის სპეციალობა სულ ომგადახდილმა ბიჭებამ შეავსეს და სამწუხაროდ არავითარი საშუალება არა მაქვსო, უპასუხა პატივცემულმა სიმონმა. მერე ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანს უხმო. შემობრძანდა მაღალი,

ოდნავ ფერმკრთალი და მელოტი კაცი, რომელსაც უამრავი გაზეთები და რაღაც ჟურნალები ეჭირა ხელში. ბატონმა გიორგიმ მიმართა: მიხეილ, ამ ახალგაზრდას სურს შენს ფაკულტეტზე სწავლა და რას იტყვი, ადგილი გაქვს თუ არაო, ბატონმა მიხეილ ჩიკვაიძემ არც დააყოვნა და უპასუხა: ჩემთან სულ გოგონები არიან, მხოლოდ ოთხი ვაჟია და ეგ მეხუთე იქნებაო. მე უფრო ისტორიის სპეციალობაზე მინდოდა. ჩანს რაღაც სინანული დამეტყო სახეზე. ეს არ გამოეპარა ბ-ნ გიორგის და იქვე პირველი რჩევა მომცა: „შვილო, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სპეციალობა მეტად საჭირო და კარგი სპეციალობაა, აქ ჩაგრიცხავთ და თუ იმუშავებ, სამკალი აქედან უამრავია“. აი, ასე შევხვდი და გავიცანი გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი და შემდეგ რექტორი, ქართული და არამარტო ქართული პედაგოგიური საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი მოღვაწე, უმაღლესი სკოლის თვალსაჩინო მცოდნე და გამორჩეული გულითადობის მოქალაქე, ბატონი გიორგი ილიას ძე ხარაული.

პროფ. შოთა ქურდაძე

გაზ. „გამარჯვება“, 15.3.86წ.

ჩემი სავანე

გიორგი ხარაულის პუნქტუალობაზე მიუთითებს ო. ჩხეიძის „ჩემი სავანე“-ს 39-ე გვერდზე მოცემული ციტირება: „ორზე გამოვიდოდა კაბინეტიდანა, შინ წავიდოდა. სახლი იქკე ჰქონდა. დასანაყრებლად მიდიოდა, დასასვენებლად არა. დასვენება ალბათ რო არც იცოდა. გავიდოდა პურის საჭმელად, მერე დასაძინებლადა. ეს იყო და ესა, სხვა არაფრისათვის არ დაჰკარგავდა დროსა, სხვა არაფრისათვის არ გაეცლებოდა ინსტიტუტსა. ჭამის წინ არაყს გადაჰკრავდა, როგორც ამბობდნენ, დასათრობად არა, ისე, ძველებურად მადისა და ჭამის ეშხისათვისა, პატარა ჭიქითა, რო არც მოუჩანდა ვეება ხელშია. როგორც ამბობდნენ მეთქი. ვისგან გაეგონათ, ამდენი აღარ ვიცი. შინ არავინ მიუყოლებია არასოდესაო, არავის შეუღია იმისი კარი, არავის გაუტეხია პური იმის ჭერქვეშაო. ასე გადაჰკრავდა არაყსა და ნიორიც უყვარდა, რო მიედებოდა გრიპის ეპიდემიაი, მაშინ ჰო მაშინ განსაკუთრებითა, მაშინ კიდევაც ურჩევდა სხვებსაც.

ბ-ნ სერგი მაკალათიას არ მოსწონდა ახალგაზრდა ლექტორები, არ მოსწონდა და ამიტომ კათედრაზე არც შედიოდა. არ მოსწონდა მათი უფროსიც (კათედრის გამგე) არ მოსწონდა ის ხალხი, რო აღუთქვავდნენ ერთსა რექტორსა და აკეთებდნენ მეორესა.

რექტორს იმათში არა გულისხმობდა. ი რექტორი კარგი კაციაო, ეგ რო აღარ იქნება, ინსტიტუტიც აღარ იქნებაო.“

დაურთავდა დაბეჯითებითა, ოღონდ ესენიო, აი ესენიო, და სახელებსაც რო ჩამოთვლიდა, ისე უნდა მიმხვდარიყავი, ვისა გულისხმობდა, რექტორი კარგია, კარგი კაციაო, დასძენდა ხშირადა.

რექტორს აქებდა, კაცი ეგ არისო. კაციც ეგ არის და ინსტიტუტიც

ეგ არისო. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოსო, მაგრამ ეგ რო აღარ იქნება, ინსტიტუტიც აღარ იქნებაო. ვიდრე ეგ არის ღვთის უბეში ვართ. მერე ეშმაკის წილი ვიქნებითო. ეს ცუდი ხალხია საქმეს რომ აფუჭებს, რომ მოიშორებდეს, კარგი იქნებოდაო, ნეტავი როგორმე მოშორებდესო, ეშმაკის მახესაც ავცდებოდითო. ასე მსჯელობდა და აქებდა რექტორსა, ცხადია. ჰო, ეგ რო აღარ იქნება, ინსტიტუტიც აღარ იქნებაო, ბრძანებდა ბატონი სერგო. მერე აღმოჩნდა, წინასწარმეტყველება რო ყოფილიყო, მერე აღმოჩნდა“ (იხ. გვ. 143)

მწერალი ოთარ ჩხეიძე

როგორც ზემოთ მოყვანილი ციტირებიდან ჩანს, ცნობილი ქართველი მწერლისა და ქართული პროზის მშვენების, ბატონ ოთარ ჩხეიძის წიგნი „ჩემი სავანე“ ეხება შიდა ქართლში (გორის ინსტიტუტში) მოღვაწე პროფესორ მასწავლებელთა ხასიათებს, სახეებსა და პორტრეტებს. წიგნს წითელ ზოლად მიჰყვება ინსტიტუტის რექტორის, დოც. გ. ხარაულის მოღვაწეობის წარუშლელი კვალი.

ამაგდარი რექტორი

გიორგი ხარაული იყო ზედმიწევნით კეთილი და ყურადღებიანი ადამიანი. თუკი ახალგაზრდას შეამჩნევდა მონდომებას ყველაფერს ილონებდა, მის გზაზე დასაყენებლად. ამის არა ერთი და ორი მაგალითი მახსოვს. გავიხსენებ თუნდაც ჩემს მაგალითს. თუ არ ვცდები, ეს იყო 1965 წელს. ჩვენი გუნდი გორიდან გავემგზავრეთ ქ. კრასნოდარში ნებაყოფლობით, სპორტსაზოგადოება „ქარიშხალას“ პირველობაზე (ანუ სტუდენტურ შეჯიბრებაზე ჭიდაობა „სამბოში“), სადაც გორის ნაკრებმა გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი. ჩვენგან პირველი ადგილები ავიღეთ მე, 58 კგ წონაში, ბულდან ბაღაკაშვილმა 80 კგ. წონაში. იური იმერლიშვილმა 62 კგ წონაში და ნოდარ ყაჩმაზაშვილმა მძიმე წონაში. მე და ბაღაკაშვილმა ვიჭიდავეთ საკავშირო პირველობაზე ქ. პერმში და დავიკავეთ მეორე საპრიზო ადგილები. შეჯიბრიდან რომ დაბრუნდით, რექტორმა ძალიან თბილად, გულღიად და ძალზე გახარებულმა მიგვიღო. თავის კაბინეტში გამარჯვებულ გუნდს მოგვიწყო ფართომასშტაბიანი შეხვედრა. ყველას გადმოგვცა სამახსოვრო საჩუქრები. ვერცხლის თასები, რომლებიც დღესაც ჩემი ოჯახის უძვირფასეს რელიკვიას წარმოადგენს და ძალიანაც ვუფრთხილდები. განსვენებულ გიორგი ხარაულს ძალიან უყვარდა ყველა სტუდენტი. განსაკუთრებით კი სპორტსმენები და ხელოვნებას დაუფლებული ახალგაზრდები. ყოველნაირად ხელს უწყობდა შემოქმედებით საქმიანობაში, ეხმარებოდა მატერიალურადაც, ვთქვათ სამსახურის შოვნაში. შორს რომ არ წავიდეთ, როცა მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი გორში, მათემატიკაში ჩავიჭერი. საბუთების გასატანად რომ მივედი, რექტორმა გაიგო, დამიძახა თავის კაბინეტში და დამმოძღვრა: „შვილო, წელს რომ არ გამოგივიდა, ამით

გულს ნუ გაიტეხ, წელსაც გულმოდგინედ წაიმეცადინე და მომდევნო წელს ჩაგრიცხავო". მართლაც ასე გააკეთა: მიმამაგრა კათედრაზე მომუშავე ასისტენტ-მასწავლებლებს. რამდენიმე თვე რეგულარულად მამეცადინებდნენ. ფულს არავინ მახდევინებდა. ამას პლუს - მათემატიკის სახელმძღვანელოებით მამარაგებდნენ ლაბორანტები. კერძოდ, კი ჟუჟუნა სახვაძე და დალი მაღლაკელიძე. მამეცადინებდნენ რთული ამოცანების ამოხსნასა და სავარჯიშოების გაკეთებაში. იქვე, ფიზალზრდის კათედრაზე მიმიღო ლაბორანტად და ხელფასსაც მიხდიდნენ. აი, ამდენი სიკეთის შემდეგ, განა შეიძლება ამ უანგარო ადამიანის შესახებ განცდით არ ილაპარაკო?... კარგად ვიმეცადინე, ცოდნაც შევიძინე და გამოცდებზე წარმატებაც მხვდა. რექტორმა თავის სიტყვა შეასრულა. ჩამრიცხა ინსტიტუტში. მე ჩემი სიტყვა. რამდენჯერ ვასახელე ინსტიტუტი ადგილობრივ თუ საერთაშორისო მასშტაბის სპორტულ ღონისძიებებში. ამჟამადაც მწვრთნელი ვარ კასპის რაიონში. წარმატებებიც მაქვს და ხალხის სიყვარულიც, ვცდილობ, ჩემზე ამაგდარი ადამიანის გიორგი ხარაულის ცხოვრების წესით ვიცხოვრო. ნათელი მის ხსოვნას.

გიორგი ბეინაშვილი,
კასპის რაიონი, სოფელი ლამისყანა

დედის ნაამბობიდან

დედაჩემმა, ნაზო ბერიანიძემ, გორის პედინსტიტუტი რამდენიმე წლის წინ დაამთავრა დაუსწრებლად. მახსოვს,. ერთხელ სტუმრები გვეწვივნენ. დედას თანაკურსელები აღმოჩნდნენ. მე მაშინ სკოლაში ვსწავლობდი და მთელ საათზე მეტი ლაპარაკობდნენ გიორგი ხარაულზე და მის მეულლეზე, ქ-ნ ჟენია ღვინიაშვილზე. ცნობისმოყვარეობამ დამძლია და ველარ მოვითმინე - ვკითხე: დედა, ვინ არიან ის ადამიანები, ასე სიყვარულით რომ ამკობთ-მეთქი? დედას არ ესიამოვნა მათ საუბარში რომ ჩავერიე და ოდნავ ღიმილნარევმა მითხრა: „შვილო, ახლა კი გეტყვი, მაგრამ როცა მეგობრები საუბრობენ, შენ არ უნდა ჩაერთო, ასე როდი გზრდი. არც შენ გახასიათებდა ასეთი რამ, დღეს?!..

აი რა, ჩემო ჭკვიანო ბიჭო, გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის სპეციალობა დავამთავრეთ მე და ამ ჩემმა კოლეგებმა. ამ ინსტიტუტს ხელმძღვანელობს ის კაცი, რომლეზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ. მისაღებ გამოცდებს რომ ვაბარებდი 32 წლის ვიყავი, ორი შვილის დედა. გამოცდას ესწრებოდნენ ბ-ნი გიორგი ხარაულის მეუღლე ქ-ნი ჟენია ღვინიაშვილი და დოცენტი ვახტანგ ციხისთავი. ჩემი პასუხი იმდენად მოსწონებია, რომ ახლად სკოლადამთავრებულებისათვის ორი შვილის დედამ, 32 წლის ქალმა, 17-18 წლის გოგო-ბიჭებს როგორ უნდა გაჯობოთო? და იქვე მჯდომ კომისიელებისათვის უთქვამს, შოთა და ნატო, (დოც. შოთა ასანიძე და უფროსი მასწავლებელი ნატალია ხადური) უსმინეთ, რა კარგად პასუხობსო.

წერით გამოცდაზე რომ გავედი შეფასება „ოთხი“ მივიღე. ხარაულმა რომ დახედა ჩემს ნაწერს, მკითხა, სადაური ხარ და როდის დაამთავრე

საშუალოო. 15 წლის წინო, რომ ვუთხარი, შემაქო, „ყოჩაღ, შვილო, კარგი ნაწერიაო“. გავიდა სტუდენტობის ის ხუთი წელიც, ახლა 1968 წელს სახელმწიფო გამოცდებზე ვარ მათთან. მაშინაც გაიხსენეს ეს ის კურსდამთავრებულია მისალები გამოცდები კარგად რომ ჩააბარაო, ჰოდა, კარგი რექტორი, კარგი ადამიანი იყო გიორგი ხარაული, სტუდენტებს ძალიან მზრუნველობდა. ბევრი რამ მახსოვს მისა და მისი მეუღლისაგან სასიკეთო, რომელსაც მეც ვიყენებ - ჩემს მოსწავლეებთან ურთიერთობისა და სწავლისას“ - თქვა დედამ და ისევ მეგობრებთან ჩაერთო საუბარში, მის შემდეგ კარგა ხანმა განვლო, ხარაულის გვარი ხშირად ფიგურირებდა. ჩვენს ოჯახში დედა აღიარებული და სამაგალითო მათემატიკოსი დადგა. ამაში დიდად უმადლოდა თავის აღმზრდელ ადამიანებს და უპირველესად გიორგი ხარაულს. მეც მათ კვალს გავყევი და მგონი არაფერი წამიგია.

ბესიკ ნიპარიშვილი,
კასპის საერო გიმნაზიის დირექტორი

ღვაწლმოსილი

გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში შესვლამდე გამეგონა მისი დირექტორის - გიორგი ხარაულის სახელი ჩემი უფროსი თანასოფლელებისაგან და სხვაგანაც, ვინც ინსტიტუტში სწავლობდა ანდა უკვე დამთავრებული ჰქონდა. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი კაციაო, მადლიერიც ბევრი ჰყავდა და თითო-ოროლა მომდურავიც მოიძიებოდა. ემდუროდნენ უფრო მეტად ხელმოცარული აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებზე. ეს თავგზააბნეული ხალხი გიორგი ხარაულს ადარებდნენ მკაცრ მეტყველ-ყარაულს, რომელიც არ აკარებდა ბრაკონიერებს ტყეს. (ასეთ შემდარებლებს მეტი არ მოეთხოვებოდათ). ასეთი ხალხური პაწია ლექსი დაიარებოდა სოფლებში:

„რას დამაკლებს ყარაული,

ტყეს რომ ახლოს არ ავუვლი“.

ეს სტრიქონები ასე „ვადათარგმნეს“ ხელმოცარულმა აბიტურიენტებმა:

„რას დამაკლებს ხარაული,

მას ხომ ახლოს არ გავუვლი“.

მე კი „ხარაულის ინსტიტუტს“ ახლოსაც გავუარე და შიგაც შევაღწიე. სტუდენტი რომ დამერქვა, მაშინ გავიცანი სახიერად ეს ტანბრგე, მოხდენილი კაცი, მაგრამ ისე ახლოს ვერ ვიცნობდი, რომ მისი, როგორც მოღვაწის, პორტრეტი დავხატო, თუნდაც შემოკლებით. დაახლოებული ვერ ვიყავი, რადგან მას ჩემთვის ლექციები არ წაუკითხავს.

ბატონ გიორგის ვიცნობდი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზოგადად, როგორც ინსტიტუტის თავკაცს, რომელიც უნარიანად ხელმძღვანელობდა სასწავლებელს. ამ ტანბრგე, ერთი შეხედვით მკაცრი გამომეტყველების

იერ-სახის მქონე კაცში სახლობდა კეთილი სული. იგი იყო მომთხოვნი, წესრიგის მოყვარული, ენერგიულად იღწვოდა ინსტიტუტში სწავლების ხარისხის ასამაღლებლადაც და დისციპლინის განსამტკიცებლადაც, იბრძოდა სტუდენტების მხრიდან ლექციების გაცდენა-დაგვიანების აღსაკვეთად.

ბატონი გიორგი ინსტიტუტში დისციპლინის დამყარებისა და სწავლების ხარისხის ასამაღლებლადაც ხომ არ ზოგავდა ენერგიასა და დიდ ყურადღებას აქცევდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას. განსაკუთრებით მზრუნველობდა სპორტული მონაცემების მქონე ჭაბუკებს და ქალიშვილებს. დაეძებდა ისეთ აბიტურიენტებს, რომელთაც თავი გამოეჩინათ სპორტის რომელიმე სახეობაში და ბევრმა გაუმართლა კიდეც - გორის გარეთაც, მთელ საქართველოში ისახელეს თავი და ამით სახელი გაუთქვეს ინსტიტუტსაც.

გიორგი ხარაული დიდ ყურადღებას აქცევდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობას. კონფერენციებზე წამსვლელებს წინასწარ შეხვდებოდა ხოლმე. ლექტორ-ხელმძღვანელებს და სტუდენტ-მომხსენებლებს გზას დაულოცავდა. რესპუბლიკური კონფერენციებიდან დაბრუნებულებსაც დიდი სითბოთი ღებულობდა, მადლობასაც ეუბნებოდა და ღირსეულთ ჯილდოებსაც აძლევდა. ასეთი რამ მეც მრგებია ორსამჯერ, ქუთაისიდან და თელავიდან გამარჯვებულ სტუდენტს.

გიორგი დაინტერესებული იყო აგრეთვე ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის მუშაობითაც. მე არ მახსოვს ესწრებოდა თუ არა წრის მუშაობას, მაგრამ რამდენადაც ვიცი, თვალყურს ადევნებდა სტუდენტთა შემოქმედებას.

გიორგი ხორგუაშვილი

მოქალაქე, მეცნიერი, ორგანიზატორი

ჩვენს დაუვიწყარ გიორგი ხარაულზე მოგახსენებთ.

ასობით ახალგაზრდა შემოდის ყოველწლიურად გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სწავლობს, ამთავრებს და უმაღლესი განათლების დიპლომით ცხოვრების შრომის ფერხულში ებმება.

გადის წლები, შემდეგ მათი შვილები ხდებიან სტუდენტები, შვილიშვილები... ცხოვრება მიედინება, ხდება ფასეულობათა გადაფასება, ბევრი რამ იცვლება, მაგრამ არ იცვლება თაობების დამოკიდებულება გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი რექტორის გიორგი ხარაულისადმი, რომელმაც ინსტიტუტის ხელმძღვანელის პოსტი 1938 წელს, 31 წლის ასაკში ჩაიბარა და 1974 წლამდე იმ როულ და ცვალებად წლებში ნამუსიანად ატარა რექტორის მძიმე ტვირთი.

ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებულმა, თავდაუზოგავი შრომით და ნებისყოფით მან იმთავითვე ახალგაზრდობის აღზრდის საქმისათვის შეძლო თავის გარშემო შემოეკრიბა იმ დროის საქართველოს საუკეთესო მეცნიერ-პედაგოგები და გორის უმაღლესი სკოლა, საქართველოში პედაგოგიური კადრების მომზადების ერთ-ერთ საუკეთესო სამჭედლოდ გადაექცია... თუმცა, როგორც ის იგონებს ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ბატონ ზაურ წაქაძესთან 1992 წლის დასაწყისში შეხვედრისას, მას ამისთვის ძალზე ძნელი გზის გავლა მოუხდა. მოვუსმინოთ მას: „1936 წელს გორში უკვე გაიხსნა პედინსტიტუტი. ორ წელიწადში შევძელი, რომ რესპუბლიკაში ინსტიტუტებს შორის ჩვენთან ყველაზე მეტი ყოფილიყვნენ ხარისხებითა და სამეცნიერო წოდების მქონე ცნობილი მეცნიერები. ჩვენს ინსტიტუტში ასწავლიდნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ: ვარლამ თოფურია, გიორგი ახვლედიანი, ქართული გეოგრაფიის

ფუძემდებელი საქართველოში ივანეს ძმა - გიორგი ჯავახიშვილი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, გივი ჟორდანია, სერგი მაკალათია".

ბატონი გიორგი პროფესიონალი პედაგოგიური კადრების მომზადებასთან ერთად უდიდეს ყურადღებას აქცევდა სტუდენტთა თვითშემოქმედებას და განსაკუთრებით სპორტში დაოსტატებას, რის შედეგადაც ეს უმაღლესი სკოლა სტუდენტური სპორტის ერთ-ერთი მეწინავე იყო არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირში. მარტო ის რად ღირს, რომ ამ ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის სტუდენტებმა შოთა ჩოჩიშვილმა, თემო ხუბულურმა, გია თენაძემ, კობა კურტანიძემ და სხვა მრავალმა თავიანთი წარმატებებით, ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოს, ევროპის და საბჭოთა კავშირის პირველობებზე, ტრიუმფალური მიღწევებით სახელი გაუთქვეს ინსტიტუტს, გორს და მთლიანად საქართველოს. საამაყოა კიდევ ის, რომ სხვადასხვა სპორტის სახეებში მაღალი კლასის სპორტსმენთა აღმზრდელი პედაგოგები, დამსახურებული მწვრთნელები: გურამ პაპიტაშვილი, ნუგზარ სხირელი, ავთანდილ შოშიაშვილი, გივი ზაუტაშვილი, ირბეგ ჯიოშვილი, მერაბ მუზაშვილი, სოსო ფუხაშვილი, გივი საბაშვილი, ნიკო ანდღულაძე და სხვები ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები არიან.

მაშ ასე - შექმნილია უწყვეტი ჯაჭვი - სისტემა, რომლის შედეგებს წლიდან წლამდე იმკის ქართული სპორტი. ეს ჯაჭვი არასდროს არ უნდა გაწყდეს. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ დღეებში დამთავრდა ბატონი გიორგი ხარაულის ხსოვნის აღსანიშნავი უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის და სპორტის სპეციალობის სტუდენტთა მესამე თამაშობები, რომლის ჩატარების ტრადიცია იმ დიდი ღვაწლის დაფასებაა, რომელიც მან დასდო ამ სპეციალობის დაარსებას ჩვენს უმაღლეს სკოლაში.

გივი ხაჩიძე

სწავლის ქირა რექტორმა მიხადა

ქარელი, 2000 წლის 23 მარტი, გვესაუბრება ქალბატონი სოფიო ფალელაშვილი.

- დანაშაულია იმ პიროვნების დავიწყება, ვისაც უამრავი სიკეთე უთესია, მაგრამ როცა ასეთი ბევრია, ძნელია არჩევანის ერთზე გაკეთება, მომიტევოს მათმა სულებმა, რომელთა წინაშე მეტ-ნაკლებად ვალდებულნი ვართ და ვალმოხდილნიც. მაგრამ რა დააშავა ბატონმა გიორგიმ? მე მის სულს ვენაცვალე, თუ კი რამ კარგი გამაჩნია, თანაც, დღეს რომ ბედნიერი ვარ, მისი დამსახურებაც არის, აი, რატომ: 13 წლისა დავობლდი დედით, სწავლა შევწყვიტე, ახლობლების რჩევით ორი წლის შემდეგ ისევ განვაგრძე. VIII-IX კლასებში გორში, ქალთა მესამე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. კვლავ ხელისშემშლელი პირობები, დედინაცვალი და სხვა, რის გამოც ბიძამ წამიყვანა სოფელ კარალეთში და საშულო იქ დამამთავრებინა.

1947 წელს ჩავირიცხე გორის პედინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. პირველი კურსი ხუთებით დავხურე, მაგრამ იტყვიან, უბედურს ქვა აღმართზე მიეწევაო - ბიძა მომიკვდა. პირობები გამირთულდა. გადავწყვიტე სწავლისათვის თავის დანებება, მაგრამ გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები: გიორგი ხარაული და გიორგი ჩიტაია, დამიბარეს და მითხრეს: „შვილო, ოღონდ სწავლას თავი არ დაანებო, ყოველმხრივ დაგეხმარებით, ჩვენ ყველაფერი ვიცითო“. მაშინ სწავლის გადასახადისაგან მხოლოდ ომის მონაწილენი და ომში დაღუპულთა შვილები თავისუფლდებოდნენ. ბატონმა გ. ხარაულმა სამი წელი მიხადა სწავლის ქირა თავისი ხელფასიდან. მისი შუამდგომლობით პროფკავშირიც მეხმარებოდა, სტუდენტთა საცხოვრებელშიც შემომთავაზა

ყოფნა, ამ ყოველივეს ისე აკეთებდა, რომ არ მეთაკილა.

კიდევ რამდენი სიკეთე და თბილი სიტყვა მომაგონდება მისგან, რომელიც ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება.

ბატონი გიორგი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი პიროვნება ბრძანდებოდა, ობიექტურიც, ცოდნას არავის დაუკარგავდა. სიმკაცრესთან თბილიც იყო. სტუდენტებს ყოველთვის „შვილოთი" მოგვმართავდა და გვეკითხებოდა „ხომ არაფერი გიჭირთო". საკვირველია, იმ დალოცვილმა ღმერთმა რატომ დასაჯა ასე: ჯერ იყო და შვილი მოუკვდა, შემდეგ მხედველობა წაერთვა, ის არ კმაროდა, რომ ზოგმა სიკეთე ბოროტებით გადაუხადა, რისი ღირსიც, ნამდვილად არ იყო?!

საბედნიეროდ, ბევრია კეთილი ადამიანი. მე წაკითხული მაქვს გაზეთებში რომ მასთან მიდიოდნენ სანახავად, სანუგეშებლად ბატონები: შოთა მახარობლიძე, გივი ცერაძე და სხვები. ისიც გავიგე, თუ რა დიდი პატივი დასდეს დაკრძალვისას ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმა, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა გედევან ხელაიამ, ქართული სპორტის პატრიარქებმა, დოცენტებმა: გივი ხაჩიძემ და გურამ პაპიტაშვილმა. მე კი ვალში ვარ მისი სულის წინაშე და ალალი იყოს ის ცრემლები, რაც გიორგი ხარაულის გახსენებისას იღვიძებს-ხოლმე.

სულმნათო, ბატონო გიორგი, მამა-შვილისათვის მსუბუქი იყოს გორის მიწა.

სულგრძელი მოძღვარი

ალბათ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი იმას, რომ ჩემთვის უბედნიერესი წლები იყო, როდესაც მომიწია მუშაობა ბატონ გიორგი ხარაულთან 1965 წლიდან 1968 წლის 18 თებერვლამდე, ჯერ ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანად, ხოლო 1968 წლის თებერვლიდან, ბატონი გიორგი ხარაულის ინსტიტუტის რექტორად მოღვაწეობის ბოლო წლამდე, ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარედ.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბატონ გიორგი ხარაულთან ერთად მოღვაწეობის წლები ჩემთვის ყველაზე საინტერესო და შემოქმედებითი იყო, ალბათ იმიტომ, რომ ვიყავი სტუდენტი და კომკავშირის კომიტეტის მდივანი - სტუდენტი და გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარე. სწორედ ამ წლებში მიაღწია ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა დიდ მიღწევებს, როგორც კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადებაში, ასევე სპორტსა და მხატვრულ თვითშემოქმედებით მუშაობაში.

მრავალი წლის განმავლობაში ზედიზედ ოთხჯერ გადმოგვეცა საკავშირო გარდამავალი დროშა, ყოველივე ეს და სხვა მრავალი მიღწევების სულისჩადგმელი და ინიციატორი იყო ბატონი გიორგი, რომელიც დილიდან გვიან ღამემდე იყო ჩვენთან ერთად და მისი დამრიგებლობითა და გამხნევებით კეთდებოდა ყველაფერი, რაც შემდგომში წარმოჩინდებოდა.

სწორედ ეს წლები იყო ყველაზე დაძაბული და იმავდროულად მიზანსწრაფული მიზნებისაკენ. გავიხსენებ იმასაც, რომ იმ პერიოდში ყველაზე დიდი კონკურსი იყო ჩვენს ინსიტუტში, ზოგიერთ სპეციალობაზე,

ერთ ადგილზე მოდიოდა 18-20 აბიტურიენტი. უნდა აღინიშნოს, რომ აბიტურიენტების უმრავლესობა იყო სპორტსმენი და მხატვრულ-თვითშემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა.

ბატონი გ. ხარაული მეტყოდა ხოლმე, „ჯემალ, აი ასეთი ახალგაზრდობა გამოადგება ჩვენს ქვეყანას, სპორტიც უყვარს, მხატვრული თვითშემოქმედებითი ნიჭიც აქვს და კარგადაც უთავსებს სწავლას ამ ყველაფერს. მისაღები გამოცდების დროს კბილით იცავდა ყველა იმათ, ვინც დაჯილდოებული იყო ამ ნიჭით. გამოცდების დროს ამბობდა, ახლა ამ ნაკადში ამდენი სპორტსმენი და მხატვრულ თვითშემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულნი (მომღერალი, მოცეკვავე, ესტრადაზე დამკვრელი) და სხვები აბარებენ, უნდა მივაქციოთ ყურადღებაო. და ნამდვილად, დამსახურების მიხედვით ხდებოდა ყველა ჩვენი კოლექტივის წევრი.

ერთხელ, მახსოვს მისაღები გამოცდები ტარდება დიდ სპორტდარბაზში, როგორც მისაღები გამოცდების კომისიის წევრი შევედი დარბაზში. ბატონი გიორგი მოვიდა და მითხრა „აქ რა გინდა, შენ“, მე ცოტა შევცბი და ვუთხარი: „ბატონო გიორგი, თუ არა მაქვს უფლება, რომ ვიყო გამოცდებზე, წავალ-თქო“ და გამოვტრიალდი. „შენ, მოიცადე!“ მოვიდა ჩემთან ახლოს და მეუბნება: „ახლა გორის ფეხბურთის სტადიონზე ტარდება მისაღები გამოცდები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალობაზე. შენ გავალებ, როგორც კომისიის წევრს, წადი იქ და მიაქციე ყურადღება, ყველაფერზე პასუხისმგებლობას შენ გავალებ, — შემდეგ ჩუმად დაამატა, — იქ შენი ძმაც აბარებს და ყურადღება მიაქციე.“ მე ვიცოდი მისი სიმკაცრე, მაგრამ ძალიან გამიკვირდა მისი ეს ჟესტი. მკითხველი ალბათ უფრო ჩაწვდება ბატონ გიორგის ამ სიტყვებს და მიხვდება თუ რა ზებუნებრივი ადამიანი იყო იგი.

1968 წლის დეკემბერში დავოჯახდი და 1969 წლის თებერვლის დასაწყისში მომიწია ბატონ გიორგი ხარაულთან ერთად ქ. მოსკოვში საკავშირო კონფერენციაზე წასვლა. ეს კონფერენცია დეგეგმილი იყო ადრე და ვიფიქრე, ასალი ოჯახი შევქმენი და მეუღლესაც წავიყვანმეთქი, ასეც მოვიქეცი. მოსკოვში სასტუმრო „სპუტნიკში“ ორი ადგილი იყო დაჯავშნული. ჩვენ კი აღმოვჩნდით სამნი, ადგილები იმ პერიოდში მოსკოვის სასტუმროებში ძნელი საშოვარი იყო. აქაც სულგრძელობა და ადამიანობა გამოამჟღავნა ბატონმა გიორგიმ - მითხრა: „შვილო, ჩემი გოგო ნანა აქ სწავლობს, ასპირანტურაში, ბინა დაქირავებული აქვს, ჰოდა, მე ნანასთან წავალ და თქვენი პრობლემაც მოგვარდებაო“. ასეც მოიქცა.

ალბათ ერთი მთლიანი წიგნი დაიწერება, რომ მოვიგონო ყველაფერი, კარგის მეტი კი არაფერი მომაგონდება ბატონი გიორგის მხრიდან. როდესაც მან, ბატონმა გიორგიმ მოღვაწეობა დაამთავრა, მასთან სახლში ხშირად მივდიოდი, ვიგონებდით იმ წლებს, როდესაც იგი მოღვაწეობდა ინსტიტუტში, როგორც რექტორი, მაგრამ არასდროს შედარება არ გაუკეთებია წარსულსა და აწმყოს შორის, ყოველთვის პატივისცემით იგონებდა მის შემდეგ მოღვაწე რექტორებს.

ჯემალ ძიძიგური

რაც დავიწყებით არ იბინდება

საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომელთა ნათელი ხსოვნა სამუდამოდ რჩება იმ ადამიანთა მეხსიერებაში, ვინც მათ თუნდ ერთხელ მაინც შეხვედრია. ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი რექტორი - გიორგი ხარაული - ინსტიტუტის კეთილდღეობისათვის დაუღალავი მებრძოლი, ლექტორ-თანამშრომლებთან ძალზე მომთხოვნი და სამართლიანად მკაცრი, ინსტიტუტის სინდისი და ნამუსი, სტუდენტთა ქომაგი და მოამაგე.

წიგნი გამოსაცემად მზად იყო, როცა დღევანდელი უნივერსიტეტის ისტორიის კაბინეტში შეიკრიბნენ 1956 წლის ისტორიის სპეციალობის კურსდამთავრებულები. 50 წელი ისტორიისათვის ცოტაა, მაგრამ ადამიანის სიცოცხლისათვის საკმაოდ ბევრი. 70 წელს გადაცილებული ადამიანები დიდი სიყვარულით ისხენებდნენ მათთვის საყვარელ ლექტორებს და განსაკუთრებით კი, სასიქადულო რექტორს, გიორგი ხარაულს. 50-მა წელა მათ ხსოვნაში ვერ გააუფერულა ამ დიდი პიროვნების ღვაწლი, პირიქით, წლებმა უფრო თვალსაჩინო გახადა სტუდენტობის დროს რექტორის მიერ დაშვებული გარკვეულწილად ბუნდოვანი და გაუგებარი მომენტები.

ყველა ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა სივრცეში, როცა თითქოსდა არ არსებობდა გამოკვეთილი საზღვრები და ეროვნული დისკრიმინაცია, ქართველებით დასახლებული მიწა-წყლის დიდი ნაწილი სხვა რესპუბლიკის შემადგენლობაში აღმოჩნდა, გაჩნდა საფრთხზე აქ მცხოვრები ქართველების ეროვნულობის დაკარგვისა და სწორედ მაშინ გ. ხარაული წარმოუდგენელი კონკურსის

პირობებში ახერხებდა ასეთი კუთხეებიდან სტუდენტთა მოზიდვას და მათ ინსტიტუტში ჩარიცხვას. – „ჩვენი ვალია დავეხმაროთ ჩვენს ბედუკულმართ თანამემამულეებს, მერე რა, რომ ისინი ისეთი მომზადებულები არ არიან, როგორც ქალაქელი ბავშვები. ხშირად ქართულად გამართულადაც ვერ მეტყველებენ, მაგრამ ამ ხუთი წლის მანძილზე ისწავლიან, მშობლიურ ენასაც კარგად დაეუფლებიან, საქართველოსა და ქართული ენის სიყვარულს ჩაიტანენ საინგილოში და იქ ქართულ საქმეს გააკეთებენო“.

ამ გზით საოცრად რთულ პირობებში, ისე, რომ არც ნაციონალური ინტერესების დაცვა და არც დისიდენტობა არ დაუბრალებია, ეს მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწე ახერხებდა დიდი ეროვნული საქმის კეთებას.

ქეთევან მეიმარიაშვილი,
ისტორიის კაბინეტის გამგე

კურსდამთავრებულნი

გიორგი ხარაულს

ვისთან არ მოვხვდი, სად არ ვიყავი, რა არ გადამხდა,
ბევრი დგა ჩემს კარს, ბევრჯერ მეც ვდეგ ვიღაცის კარად,
თუკი დამედო ვალი, შევძელ ზოგის გადახდა,
ზოგი კი მომდევს, როგორც შენი აქამდე ვალად.
ვერც გადავიხდი თუნდ რამ ვაგო, თუნდ რამ დავშალო,
ვერ გამოვხატავ მას ვერც საქმით, ვერცა მადლობით,
თავის ხალხისთვის ნაჯაფარო და დამაშვრალო,
დამკვალებელო, დამმოძღვრელო ახალგაზრდობის!
ბედის მაძევარს ხელი რამდენს არ შეაშველე,
ვისაც სურდა, რომ გაეტანა ცხოვრების ლელო...
ჩემს საწუთროსაც თუკი რაღაც კარგი ამშვენებს,
მე შენ გიმადლი, ბევრჯერ ბევრი სიკეთის მქმნელო!
ხარ ხევისბერი ჩემი მთების, ხარ ამაგდარი
მასწავლებელი, გამწურთვნელი, მამულიშვილი...
მოწყენილია ახლა ჩვენი ძველი საყდარი,
ხანდახან მარტო მივაკითხავ და გულში ვტირი!
იქ ფეხის ჩქამი და ხმა გუშინ სხვა გავიგონე
და მისი კარი უჩუმარმა მივხურე რიდით...
რა ვქნა, თუ სევდა ამჩნევია ჩემს ამ სტრიქონებს,
მე მაინც ვამბობ, — გორელებო, მადლობა დიდი!
რა დრო გასულა დარიანი, თუ ნაავდრალი,
ამ ქვეყანაზე რა ბევრისა გავხდი მხილველი...
დგას მოწყენილი ახლა ჩვენი ძველი საყდარი

და სულ სხვა არის იქ მწირველი და შემწირველი!
რაღაც დამწყდარა მის კედლებში, რაღაც დამშრალა
დაბზარულია ალაგ-ალაგ იმისი ბანი...
შენ იდღეგრძელე, ერისათვის წმინდა მაშვრალმა,
წმინდა მოძღვარმა საქართველოს მთისა და ბარის!

მინდია არაბული

მოძღვარი

ნაქებ ქართველ მოძღვართ შორის
მოჩანს სახე ხარაულის,
კაცი ნამდვილი მარტვილი
სტუდენტთათვის თავწაკლული.

არცა კუშტი, არც გულცივი,
ვამბობ ცისნამივით სუფთა,
მოძღვარი კი ბრძანდებოდა
როგორც დიდ იაკობს სურდა.

მისი სიტყვა, მისი საქმე
განუხრელად იყო ერთი,
ისე როგორც იქ ზესკნელსა
მიუწვდომელ დიდი ღმერთი.

გიორგი ხარაულს

2001 წლის 9 ნოემბერს გორის ყოფილ
პედაგოგიური ინსტიტუტის წინა ფასადზე
გაკეთდა ამავე ინსტიტუტის სახელოვანი
რექტორის გიორგი ხარაულის მემორიალური
დაფა. ამასთან დაკავშირებით პროფ.
შ. ქურდაძემ თქვა:

„დიდხანს ველოდი
ამ სახსოვარს...
სინდისს და ნამუსს
ხა-რა-ულისას
კაცის – მარტვილის
კაცის – ნამდვილის
სტუდენტთა ბურჯის –
ვალმოხ-დი-ლი-სას“

(იხ. გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 2002 წელი)

სახარაულო

სახარაულო სიტყვები
ზმანებასავით მოდიან,
მოძღვარს ხატავენ იმგვარად
მსგავსი ყოველთვის როდია,
უბრალოება და მადლი,
რაც მისგან შენაგრძნობი
მაქვს –
სანატრელია ჩვენს
ყოფას
ათასგზის
ასე მგონია
კაცი უდრეკი
კლდესავით.
გული ჰქონდა
მზის სადარი.
ნიადაგ გვათბობს
მის სითბო,
სულისგან გადმონაღვარი...
იყო, არის და იქნება
როგორც ლამაზი
ზღაპარი.

შოთა ქურდაძე

(იხ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 2003 წ. ოქტომბერი)

სინდისის სინონიმი

სამართლისა და სინდისის
საპატიო ყარაული,
ხსოვნამ ერთი კაცი იცის
ქრისტეს სეხნა ხარაული.
ვინც იარა გზა წვრილები
ჭაბუკური რუდუნების
თავს ირჩენდა გაჭირვებით
გორიჯვრის ტყის გუდურებით.
ვინც აკაჟა, ალითონა
ბედმა მძიმე სივალალით;
თვით საკვირველს ამიტომაც
არ უკვირდა ჭირ-ვარამი.
არ რევია აზრში ნისლი
შავ ზრახვათა ჟინმოვლილი,
„ხარაული“ და „სინდისი“
სიტყვებია სინონიმი.
მის საჭიდან მოცილებას
სცდიდნენ ფანდით ვერაგულით,
მოწკავწკავე გოშიებმა
მიაყენეს ტკენა გულის.
წმინდა კაცის ჩანავლული
დღეს ღადარი მოაქუჩა
და გორს შვენის ხარაულის
სახელობის სკოლა, ქუჩა.

ვაჟა შიუკაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა

1. სურგულაძე ა. ნარკვევები ქართული ინტელიგენციის ისტორიიდან, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1980 წ.
2. ხარაული გ. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მძლავრი კერა, გაზ. „სტალინელი“, ქ. გორი, 24.12.60 წ.
3. ჩხეიძე ო. „ჩემი სავანე“ გამომც. „ლომისი“, თბ., 2000, გვ.142-143.
4. გორის ინსტიტუტი 50 წლისაა, გაზ. „გამარჯვება“, ქ.გორი, 1.4.86წ.
5. ქურდაძე შ. პოზიცია კეთილშობილი, გაზ. „გამარჯვება“, ქ. გორი, 15.3.86 წ.
6. ქურდაძე შ. გიორგი ხარაულს, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 2002 წ.
7. ქურდაძე შ. „სახარაულო“, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 10.2003 წ.
8. წაქაძე ზ. „დიალოგი შთამომავლობასთან“, გაზ. „გამარჯვება“, ქ.გორი, 27.10.88 წ.
9. წაქაძე ზ. „უბერებელი ბერმუხა“, გაზ. „შთაგონება“, ქ. გორი, 1992წ. №1.
10. კედელაშვილი ვ. გიორგი მართალი, გაზ. „ქართლი“, ქ. გორი, 22.3.99 წ.
11. კედელაშვილი ვ. გიორგი მართალი, გაზ. „გორის უნივერსიტეტი“, ქ. გორი, 2000 წ. იანვარი.
12. კედელაშვილი ვ. რექტორი, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, ქ.გორი, IX, 2005 წ.
13. კედელაშვილი ვ. გიორგი ხარაული, გაზ. „თრიალეთი“, ქ. გორი, 2005 წ. №2.

14. კედელაშვილი ვ. ქობლიანიძე რ. სწავლის ქირა რექტორმა მიხადა, გაზ. „შემოქმედება“, ქ. გორი, V-VII, 2000 წ.
15. გოგოლაძე თ. „სტუდენტობის დროინდელი ჩანაწერებიდან“, გაზ. „გორის უნივერსიტეტი“, ქ. გორი, 2000 წ.
16. წაქაძე ზ. 9 გიორგობისთვე გიორგი ხარაულზე, გაზ. „გორის მოამბე“, ქ. გორი, 22.11.2001 წ.
17. ხაჩიძე გ. მოქალაქე, მეცნიერი, ორგანიზატორი, გაზ. „გორის მოამბე“, ქ. გორი, 22-28.VII.2005 წ.
18. ხაჩიძე გ. დაფასებული ამაგი, გაზ,. „გორის მოამბე“, ქ. გორი, 21-27.5.2004 წ.
19. XX საუკუნის 117 გორელი გორის მოამბიდან. გაზ. „გორის მოამბე“, №401-402
20. ჭანკოტაძე ლ. ნათლის შუქით ანთია, „გამარჯვება“, №128, 1988
21. ხარაული გ. პედაგოგიურ ინსტიტუტს, გაზეთი „გორის უნივერსიტეტი“, 2002.
22. ქართლის რეგიონალური ფონდის მოსაწვევები, ქ.გორი, 9.11.2001წ.

ფოტომასალა

გიორგი მუელლესთან ერთად

ოუ ახთან ერთად

გიორგის ვაჟი ხიორა

გიორგის ქალიშვილი ნანა
მეორე რიგში მარჯვნიდან პირველი

გიორგი აბენის ხეობაში



გეორგი ხარაიშვილი ანაბეჭდს სცემს ამიერკავკასიის-ჩრდ/აღმოსავლეთის



მარცხნიდან მარჯვნივ: დოქ. ა. ყაბანაძე, დოქ. ი. ძაფიაშვილი, დოქ. ვ. ხარაიშვილი, პროფ. შ. ქუბლაძე და დოქ. ვ. ნამო�იშვილი (1963)

გიორგი ხარაული პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად



შეხვედრა ნიხა გიგუნიანთან (20.03.1964 წ.)

სარჩევი

გიორგი ხარაული 3
ალიარება 7
გიორგი ხარაული ინსტიტუტის განვითარების სათავეში 10
პედაგოგიურ ინსტიტუტს 38
უბერებელი ბერი მუხა 40
„ნათლის შუქით ანთია“ 45
გიორგი ხარაულის მზე 53
მოგონებები გიორგი ხარაულზე 56
დაფასებული ამაგი 59
მოგონებებიდან ერთი ეპიზოდი პროფ. გიორგი ხარაულზე 61
გზა გორისაკენ 63
„კოლუმბი მაინც უნდა გამოხვიდე...“ 76
„დე მორტე აუტ ბენე ნიჰილ“ 80
საამაყო რეჭტორი 86
ნათელი ადგეს 89
პოზიცია კეთილშობილი 90
ჩემი სავანე 93
ამაგდარი რექტორი 95
დედის ნაამბობიდან 97
ღვაწლმოსილი 99
მოქალაქე, მეცნიერი, ორგანიზატორი 101
სწავლის ქირა რექტორმა მიხადა 103
სულგრძელი მოძღვარი 105
რაც დავიწყებით არ იბინდება 108
კურსდამთავრებულნი გიორგი ხარაულს 110
მოძღვარი 111
გიორგი ხარაულს 112
სახარაულო 113
სინდისის სინონიმი 114
გამოყენებული ლიტერატურა 115
ფოტომასალა 117

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge